WWW.SAERTOGAZETI.ORG

# საერთო გაზეთი

№08 (242) ● 20-26.III.2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



## ბიძინა ივანიშვილი მოიქცა ისე, როგორც ღირსეული ქვეყნის ღირსეულ ხელისუფალს ეკადრება

**მივმართავ** ბიძინა ივანიშვილს და ახალ ხელისუფლებას: ყველაფერი გვერდზე გადადეთ და დროულად დაიწყეთ **კახა ბენდუქიძის** ბნელი საქმეების გამოძიება!



ISSN 2233-3983

## საქართველოსთვის „ნაცმოძრაობაც“ ისეთივე ოკუპანტია, როგორიც რუსეთი



## რატომ გადაგვცა „ევროპის სახალხო პარტიამ“ ანათემას რუსეთის გამო, როცა თვითონ მას რუსეთთან შესანიშნავი ურთიერთობა აქვს?

რატომ „აჩუქეს“ 2006 წელს **ნიკა მემანიშვილს** 50 წლით „რკინიგზელთა სახლი“, რომელიც მისი ხუთწლიანი მმართველობის დროს მთლიანად გაპარტახდა და გაიძარცვა?

## დოდო გუგეშაშვილი ახალ „მხედრიონს“ ქმნის?



ეს როგორ ხდება — საქართველოს მოსახლეობის **80 პროცენტი** რუსეთთან ურთიერთობის მომხრეა, **72 პროცენტს** კი ნატოში უნდა გაწევრიანება?!

# საქართველო – ევროპისგან დავიწყებული ევროპა და მარტოობის ოცი საუკუნე

ვახტანგ ხარჩილავა

მოგილოცავთ, ქართველებო, ბოლოს და ბოლოს საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელიც საქართველოს და ქართველი ხალხის ღირსების დაცვას ბედავს და როცა საქმე ეროვნულ ინტერესებს ეხება, ისეთ ავტორიტეტულ ორგანიზაციასაც არ ეპუება, როგორიც ევროპარლამენტია.

**პირველად ბოლო ოცი წლის განმავლობაში, საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ, კერძოდ, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, შესძლო დაემსხვრია ურთიერთობის ის პატრონ-ყმური სტერეოტიპები, რომლის მიხედვითაც საქართველო ვალდებული იყო მონური მორჩილებით მიეღო ყველა შენიშვნა, მათ შორის უსამართლო და უსაფუძვლო შენიშვნები და მითითებებიც.**

მთელი ამ ხნის მანძილზე საქართველო ჰგავდა კუთხეში დაყენებულ ბავშვს, რომელიც ვერ ხვდებოდა, რისთვის ისჯებოდა და რას ითხოვდა ახირებული და შარიანი მასწავლებელი, სახელად ევროპარლამენტი.

რისთვის სჭირდება და რისთვის ირჩევს ესა თუ ის სახელმწიფო ხელისუფლებას?

რა თქმა უნდა, იმისთვის, რომ ამ ხელისუფლებამ დაიცვას საკუთარი სახელმწიფოს სახელმწიფოებრივი ინტერესები, მისი კულტურული და სულიერი ღირებულებები.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსული ხელისუფლება ყველაფერს პირიქით აკეთებდა. ის ცდილობდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, შეენარჩუნებინა ძალაუფლება, რასაც ხშირად ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს და მის ღირსებას სწირავდა.

ის, როგორც ჩანს, კულუარულ შეხვედრებისა და კონსულტაციების დროს არწმუნებდა ევროპარლამენტის ცალკეულ დელეგატებსა თუ დელეგაციათა ჯგუფებს, რომ ქართველი ხალხი ერთი უბირი და ველური ერია, რომლისთვისაც უცხოა დემოკრატიული ღირებულებები, ამიტომაც, თუ გვინდა, რომ საქართველოში დემოკრატიამ გაიმარჯვოს, ეს უნდა გაკეთდეს იძულების წესით, ძალისმიერი მეთოდებით, მკაცრი, რეპრესიული ფორმებით.



**ბიძინა ივანიშვილი მოიქცა ისე, როგორც ღირსეული ქვეყნის ღირსეულ ხელისუფალს ეკადრება**

სააკაშვილს არაერთხელ წამოსცდენია, რომ მისი მთავარი ამოცანაა ქვეყანაში დემოკრატიის დამყარების პარალელურად შექმნას ახალი ტიპის საქართველო და ჩამოაყალიბოს ახალი ტიპის ქართველი, რომელიც მენტალურად აბსოლუტურად განსხვავებული იქნება მისი წინამორბედისაგან.

ამ ცხრა წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ დიადი მიზნის, ამ ღვთიური მისიის აღსასრულებლად სააკაშვილს და მის გუნდს მოქმედების სრული თავისუფლება, სრული კარტბლანში მიეცა, როგორც ევროპარლამენტისგან, ასევე, ზოგადად, მსოფლიოს დემოკრატიული თანამეგობრობისგან.

მიზანი ამართლებს საშუალებასო, — ნათქვამია. დიადი მიზანი — დემოკრატიის აშენება ამართლებდა იმ საშუალებებს, ხშირად აბსოლუტურად ანტიდემოკრატიულს, რომელთა მეშვეობითაც ამ ზეამოცანის მიღწევა უნდა მომხდარიყო.

არ არის გამორიცხული, რომ მიხეილ სააკაშვილმა თავისი ფსიქიკური მდგომარეობის წყალობით დაიჯერა, რომ ის მესიაა, ზეკაცია და მას მართლა შეუძლია შეუძლებელი — გადაასხვაფეროს, გადააკეთოს ქვეყანა, გადააკეთოს ადამიანები, შექმნას თვისობრივად ახალი ნაცია.

დროთა განმავლობაში, მას, ეტყობა, ეცოტავა ადგილობრივი მნიშვნელობის ზეკაცის როლი და საერთაშორისო ტრიბუნებიდან ზოგადკაცობრიულ, გლობალურ პრობლემებზე და მსოფლიო პოლიტიკის საკითხებზე დაიწყო ჭკუისდამრიგებლური ხასიათის ლექციების კითხვა.

მას უსმენდნენ! უსმენდნენ სიყვარულით გაცისკროვნებული თვალებით, მოწონების ნიშნად ტაშს უკრავდნენ და ამხნევებდნენ.

ვერ გეტყვით, რა დოზით არის ჩართული ფროიდისტული ინსტინქტები პოლიტიკაში, მაგრამ სააკაშვილის ურთიერთობა ბებერ ევროპასთან რაღაც ინტიმურ-გლამურულ ელემენტებს შეიცავდა თითქოს.

ეს ენერგიით დამუხტული ახალგაზრდა კაცი აშკარად მოსწონდა მეტწილად ხანდაზმული ადამიანებით გადავსებულ მსოფლიოს პოლიტიკურ აუდიტორიას.

მოგვიანებით, სააკაშვილი ქართული აუდიტორიის წინაშე საერთოდ გაშიშვლდა და ტრუსების ამარა დარჩენილმა საქართველოს მოსახლეობის „საცთუნებლად“ პოზირება დაიწყო, მაგრამ ოქტომბრის არჩევნებში ამანაც ვერ უშველა...

როგორც მოგახსენეთ, მიზანი ამართლებს საშუალებას.

საერთაშორისო თანამეგობრობისგან, აშშ-ს ადმინისტრაციისგან, ევროპარლამენტისგან დასტურმიცემული და წაქეზებული სააკაშვილი ენერგიულად შეუდგა დასახული მიზნისკენ სვლას, მიზანი კი, როგორც ვთქვით, დემოკრატიის მშენებლობა იყო, თუმცა ის, რასაც სააკაშვილი აშენებდა, სულაც არ ჰგავდა დემოკრატიას.

პირველი, რაც მან გააკეთა, კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებით მთელ ძალაუფლებას საკუთარ ხელში მოუყარა თავი.

ის, ფაქტობრივად, უგვირგვინო მეფე, უგვირგვინო მონარქი გახდა, რომელმაც მეფისა და მონარქიისთვის უჩვეულო საქმეს — დემოკრატიის მშენებლობას მოჰკიდა ხელი.

**საერთაშორისო თანამეგობრობა და მათ შორის, ევროპარლამენტიც მშვიდად ადევნებდა თვალს — როგორ ყრიდა ციხეებში ეს გამოუცხადებელი მონარქი და დიქტატორი უდანაშაულო ადამიანებს, ნულოვანი ტოლერანტობის ლოზუნგით როგორ ხვრეტდნენ ქუჩებში ადამიანებს, როგორ ართმევდნენ ქონებას და როგორ აყაჩაღებდნენ ბიზნესმენებს — ევროპარლამენტის რეაქცია ყოველივე ამაზე ნული იყო.**

ცხრა წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოს, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ევროპარლამენტს ვთხოვდით, ვეაჯებოდით, ვეხვეწებოდით, რაღაც ეშველა უბედურ დღეში ჩავარდნილი ქვეყნისთვის და ეს გავეშებული ადამიანი როგორმე მოეთოკა, მაგრამ ამაო იყო ყველაფერი — გამოუცხადებელ დიქტატორს დემოკრატიის მშენებლობაში ხელს ხომ არ შეუშლიდნენ?

სააკაშვილის რეჟიმის უპირობო მხარდაჭერა დემოკრატიასთან კი არ გვაახლოებდა, კიდევ უფრო გვაშორებდა მას, თუმცა ვიღაც-ვიღაცები გვარწმუნებდნენ, რომ გამალებული ტემპებით მივიწევდით წინ და როცა დემოკრატიის ოაზისში ამოვყოფდით თავს.

აი, ეს ცინიზმი, ეს უტიფრობა და სიცრუე, უაღრესად მტკივნეული და შეურაცხმყოფელი ქართველი ხალხისთვის, ოქტომბრის არჩევნების შემდეგ 23 ევროპარლამენტარის მიერ ხელმოწერილი ახალი ფორმით და ახალი შეფუთვით დაგვიბრუნდა უკან.

ვთქვათ სიმართლე, ვინც დღეს სააკაშვილის რეჟიმს მხარს უჭერს, ის ამ რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულის მონაწილე და თანამზრახველია.

საქართველომაც და ევროპარლამენტმაც კარგად უნდა დაიმახსოვროს იმ 23 პარლამენტარის ვინაობა, რომლებიც ცილისმწამებლურ განცხადებებს აკეთებენ საქართველოს და მისი ახალი ხელისუფლების მისამართით.

**დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან, ქართული ნიურნბერგის პროცესი აუცილებლად შედგება, სიმართლეც აუცილებლად დადგინდება და მაშინ იმ 23 პარლამენტარსაც მოუწევს პასუხის გაცემა კითხვაზე: — რა მოტივით, რა მოსაზრებით აყალბებდნენ ისინი სინამდვილეს?**

ადრე ერთი მათიას იორში დადიოდა საქართველოში ევროპარლამენტიდან, რომელიც, მაშინ გავრცელებულ ხმებს თუ ვენდობით, დიდი ჰონორარების საფასურად არჩევნების შედეგებს ისე „ითვლიდა“, როგორც შემკვეთი შეუკვეთავდა ხოლმე...

ახალი იორშები ხომ არ გამოჩნდნენ ასპარეზზე და ახლა ისინი ხომ არ აგრძელებენ მის მიერ გაკვალულ გზას?

იორშმა იმდენი იარა საქართველოში, ბოლოს ფეხი მოიტეხა.

თქვენც არ მოიტეხოთ ფეხი, ახალი „მოწვევის“ იორშებო, ამ ცოდვიან და ოღრო-ჩოღრო პოლიტიკურ ბილიკებზე...

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ყოველთვის მაოცებდა და დღემდე მაოცებს „ფრთიანი“ გამოთქმა: — საქართველო ევროპისკენ მიდის და სულ უფრო და უფრო უახლოვდება მას.

ამ გამოთქმაში, ჩემი აზრით, ასეთი უხერხული ქვეტექსტი იგულისხმება — საქართველო არ არის ევროპა, მაგრამ თუ დაჟინებით ივლის ევროპისკენ, მისი სრულუფლებიანი ნაწილი გახდება.

არადა, საქართველო სწორედ რომ ევროპაა, მისი სულის და სხეულის ნაწილია, რომელიც მთელი თავისი არსებობის მანძილზე, ოთხივე მხრიდან მტრებით გარშემორტყმული მარტო იბრძოდა საკუთარი თავისა და იმ ევროპული ღირებულებების გადასარჩენად, რომელიც მან თავისი სახელმწიფოებრიობის ფუძედ და საძირკვლად აირჩია.

მარტო ვიყავით ჩვენ, მარტოობა იყო ჩვენი ბედისწერა და ალყაში მოქცეულნი სულ ამ ალყის გარღვევას ვცდილობდით, რომ იმ კონტინენტამდე მიგვეღწია, რომლის ნაწყვეტად და ფრაგმენტად მიგვაჩნდა თავი.

მარტოობის ოცი წელი კი არა, მარტოობის ოცი საუკუნე გავლიეთ ასე.

ჩვენ სულ ევროპისკენ მივდიოდით, მაგრამ ევროპა არ მოდიოდა ჩვენსკენ.

სააკაშვილის მიერ მოთაფლული და პოლიტიკურად ანგაჟირებული ევროპის სახალხო პარტიის საააშვილისტი წევრების „სადესანტო“ ჯგუფი კი არა ევროპა გვინდა მოვიდეს ახლოს, რომ კარგად დაგვინახოს და დარწმუნდეს, რომ აქაც ევროპაა, ოღონდ ევროპის მიერვე დავიწყებული და საჯიჯგნად და სახრავად „ნაცბანდისთვის“ მიგდებული ევროპა.

ქართველმა ხალხმა ბოლო წლების განმავლობაში მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ ის მაღალი კულტურის და მაღალი სულიერების ერია, რომელმაც სააკაშვილის ჯოჯოხეთს გაუძლო და 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ღირსეულად გაიმარჯვა.

**სხვა ნურავინ დაიბრალებს იმ ისტორიულ ფაქტს, რომ 1 ოქტომბერს დემოკრატიული არჩევნები შედგა — ეს, პირველ რიგში, ქართველი ხალხის და კიდევ ერთი კაცის, ბიძინა ივანიშვილის, დამსახურებაა და არა ევროპარლამენტის, არა ევროსაბჭოს, არა ეუთოს და მიითუმეტეს, არა სააკაშვილის, რომელიც თავს იწონებს იმით, რომ მან, თურმე, მშვიდობიანად გადააბარა ძალაუფლება გამარჯვებულ ძალას, როგორც ეს ჭეშმარიტ დემოკრატს შეეფერება.**




არადა, ამ „ჭეშმარიტმა დემოკრატმა“, როგორც შეეძლო და რამდენადაც შეეძლო, ძველ ზნე-ჩვეულებას ვერ უღალატა და ექსპერტთა აზრით, არჩევნების შედეგები 20 პროცენტით მაინც გააყალბა, ხოლო ის, რასაც ნაცმოძრაობა წინასაარჩევნო პერიოდში აკეთებდა, ყოველგვარ ფანტაზიას სცილდება — ეს იყო ძალადობის, ცინიზმის, თვითნებობის, სისასტიკის არნახული ფეირვერკი.

მიხეილ სააკაშვილი თეთრკანიანი იდი ამინია, გარედან თეთრი, შიგნით კი შავი და ბნელი, რომელსაც 23 ფარისევლის კი არა 230 ფარისევლის იავნანა და სულის ბერვა ვერ უშველის.

საქართველო არა მარტო გეოპოლიტიკური, არამედ გეოკულტურული გზაჯვარედინია, კულტურათა და ცივილიზაციათა გადაკვეთის წერტილია, რამაც ჩამოაყალიბა ქართული ხასიათის თავისთავადობა, მისი ტოლერანტული ბუნება და შემწყნარებლობა.

შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოში არავინ არასოდეს არ უდევნიათ ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით.

ჩვენ არ გვჭირდება დემოკრატიის სწავლება, თანაც არადემოკრატიული მეთოდებით, ჩვენ გვჭირდება ობიექტური, მიუკერძოებელი მედიატორი, რომელიც პირველ ყოვლისა, ხალხის ინტერესებს დაიცავს და არა ცალკეული პოლიტიკური ჯგუფების ამბიციებს მოემსახურება, როგორც ეს ბოლო ხანებში ხდებოდა.



დაბოლოს ნურავინ ნუ უყურებს საქართველოს, როგორც სამხედრო ბაზების განლაგებისთვის ხელსაყრელ და მომგებიან ადგილს — შემოგვხედეთ, როგორც კულტურათა სახლს, შემოგვხედეთ, როგორც თანასწორს, როგორც პარტნიორს და არა „პაბეგუშკაზე“ გასაგზავნ ხელისბიჭს, რომელსაც ხან ვინმესთვის პანღურის ამორტყმას ავალებენ, ხან ვინმესთვის ენის გამოყოფას ან შეგინებას.

ევროპის სახალხო პარტიისადმი მიწერილ ბიძინა ივანიშვილის ღია წერილში ნათლად არის ნათქვამი, რომ ეს დრო დამთავრდა და არასოდეს არ მობრუნდება.

ევროპის სახალხო პარტიის მისამართით გაგზავნილმა ბიძინა ივანიშვილის ღია წერილმა ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი ფრიად შეაშფოთა და შეაშინა — როგორ შეიძლება ევროპარლამენტს სიტყვის შებრუნება ვაკადროთ და ასეთი წერილებით გავალიზიანოთ? ამას, შეიძლება, ცუდი რეაქცია მოჰყვესო — წუხან ისინი.

ნუ ეწყინება ნურავის, მაგრამ ზუსტად ეს არის ის, რასაც არასრულყოფილების კომპლექსი ჰქვია, რაც ჯერ რუსული, შემდეგ საბჭოური იმპერიის „მფარველობის“ ქვეშ ყოფნის ორასსამოცდაათწლიანმა პერიოდმა დაგვიტოვა.

საქართველოს ხელისუფლებები, წინა და იმის წინა, ვერა და ვერ გათავისუფლდა ქვეშევრდომული კომპლექსებისგან და ბრიუსელი, სტრასბურგი თუ ვაშინგტონი ახალ მოსკოვად მიაჩნდა, მარტენსი კი სუსლოვად.

სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ საქართველო ნახევრად კოლონიურ ქვეყანას დაემსგავსა, რომლის მთავრობები ახალი მოსკოვის და ახალი პოლიტბიუროს ინსტრუქციების უსიტყვოდ შესრულებაზე უფრო მეტს ფიქრობდნენ, ვიდრე საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე.

ბიძინა ივანიშვილი მოიქცა ისე, როგორც უნდა იქცეოდეს ღირსეული ქვეყნის ღირსეული ხელისუფალი.

მის წერილში არაფერია ისეთი, რაც, შეიძლება, ევროპარლამენტის ან მისი ცალკეული წევრების მიმართ უპატივცემულობის ელემენტებს შეიცავდეს.

რაც შეეხება შეურაცხყოფას, შეურაცხყოფილი თუ ვინმეა, ეს ქართველი ხალხია, რომელსაც არწმუნებენ, რომ ის ცხრაწლიანი კოშმარი, რომელიც საქართველოს თავს დაატეხა სააკაშვილის რეჟიმმა, კოშმარი კი არა დემოკრატიის დღესასწაული იყო.

საქართველოს ციხის შიგნიდან გამტეხველები არასდროს აკლდა და არ აკლია ახლაც.

მათთვის სამშობლო სამშობლო კი არა აღებ-მიცემობის და ვაჭრობის საგანი იყო საკუთარი ამბიციების და ეგოისტური ინსტინქტების დასაკმაყოფილებლად.

მოღალატეთა ეს კასტა, ეს მარადიული მეხუთე კოლონა, ბოლო წლებში „ნაციონალების“ და მისი ბელადის სახით მოგვევლინა.

სულ ახლახან გაირკვა, რომ მიხეილ სააკაშვილს ისეთი ვალდებულებებისთვის აქვს ხელი მოწერილი, რომლებიც სერიოზულ საფრთხეებს უქმნის ქართულ სახელმწიფოს.

ერთ-ერთი ამ ვალდებულებათაგანი ამ რამდენიმე დღის წინათ მოკრძალებით შეგვახსენა ჩვენმა სომეხმა ძმამ სამცხე-ჯავახეთიდან — დაპირებისამებრ, იქნებ სომხურ ენას რეგიონალური ენის სტატუსი მიანიჭოთო.

ჩვენ ჯერ არ ვიცით, კიდევ რა ვალდებულებები აქვს აღებული სააკაშვილს და კიდევ რა დაპირებები ჰკიდია ქვეყნის თავზე დამოკლეს მახვილივით.

არსებობს ეჭვი, რომ საქართველო დახლს ქვემოდან, ჩუმად და ნამალავად არის გაყიდული და მყიდველები ახლა თავიანთი წილი „ტავარის“ მიღებას ითხოვენ.

ასეა თუ ისეა, საქართველო დიდი გამოწვევის და დიდი საფრთხეების წინაშე დგას.

ზედმეტად მიმაჩნია იმის გამეორება, თუ რა როლი შეასრულა ბიძინა ივანიშვილმა საქართველოსთვის ამ საბედისწერო ჟამს.

არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ვთქვი — ბიძინა ივანიშვილი ეროვნული გმირიამეთქი.

დრომ დაამტკიცა, რომ სწორად მითქვამს — ნამდვილად გმირობა იყო ის, რასაც ბიძინა ივანიშვილი არჩევნებამდე აკეთებდა და გმირობაა ისიც, რასაც ბიძინა ივანიშვილი ახლა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აკეთებს...

ასე მხოლოდ საკუთარ ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული პატრიოტი ადამიანები იქცევიან.

ისევ ადრე ნათქვამს გავიმეორებ: ბიძინა ივანიშვილი ეროვნული გმირია, მაგრამ ახლა ის უნდა გაირკვეს, ვინ ვართ ჩვენ — ქართველები და რამდენად ვართ მზად ჩვენი წილი გმირობისთვის.



წერილი თუ სიხარულიო? წამწამი მქონდა თვალში....წერილი-მეთქი, რამ ამარჩევინა არ ვიცი?)) მოვედი სახლში და წერილი დამხვდა....23 ევროპელი პარლამენტარი მწერდა, რას გვაგინებ, ძმაო, რა გაგვიტრაკე, მიშა შენზე ძაან ჩვენ არ გვევასება მარა კრედიტი გვაქ ბანკებიდან და იმას გვიფარავსო, ჩვენც გვყავს ოჯახები, აბა, მარტო პადოშას კი არ ჰქონდა ვალებიო)))

ივანიშვილის მთავრობა დიასახლისს შეიძლება შეადარო: დამშეული ბავშვები ღნავიან და სასწრაფოდ სადილია მოსამზადებელი; სახლიდან ნაგავია გასატანი; მტვრები გადასაწმენდია; კარზე საკეტია გამოსაცვლელი; ფანჯრები ჩამოსაწმენდია (არავინ გაჭოროს) და ამ ყველაფრის პარალელურად ბავშვებს გაკვეთილების მომზადებაშიც უნდა დაეხმაროს. ამას კიდევ მოერეოდა კაცი, ფეხდაფეხ ავი დედამთილი რომ არ დაჰყვებოდეს: ხელს არ ანძრევს, ყველაფერს უწუნებს, ამ ოჯახში შენს შემოსვლამდე იდეალური წესრიგი მქონდაო უმტკიცებს და დილიდან საღამომდე მეზობლებში დაჭორაობს - ჩემს ბიჭს გონება დაებინდა, თორემ ეს რა ოჯახში შემოსაშვები იყოო... .. ამ დროს კარზე ზარია: დედამთილის მაწა კი დაქალუშკა (გვერდით სადარბაზოდან) ეუბნება: ეს ქალი არავინ დამიჩაგროსო...




xalxisazriT

მინდა გაცნობოთ, რომ სიტყვების "ურნალისტი" "(ს)ექსპერტი", "ნაცბოზბანდა", ბოზბანდა", "მაჭკატ", "მიშმადიდებელი", "ლანჩა თორთლაძე", "ზენდუინი" და სხვ. (რომელთა გახსენება მჭირდება), ჩემს მიერ წარმატებით დაპატენტებულია ახალი ტერმინი "რეჟიმცხონებული", რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას ნაცმოძრაობის ჯერ კიდევ ურყევად ერთგულ მხარდამჭერთა მიმართ, როგორც გარკვეული ფაქტის და სიბრალულის კომბინაცია.

„ნაცები" ერთ მომიტინგეში 1500 ლარის გადახდას აპირებენ".... ძალიან გაუზრდიათ სტავკა, რათა ნეტავ... რა საჭირო იყო? აქამდე ნაროდი 20 ლარად აძლევდა და 1500 ლარად ხომ თავს მო... ნ ქალაქის შესასვლელ-გასასვლელში...

ბენდუს უთქვია, ახლა მე აღარ მინდა აკრედიტაცია, გავბრაზდიო! სანამო, ბოდიშს არ მომიხდიანო, და იმ 4 მილიონად ნაყიდ 280 მილიონიან მიწის ნაკვეთს კიდე ერთი იმდენს არ დაამატებენო, არაფრით მე არ ავდგენ სწავლას და ამ სტუდენტთა მილიონიან მარშს არ დავშლიო!

ბოლო ფულებს ახმარენ განწირულ საქმეს: ევროპარლამენტის „მეგობრებს" აწერინებენ განცხადებებს, დიასპორის სათვისტომოებს ააქტიურებენ და სტუდენტების შეკრებას ავალებენ და უფხო პოეტებს კი დემაგოგიურ გამოსვლებს .... ნუთუ, არ იციან, რომ ფულიც, და ისიც, ფულით რისი და ვისი ყიდვაც შეიძლება. სიმღერის არ იყოს .... "ყველაფერი თავდება"...

# ხათუნა ლაგაზიძე: ბიძინა ივანიშვილის პათოსი აბსოლუტურად გამართლებულია, რადგან ბოლოს და ბოლოს მონური პოზიციიდან უნდა გამოვიდეთ



*რამდენიმე დღეა, რაც ევროპარლამენტარებსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის ეპისტოლარული მიმოწერა საკმაოდ აქტიურ ფაზაში გადავიდა. რამდენად მართებულია ხელისუფლების ამგვარი ტაქტიკა და დიპლომატიური კომუნიკაცია ეპისტოლარული ფორმით? „საერთო გაზეთს" ექსპერტი პოლიტიკის საკითხებში **ხათუნა ლაგაზიძე** ესაუბრა.*

**— ქალბატონო ხათუნა, რას ფიქრობთ ე.წ. „ეპისტოლარულ ომზე", რომელიც საქართველოს ხელისუფლებასა და ევროპარლამენტარებს შორის ბოლო რამდენიმე დღეა მიმდინარეობს?**

— პოლიტიკაში და დიპლომატიაში, როცა ადამიანები ურთიერთობისთვის ეპისტოლარულ ჟანრს იყენებენ, ნიშნავს, რომ მათ შორის კონტაქტი შეზღუდულია, ან ამოწურულია და მიზანს ვერ აღწევს. ჩვენს შემთხვევაში, ეპისტოლური ურთიერთობის ეტაპზე გადასვლა ნიშნავს, რომ „ქართულ ოცნებას" დასავლეთთან კომუნიკაციის სეროზული პრობლემა აქვს, რასაც რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. თუნდაც ის, რომ ამ კუთხით „ნაციონალურ მოძრაობას" 15-წლიანი სტაჟი აქვს. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ბიძინა ივანიშვილის გუნდმა პირველი ოქტომბრის შემდეგ მიიჩნია, რომ თავი ქუდში ჰქონდა და მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ დაუთმო დასავლეთთან ურთიერთობას. ალბათ, არც ჰქონდა სათანადო რესურსი რომელსაც დასავლეთთან ურთიერთობის დასამყარებლად გამოიყენებდა. აქედან გამომდინარე, მიიღო ის შედეგი, რაც მიიღო. ფაქტობრივად, ივანიშვილის გუნდმა ამ მიმართულებით ოთხი თვე დაკარგა და ისედაც სუსტი პოზიციები უფრო შეისუსტა, რაც უპატიებელი შეცდომაა. სამაგიეროდ, ეს პერიოდი კარგად გამოიყენეს „ნაციონალებმა", რომელთა ხელში დიპლომატიური რესურსი იყო და ისინი გამალებით მუშაობდნენ ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. ფაქტობრივად, დღესაც შეიძლება თქმა, რომ ბიძინა ივანიშვილს ოფიციალური წყაროები ქვეყნის ფარგლებს გარეთ ინფორმაციის გასატანად არ აქვს.

**— ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ევროპარლამენტარების მისამართით ტონი კიდევ თუ გამკაცრდება, ამგვარი დამოკიდებულებით დასავლეთს კიდევ უფრო ხომ არ გავაღიზიანებთ?**

— არა მგონია, რადგან არანაკლებ კრიტიკულია ევროპარლამენტარების განცხადებები. იგივე „სახალხო პარტიის" დეპუტატი თავს თუ უფლებას აძლევს, რომ საქართველოს მოსახლეობის თუნდაც გარკვეულ ნაწილს ბრბო უწოდოს, არ მაინტერესებს, ვინ არის ამის ავტორი ევროპელი თუ ეთიოპიელი. ნებისმიერი ადამიანი ვალდებულია საქართველოს მოსახლეობას პატივი სცეს. ის, რომ ბიძინა ივანიშვილის ევროპარლამენტარებისადმი მიწერილი წერილი კრიტიკულია, აბსოლუტურად გამართლებულია, რადგან ერთხელ და სამუდამოდ უნდა გამოვიდეთ მონური პოზიციიდან. ევროპელები თუ მიიჩნევენ, რომ ჩვენ დღეს უნდა გველაპარაკონ, როგორც ბრბოს, ხვალ უარეს გვიზამენ. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების ტონი არის გასაგები და მისაღები. ამავე დროს ამ წერილებში მიუღებელი და ცუდი არაფერია. წარმოჩენილია, თუ რას წარმოადგენდა მიხეილ სააკაშვილის გუნდი ბოლო ცხრა წლის მანძილზე. მეეჭვება, რომ ასეთი მიმოწერითა და ბრალდებებით რამე კონკრეტულად გადაწყვეტილებამდე მივიდეთ. აამიტომ, აუცილებელია, ევროპარლამენტარებთან მისასვლელი გზების გამონახვა და მოძიება. ამ მიზნით უნდა მოეწყოს სხვადასხვა კონფერენციები და საქართველოში უნდა ჩამოვიყვანოთ ევროპარლამენტარები. მესმის, ეს, შეიძლება, ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული, თუმცა, პარალელურად, საუბარია ქვეყნის იმიჯზე, რომელიც არ უნდა დაზარალდეს. ამიტომ ახალი ხელისუფლება ვალდებულია გაუფრთხილდეს ქვეყნის იმიჯს. ყველაფერი მიდის იქითკენ, რომ ხელისუფლება, რომელიც არ ცნობს ანალიტიკასა და სტრატეგიულ დაგეგმას, ის ყოველთვის უმძიმესი შეცდომებისთვისაა განწირული. ამასთან, როგორც ჩანს, ივანიშვილის გუნდში არ იყო ადამიანი, რომელიც გაანალიზებდა, თუ რა ნაბიჯებს გადადგამდა „ნაციონალური მოძრაობა" და რა შედეგები მოჰყვებოდა მათ ნაბიჯებს დასავლეთში.

**— არადა, მაშინდელი ოპოზიცია ამბობდა, რომ მიხეილ სააკაშვილსა და მის გუნდს კარგად იცნობდა. სინამდვილეში პირიქით აღმოჩნდა?**

— სამწუხაროა, რომ დღევანდელი ხელისუფლება ფიქრობს, რომ მას არანაირი სტრატეგია და ანალიზი არ სჭირდება. თუმცა არა მხოლოდ სახელმწიფო მართვის პროცესში, არამედ ნებისმიერ გუნდში ანალიზი და სტრატეგიის დაგეგმვა აუცილებელი და პირველი რიგის ამოცანაა. დღევანდელი ხელისუფლების პირობებში შეცდომიდან შეცდომამდე მივდივართ. საბოლოოო ჯამში, ყველა ხელისუფლება მოგებული რჩება. სააკაშვილის ხელისუფლების დროს რამდენიმე შევარდნაძის გუნდის მაღალჩინოსანმა გადაიხადა მილიონი, რამდენიმე მათგანი სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნა მიცემული. დანარჩენები კი ცხოვრობენ ბედნიერად. იგივე ვითარებაა დღესაც, თუმცა „ნაციონალურ მოძრაობაში" მყოფთაგან, შეუდარებლად



ნაკლები პირი დაისაჯა. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ხელისუფლება ყოველთვის თუნდაც მატერიალური თვალსაზრისით, მოგებული რჩება. ისინი ახერხებენ ფულის დაგროვებას, საიდანაც მცირე ნაწილს ახლად მოსულ ხელისუფლებას უბრუნებენ, თვითონ ცხოვრობენ ბედნიერად და ასეთ სიტუაციაში ყოველთვის იჩაგრება ხალხი. შეიძლება, გარკვეულწილად, ეს ჩვენი პასუხისმგებლობაცაა, რადგან ხელისუფლებებს ჩვენ ვირჩევთ.

**— როგორც წესი, არჩევნებამდე ისე მივდივართ, რომ ასარჩევი კანდიდატურების სია მაინცდამაინც დიდი არ არის ხოლმე?**

— ამიტომ მნიშვნელოვანია, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების რეფორმა, რომელიც არჩევითობას ითვალისწინებს, რადგან ყოველთვის გვეცოდინება საკუთარი არჩევანის ფასი. თუმცა წარმოდგენილ რეფორმაშიც ბევრი ხარვეზი და საფრთხის შემცველი ელემენტი არსებობს.

**— კონკრეტულად რა საფრთხეებზე საუბრობთ?**

— ფაქტობრივად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პროექტით მთლიანად იცვლება ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა. ქვეყანას უნდა დაუსაბუთონ, როცა ასეთი მასშტაბის რეფორმას გეგმავენ, რას რატომ, რისთვის აკეთებენ. ჩემი აზრით, ერთადერთი, რაც ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი პროექტით გადაიჭრება, დასაქმების პრობლემაა, მაგრამ ბიუჯეტი შეძლებს ამას? რადგან ბიუჯეტის მიერ დასაფინანსებელი საჯარო მოხელეების რაოდენობა ოთხჯერ იზრდება. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, უნდა მოხდეს სამხარეო წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევა. წარმოიდგინეთ, მუნიციპალური რეფორმის შედეგად, ჯავახეთი მუნიციპალურ ერთეულად ჩამოყალიბდეს და მერე მოინდომონ მხარის პარლამენტმა ჯავახეთს ავტონომია მიანიჭოს. ამ საფრთხეებსა და რისკებზე ფიქრობს ვინმე? ასე ხელაღებით ასეთი გლობალური რეფორმის ჩატარება როგორ შეიძლება? ჩემი აზრით, არსებული ტერიტორიული მოწყობის მოდელით უნდა ჩატარდეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, მაგრამ კანონმდებლობა შეიცვალოს ისე, რომ რეალურად არჩევითი და რეალური ფუნქციებით აღჭურვილი თვითმმართველობა მივიღოთ თავისი საბიუჯეტო უზრუნველყოფით. ხოლო შემდეგი ადგილობრივი არჩევნებისთვის ვიფიქროთ, თუ ამის აუცილებლობა იქნება, ქვეყნის ტერიტორიულ გადაწყობაზე. ეს საკითხი უნდა გახდეს საყოველთაო განხილვის საგანი. ამასთან, სამინისტროს ინფორმაციით, ახალი ტერიტორიული ერთეულების მოწყობა უნდა დასრულდეს 2014 წლის მარტის ბოლოს და როდის არის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები? 2014 წლის მაისში. ვინმე დაფიქრდა, რომ ორ თვეში ახლად ჩამოყალიბებულ ტერიტორიულ ერთეულებში როგორ უნდა მოესწროს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება? ან პარტიებმა როგორ უნდა მოასწრონ მომზადება? მათ რაიონული ორგანიზაციები აქვთ და ხომ უნდა გადააკეთონ სათემო ორგანიზაციებად? ფაქტია, რომ, ახალი კონცეფციის მიხედვით, გაოთხმაგებულია ასარჩევ კანდიდატთა რაოდენობა. თუ ასე უნდათ უმუშევრობის პრობლემის გადაჭრა, უნდა თქვან.

**მირანდა ნაბახტეველი**
598 19 39 14

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# რატომ გადაგვცა „ევროპის სახალხო პარტიამ“ ანათემას რუსეთის გამო, როცა თვითონ მას რუსეთთან შესანიშნავი ურთიერთობა აქვს?

**გვესაუბრება კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი, პროფესორი ᲒᲝᲒᲘ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ:**

**— ბატონო გოგი, კვირის ერთ-ერთი მთავარი თემა ევროპარლამენტისადმი ბიძინა ივანიშვილის გაგზავნილი წერილი იყო. როგორ შეაფასებთ ამ წერილს და ზოგადად ევროპის ჩვენდამი დამოკიდებულებას. რეალურად რა ღირებულებებზე უნდა აიგოს ევროპასთან ჩვენი ურთიერთობა?**

— წინასაარჩევნო პერიოდის მიწურულს, როდესაც ლობისტები და მხარდამჭერი პარტიები საკუთარ პოზიციებს წესით აქტიურად აღარ უნდა აფიქსირებდნენ, სწორედ მაშინ გამოჩნდნენ ერთად ტელე-ეკრანზე სააკაშვილი და ვილფრიდ მარტენსი — „სახალხო პარტიის“ ლიდერი, რომელიც ამბობდა — ქართველების ადგილას რომ ვიყო, ხმას სააკაშვილს მივცემდიო. ანუ სააკაშვილისადმი მხარდაჭერა ძალიან აქტიურად გამოხატა. არჩევნებში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, გამოცხადდა, რომ პრეზიდენტი ოპოზიციაში გადადის, მაგრამ მაშინვე ბიძინა ივანიშვილმა გააჟღერა მოსაზრება, კერძოდ, მან პრეზიდენტს გადადგომა ურჩია, რასაც ხელისუფლების მხრიდან აქტიური ქმედებები არ მოჰყოლია. სამართლიანობის აღდგენის კუთხით განხორციელებული დაჭერები, რის გამოც შეიძლებოდა ოპოზიციას მსოფლიოსთვის ეთქვა, რომ დევნიდნენ, ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, მაგრამ უკვე მაშინ, ივანიშვილის განცხადების მეორე დღეს, ევროპის „სახალხო პარტიის“ ლიდერი გამოდის, თითს უქნევს პრემიერს და შენიშვნებს აძლევს, როგორ გაბედე ამ განცხადების გაკეთება, როცა პრეზიდენტმა კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლება არ გამოიყენა, ოპოზიციაში გადავიდა, არადა, იქვე შეეძლო გამარჯვებული ძალისთვის მთავრობის დაკომპლექტების საშუალება არ მიეცაო. ჯერ ერთი, ვინ ეკითხება ევროპის „სახალხო პარტიას“ ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევას. მეორეც — ყველამ ვიცით, რომ სააკაშვილმა ივანიშვილს თავისი კეთილი ნებით კი არ დაუთმო მთავრობის დაკომპლექტების უფლება, არამედ ეს საერთაშორისო დიდი ზეწოლის შედეგად მოხდა. მათ შორის, აშშ-ს დაჟინებული რჩევითაც.

**— „ევროპის სახალხო პარტია“ სააკაშვილისა და მისი გუნდის მოსაზრებებით იკვებებოდა. მაგრამ, თავად, რატომ არ დაინტერესდნენ ამ ფაქტების გადამოწმებით?**

— პრაქტიკულად, მთელი ამ დროის განმავლობაში, ევროპის „სახალხო პარტია“, სააკაშვილის და მისი გუნდის მხრიდან მიკერძოებულ ინფორმაციას იღებდა და რაც მთავარია, არანაირ განმარტებებს — გამაბათილებელ ინფორმაციას მმართველი გუნდის მხრიდან არ იღებდა. რა თქმა უნდა, მათ განუმტკიცდათ მოსაზრება, რომ სააკაშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაციები სწორია. თუმცა, ეს მათ აბსოლუტურად არ ამართლებთ, რადგან ამის გადამოწმება საელჩოების, უცხოელი ჟურნალისტების, ანალიტიკოსების საშუალებით ძალიან ადვილი იყო. შედეგად შემდეგი მივიღეთ — ბოლო თვეების მანძილზე ყველა გამოხმაურება, რაც ევროპის „სახალხო პარტიის“ მხრიდან კეთდებოდა, მხოლოდ და მხოლოდ ცალმხრივად, „ნაც. მოძრაობის“ შეფასებებს ემყარებოდა.

ჩვენ მაინც უნდა გამოვნახოთ მათთან დალაპარაკების, ურთიერთობის გარკვევის ფორმები, რაც ადრევე უნდა დაწყებულიყო. მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა წერილი გაგზავნა, მოვიდა პასუხი სამოქმედო გეგმის შეთავაზების შესახებ. ეს უკვე კომუნიკაციაა, მაგრამ არ მაქვს იმედი, რომ ევროპის „სახალხო პარტია“ ადვილად შეცვლის პოზიციას, ვინაიდან წინა ხელისუფლებასთან ძალიან შეზრდილი ურთიერთობები აქვთ და არ აპირებენ ვითარებას ცოტა უფრო ობიექტურად შეხედონ. როცა, „ნაციონალები“ ეუბნებიან საქართველო დაქცეულიაო, ხომ შეიძლება თავად ჩამოვიდნენ და დარწმუნდნენ, რომ



ასე არაა, მაგრამ ამას არ აკეთებენ.

**— რატომ არ ინტერესდება ევროპა სიმართლის დადგენით, მართლა აქცევს თუ არა ივანიშვილი ქვეყანას?**

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია — როდესაც სააკაშვილი მათ ეუბნება, რომ ივანიშვილი ქვეყანას აქცევს, მათ შორის ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა მოჰყავს. სააკაშვილის რიტორიკა ასეთია — როგორ შეიძლება ოკუპანტთან ლაპარაკი, მას უნდა ეომო, ომში მოუგო და თუ ვერ უგებ, მაშინ მთელი მსოფლიო ოკუპანტის წინააღმდეგ უნდა ააჯანყო და აიძულო ტერიტორიების ოკუპაცია შეწყვიტოს. ვინაიდან ამ პოლიტიკამ კატასტროფამდე მიგვიყვანა, ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა რუსეთს დაელაპარაკოს. პირადად მე, ამას ვემხრობი და ვთვლი, რომ სხვა გზა არ გვაქვს. სხვათა შორის, ზუსტად იგივეს ფიქრობს ევროპა. რა გამოდის? —

**ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚᲔᲑᲘ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ „ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ“ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘᲐ. ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲗ ᲰᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ — ᲗᲣ ᲗᲕᲚᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ ᲕᲚᲣᲞᲐᲕᲗ, ᲐᲛᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲐᲠᲒᲣᲛᲔᲜᲢᲘ ᲙᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ ᲓᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲛᲐᲡ? ᲔᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲐᲠᲒᲣᲛᲔᲜᲢᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ „ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ“ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲐᲠ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲒᲕᲔᲣᲑᲜᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ — ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲔᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲗᲝ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ — ᲘᲛᲐᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲜ, ᲠᲐ ᲠᲩᲔᲕᲔᲑᲡᲐᲪ ᲔᲕᲠᲝᲞᲐ ᲒᲕᲐᲫᲚᲔᲕᲡ. ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲮᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ ᲐᲢᲐᲠᲔᲑᲓᲐ, ᲔᲕᲠᲝᲞᲐ ᲙᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲯᲘᲣᲢᲐᲓ ᲛᲐᲡ ᲣᲭᲔᲠᲡ ᲛᲮᲐᲠᲡ. ᲛᲐᲗ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐᲗ ᲘᲛ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲜᲮᲕᲐ, ᲠᲐᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ. ᲐᲜᲣ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲣᲚᲝᲒᲘᲙᲝᲑᲐᲐ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲔᲡ ᲐᲠᲒᲣᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ ᲐᲐᲛᲣᲨᲐᲕᲝᲡ.**

**— აქედან გამომდინარე, ალბათ ოპოზიციას არც აწყობს, ევროპამ ჩვენი ქვეყნის წინსვლა დაინახოს?**

— იმიტომ, რომ ევროპამ რომ დააფიქსიროს ჩვენი ქვეყნის უკეთესობისკენ სვლა, მაშინ გამოდის, რომ თვითონ ატარებდნენ არასწორ პოლიტიკას. „ნაც. მოძრაობა“ იმ რამდენიმე კაცის მძევალია. ამიტომ არც-ერთი შეცდომის აღიარება არ უნდათ, რაც ამ წლების მანძილზე ჩაიდინეს. მათ პერსპექტივა, როგორც პოლიტიკურ ძალას უკვე აღარ აქვთ. რაც შეეხება ევროპის „სახალხო პარტიას“, ისიც დარწმუნდება, რომ უპერსპექტივო პოლიტიკურ ძალას უჭერს მხარს. ეს რაც ადრე მოხდება, მით უკეთესი.

**— თქვენ, ახლა ევროპასთან ურთიერთობის სწორ ფორმებზე ისაუბრეთ, მაგრამ რამდენად რეალურია ეს მოკლევადიან პერსპექტივაში. ევროპა, როგორც ყმებს ისე გვექცევა, წლებია თავზე ლაფს გვასხამს, ჩვენ კი ვუთმენთ. რატომ ვისწრაფვით ჩვენ იმ ევროპისკენ, სადაც ქართველ ერს ბრბოდ გვნათლავენ?**

— პრაქტიკულად, მათი მხრიდან დამრიგებლური ტონი იგრძნობა. ამ დროს, ევროპელებს თვითონ აქვთ ძალიან არათანმიმდევრული პოლიტიკა. მაგალითად, მხოლოდ და მხოლოდ ტერიტორიული ფაქტორის გამო ევროკავშირის წევრებად ბულგარეთი და რუმინეთი მიიღეს. მაგრამ მათ, რეალურად ევროკავშირის წევრის უფლებებს არ აძლევენ — შენგენის ზონაშიც არ შეჰყავთ და არც ეროვნულ ვალუტად ევროს გამოყენების უფლებას აძლევენ. ანუ გამოდის, რომ ეს ქვეყნები ფორმალურად ევროკავშირში მიიღეს, მაგრამ ყველანაირ დაბრკოლებებს უქმნიან. თუმცა, ბულგარეთმა და რუმინეთმა კარგად გამოიყენეს სათავისოდ ევროკავშირის წევრობა, მაგრამ ევროკავშირის წევრობის სრული უფლებებით ვერ სარგებლობენ. ამ ფონზე გჯერათ, რომ ევროპა საქართველოს უვიზო რეჟიმს დაუწესებს?! — რა თქმა უნდა, არ დაუწესებს. აქ იმდენი პირობა წამოიჭრება, რომლის განხორციელებასაც წლები დასჭირდება. ამიტომ თვითონ ევროპის მიმართ ჩვენც ბევრი კითხვა გვაქვს.

**— თუმცა, „ნაციონალები“ ივანიშვილის მკაცრი ტონის შემდეგ, ევროპისკენ სვლის ხელისშემშლელ ფაქტორებზე ალაპარაკდნენ.**

— შეიძლება ხელი შეგვეშალოს ევროპისკენ სვლაში, თუ ეს ხელოვნურად მოხდება. თორემ, ჩვენ ევროპაში ინტეგრაციისთვის ნაკლებად არ ვართ მომზადებული, ვიდრე ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც უბრალოდ ევროპასთან ტერიტორიული სიახლოვის გამო განიხილება, როგორც კანდიდატი.

**— მაინც ხომ არ არის ევროპასთან ურთიერთობები სიცრუეზე აგებული. სააკაშვილს მოწმედ რომ უდგებიან „დემოკრატიის შუქურააო“, განა ეს ქართველი ხალხის წინაშე დანაშაული არ არის? ქუჩებში ამდენი ჩახოცილი ახალგაზრდა, ციხის წამებები და სხვა განა დემოკრატიის ეგიდით კეთდება?**




— სანამ სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურას“ დაუძახებ, მის ბოლო თვეებში გაკეთებულ განცხადებებს უნდა გადახედო. მისი განცხადებები ზიანს აყენებს, არა უბრალოდ მოწინააღმდეგე ძალას, არამედ ქვეყანას. მის ყოველ სიტყვაში ხალხისადმი ქედმაღალი დამოკიდებულებაა, დააკვირდით რა სიტყვებს ხმარობს — ხალხს ბრბოს ეძახის. ახორციელებს შანტაჟს — ხელისუფლებას ეუბნება თუ პოლიტიკურ დევნას არ შეწყვეტთ, თუ სამართლებრივ პროცესებს გააგრძელებთ და გარკვეულ პირებს შეეხებით — ასეთ შემთხვევაში ქვეყანას პრობლემები შეექმნებაო. ასეთი დამოკიდებულებაა. ზოგიერთი ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე, პარტია, თუ პიროვნება, აბსოლუტურად დაბრმავებულია და ამ კაცს „დემოკრატიის შუქურას“ ეძახის. მათ თვალები უნდა გაახილონ და რეალობას შეხედონ.

**— ჩვენ გამოვიარეთ 7 ნოემბერი, 26 მაისი და ათასი სხვა უბედურება, მაგრამ არასდროს გვინახავს ევროპისგან ძველი ხელისუფლებისადმი კრიტიკული წერილი.**

— რა თქმა უნდა. ეს იცით რატომ ხდებოდა? — ისინი ძველი ხელისუფლების მიერ შექმნილ პიარლეგენდას მიჰყვებოდნენ. ახლა, მოვლენები ობიექტურად რომ შეაფასონ, მაშინ გამოვა, რომ ან თვითონ იქცეოდნენ არასწორად, ან რაღაცის გამო მაშინაც სუბიექტურად აფასებდნენ მოვლენებს. ამიტომ ჯიუტად მიჰყვებიან აზრს იმის შესახებ, რომ მაშინაც და ახლაც სააკაშვილი „დემოკრატიის შუქურაა“. ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება კი, თურმე ევროპის მტერი ყოფილა.

**— „ნაცებმა“ ერთი ამბავი ატეხეს, ივანიშვილმა როგორ თქვა — 23 ევროპელი დაშორდა ევროპასო. როდემდე უნდა ვეფეროთ ევროპას მაშინ, როცა ეს მკვლელი რეჟიმი დემოკრატად გამოგვიცხადეს და ამის დამცველებს ევროპელები ჰქვიათ?**

— არა, ჩვენ ამან არ დაგვაშორა ევროპას, არამედ ეს ივანიშვილის სტილია, საიდანაც ჩანს, რომ იგი დამოუკიდებლად აზროვნებს. იგი დასკვნებს აკეთებს არა კონიუნქტურის შესაბამისად, არამედ იმის მიხედვით რაც სჯერა, რაზეც დოკუმენტები უდევს. ეს ჩვენთვისაც ცოტა უჩვეულოა, მითუმეტეს ევროპისთვის. იმიტომ, რომ ლიდერები, როგორც წესი, ასე არ იქცევიან, არამედ უფრო პოლიტიკურად. ივანიშვილი ნაკლებად პოლიტიკურად იქცევა. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ბიძინა ივანიშვილის ქმედებაში ცუდს მაშინ დავინახავ, როდესაც იგი ისეთ ნაბიჯს გადადგამს, რაც სახელმწიფოს დააზიანებს. ჯერჯერობით, ასეთ რამეს ვერ ვხედავ.

**— ბატონო გოგი, ადრე ზვიად გამსახურდიას ბუშმა უსაყვედურა ევროპის დინების საწინააღმდეგოდ მიცურავო, თუმცა ზვიადიმ უპასუხა — დინებას, მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიანო. ჩვენ საით მივცურავთ?**

— არა, დინებას არ უნდა მივყვეთ, მაგრამ თუ ჩვენი დინება იმაში მდგომარეობს, რომ ევროპაში უნდა გავერთიანდეთ, მაშინ ღირსების და სახელმწიფო ინტერესების დაცვით ევროპისკენ უნდა ვიაროთ.

**— შეუშლის თუ არა ხელს ევროპასთან სიტუაციის დაძაბვა ასოცირების ხელშეკრულების დადებას?**

— არ უნდა შეუშალოს. პოლიტიკოსი არ ვარ და ფუფუნება მაქვს, ცოტა თავისუფლად ვისაუბრო. არც არის იმის შანსი, რომ ჩვენ ახლო დროში ასოცირებული შეთანხმება მივიღოთ. ამას ბევრი პირობა სჭირდება. ეს არ არის ახლო პერსპექტივა, ამას დრო სჭირდება. ამიტომ ევროპის ასოცირებულ წევრობაზე შეთანხმება ახლა თუ არ მიიღწევა, ეს იმიტომ კი არ მოხდება, რომ მთავრობამ ამას ძალისხმევა დააკლო, ან ევროპას დავშორდით, არამედ ჩვეულებრივი ტემპით მივდივართ და რაღაც ეტაპზე ამ ხელშეკრულებას ხელს მოვაწერთ.

**— ბოლოს მაინც მინდა გკითხოთ, ევროპასთან ურთერთობა ეროვნულ დრამად ხომ არ გვექცა. ჩვენ სამართლიანი ქვეყნის შენება გვინდა, ევროპა კი გვეუბნება ჯალათს დაუჭირეთ მხარიო.**

— ეს, ევროპის მხრიდან, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ არაადეკვატური რეაგირებაა. ამოსავალ წერტილად აღებულია არა ის, რაც რეალურად ქვეყანაში ხდება, არამედ გარკვეული სუბიექტური აზრით მიწოდებული ინფორმაცია.

**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ**
555 23 28 24



# საქართველოსთვის „ნაც.მოძრაობაც“ ისეთივე ოკუპანტია, როგორიც რუსეთი

## ივანიშვილმა „ციხე-სიმაგრე“ — „ნაც.მოძრაობა“ და ქაღალდის ვეფხვი — სააკაშვილი ერთი წკიპურტით გააქრო

გვესაუბრება პოეტი და საზოგადო მოღვაწე **დათო მაღრაძე:**

**— ბატონო დათო, თქვენ ახლახან ხელისუფლება გააკრიტიკეთ. კონკრეტულად რით ხართ უკმაყოფილო?**

— რაც შეეხება ახალ ხელისუფლებასა და დღევანდელ რეალობას, კი არ გავაკრიტიკე, უბრალოდ ძველი გამოცდილებიდან გამომდინარე, შევახსენე, რომ დაბურული მინებიდან სამშობლო ისე კარგად აღარ ჩანს, როგორც იმ ადამიანის თვალსაწიერიდან, რომელიც თავის მოქალაქეების მსგავსად ყოველდღიურობით ცხოვრობს, ეს იმიტომ ვთქვი, რომ არასდროს არავის დაავიწყდეს — რაც უფრო ხანგრძლივია მეხსიერება, მით სასარგებლოა ხელისუფლებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც, ისინი ყოველთვის ფხიზლად უნდა იყვნენ. 120 დღე არ არის ისეთი ვადა, როცა რაღაცები უნდა შეაფასო. თუმცა, ერთ რამეს ვიტყვი — საქართველოში არაჩვეულებრივად პოზიტიური რამ მოხდა — 9 წლიანი ფსევდო-ინგლისურენოვანი აღმოსავლური ტიპის დესპოტია დასრულდა. ეს ჯოჯოხეთური ყოფა იყო, რაც „ნაც. მოძრაობამ“ სრულიად საქართველოს დაატეხა თავს.

**2003 წელს მოსახლეობა არჩევნებზე წავიდა და რომ გვეგონა ხელისუფლება ავირჩიეთ, მოულოდნელად საქართველოს მოსახლეობას „ნაც. მოძრაობა“ დაესხა თავს. საიდანაც თავდასხმას არ ელი, იქ საზღვარი მოუთითვლებული გაქვს. სწორედ ამ მოუთითვლებული საზღვრიდან დაესხა საქართველოს „ნაც. მოძრაობა“ თავს. 9-წლიანი ტირანიის შემდეგ პოლიტიკაში, ბატონი ბიძინა ივანიშვილი შემოვიდა, შექმნა კოალიცია „ქართული ოცნება“ და „ნაც. მოძრაობის“ უძლეველობის მითი ერთბაშად დაამსხვრია. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის უიარაღობით გათავხედებული უსუსური ორგანიზაცია თავის ბელადიანად ივანიშვილმა ქაღალდის ციხესიმაგრესავით დაჭმუჭნა.**

ივანიშვილი გაწონასწორებული, პრობლემებზე ღრმად დაფიქრებული, ძალიან გამჭრიახი ადამიანია. ეს ცვლილება არამარტო პოზიტიური, არამედ ზნეობრივად გარდამტეხი იყო. ახლა ჩვენ ყოველდღიურ ყოფაში შევედით. იქ უნდა დავბრუნდეთ, საიდანაც იოანე საბანისძის ჩვეულებრივობის, ყოფის განსაზღვრება იწყება — მამულისა ჩვეულებისაებრ სვლაი. სწორედ ესაა ნორმალური საზოგადოების სულიერი მოთხოვნა — ქვეყანამ ამ გზაზე იაროს, სადაც შეცდომაც იქნება, წარუმატებლობაც, მაგრამ ბევრი წარმატებაც.

**— მაგრამ ჯერ ხომ ეს მამული გვაქვს დასაბრუნებელი. დღეს ჩვენ უბრალოდ მიწაზე ვცხოვრობთ, რომელიც ქართველების გარდა მგონი ყველასია.**

— პატრიოტიზმი დღეს პროფესიად გადაიქცა, რასაც ქვეყნისთვის სასარგებლო არაფერი მოაქვს. სამშობლოს გადარჩენის ფაკულტეტის საყველაფრო სხვაგან არსად მინახავს, ეს მარტო ქართველებს აქვთ დამთავრებული. ზოგი სამშობლოს გადარჩენის მაგისტრია, ზოგი სრული პროფესორია, ზოგი სტუდენტი. პროფესიას ძალიან დიდი ფასი აქვს. ყველა პროფესიონალი, საქმის მცოდნე პატივს სხვის პროფესიასაც სცემს. ეს ინფორმაციული ვაკუუმია, სადაც მითოლოგიას, ჭორს უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება. ამ პერიფერიული აზროვნების კატეგორიიდან, დროში გავრცობილად, მაგრამ საზოგადოებამ ნორმალურ ყოფაში უნდა გავაღწიოთ.

**— ახლახან, ბიძინა ივანიშვილმა რეგიონების ჟურნალისტებთან შეხვედრა გამართა. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— პრესკონფერენციის დიდ ნაწილს ვუყურე და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ივანიშვილი ძალიან მასშტაბურად აზროვნებს. იგი პრობლემის სათავეს გრძნობს, აგნებს და იცის, საიდან რას უნდა ეშველოს. ძველი ხელისუფლება კი საქმეს კი არ აკეთებდა, არამედ მათ უნდოდათ ხალხს ჰგონებოდა, რომ საქმე კეთდება. ეს „ნაც. მოძრაობის“ და მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ბოლშევიკების მიზანი იყო. „ნაც. მოძრაობა“ ამ ბოლშევიზმის სულიერი მემკვიდრეა. ამიტომ მათი პიარი ყოველთვის აწყობილია იმაზე, რომ მოვტყუვდეთ, გვეგონოს, რომ საქმე არათუ კარგადაა, არამედ უკვე სამოთხეში ვცხოვრობთ.



მათი ტენდენცია იცით, რას მაგონებს? — ფილმ „შერეკილებს“ — გვირაბიდან ბიძიაბაბუა და ერთაოზი ისევ ქვევრში რომ აღმოჩნდებიან. ერთაოზი ისევ ქვევრში ბრუნდება, ბიძიაბაბუა კი ეუბნება — ჩვენ ტყეში ვართო. ეს არის „ნაც. მოძრაობის“ სიმბოლო. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ბიძია ბაბუა იდეალისტი იყო, ხოლო „ნაც. მოძრაობას“ უნდა, რომ ქვევრში მყოფ ხალხს ეგონოს, რომ სამოთხეში არიან. ივანიშვილის მიზანი კი პრობლემისთვის სათავის მოძებნაა. ეს ადამიანი არ იტყუება, არამედ ბოლომდე მისდევს საქმეს და ცდილობს უშველოს იმ დროში, რომელშიც საჭიროა. აქ ელემენტარული მენტალური სხვაობაა. ვთქვათ, ხიდი, რომლის აშენებისთვისაც 3 წელია საჭირო და 3 თვეში აშენებ, აუცილებლად ჩაინგრევა. „ნაც. მოძრაობა“ მთლიანად თარიღებზე იყო მიბმული. ვინმეს შეიძლება არ მოსწონს ხელისუფლების წარმომადგენლები. უკეთესზე უკეთესი არ დაილევა. ლადო ასათიანი ამბობდა — „ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა“. ჩემი ამოსავალი წერტილიც ესაა — არ მინდა, რომ რომელიმე ხელისუფლებით როდესმე კმაყოფილი ვიყო. იმიტომ, რომ მოქალაქის კმაყოფილება განვითარების მუხტს კარგავს. თუ უკეთესი არ გინდა, ეს მუხტი გაქრება და ადგილზე ტკეპნა დაიწყება.

**— წელან, როცა არაინფორმირებულობა ვახსენეთ, ამაში მასმედიის როლსაც ვგულისხმობდი. დღეს საქართველოში პირველად ჩამოსული ადამიანი, ტელევიზორს თუ შეხედავს შეიძლება გაუჭირდეს იმის დაჯერება, რომ ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა. ეკრანებიდან ისევ „ნაციონალები“ გვიმზერენ.**

**— საქართველო დღეს ოკუპირებული ქვეყანაა — მისი მიწა-წყლის ნაწილი რუსეთს აქვს ოკუპირებული, ხოლო დანარჩენი ნაწილი „ნაც.მოძრაობას“. ორივე ოკუპანტია რუსეთიც და „ნაც. მოძრაობაც“. იმიტომ, რომ ვიღაცას ქართული გვარი აქვს, მის მიერ განხორციელებული ოკუპაცია ჩემთვის მისაღები არაა.**

მაგალითად, ტელევიზიის ოკუპაცია „ნაც. მოძრაობამ“ განახორციელა და ეს ინერცია დღემდე მოდის. მაგალითად, საზოგადოებრივ მაუწყებელს „ნაც. მოძრაობის“ ნარჩენები — აგრესიული უმცირესობა — მართავს. ისეთი კანონმდებლობა შექმნეს, რომ ბორდი ვერ შეცვალო, რომელიც „თავისუფლების ინსტიტუტის“ და უშიშროების საბჭოს მიერ მართულია. ბორდის მეშვეობით სიტყვის თავისუფლებაზე ზეწოლას ახორციელებენ. ჩვენ დავიბრუნებთ საზოგადოებრივ მაუწყებელს. უკვე 550-მდე ჟურნალისტი ხელმოწერებით ბორდის ჩამოცილებას ითხოვს. რა მექანიზმიც არ უნდა ჩადოს უშიშროების საბჭომ, მერაბიშვილის ჯალათებმა თუ თავისუფლების შეზღუდვის ინსტიტუტმა, საზოგადოება მასობრივად გამოხატავს საკუთარ მოთხოვნას — ეს საზოგადოების და არა უშიშროების საბჭოს საზოგადოებრივი მაუწყებელია. „ნაც. მოძრაობას“ არ უნდა დაიჯეროს, რაც 1 ოქტომბერს მოხდა. ხელისუფლებაში ყოფნისას ისეთი ბედნიერები იყვნენ, სიამოვნებისგან კრუტუნებდნენ. გეტყვით, რა განსხვავებაა ახალსა და ძველ ხელისუფლებას შორის —

**„ნაც. მოძრაობა“ ხელისუფლებაში ყოფნით ბედნიერი იყო, ხოლო ივანიშვილისა და მისი გუნდისთვის ხელისუფლებაში ყოფნა — ტვირთია.**

„ნაცები“ ბედნიერების ხელიდან გამოცლას ვერ ეგუებიან და ცდილობენ კოაბიტაცია დემაგოგიის ინსტრუმენტად და კრიმინალების თავშესაფრად აქციონ. 1 ოქტომბერს მოსახლეობამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ ქვეყანაში სამართლიანობა უნდა აღდგეს.

**— როგორც ახლა თქვით, მოსახლეობის მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენაა. მაგრამ როცა პრემიერი გვეუბნება, კუბლაშვილმა თავისი უფლებამოსილების ვადა შეუძლია ბოლომდე მიიყვანოსო, როცა გიგი უგულავას ბრალს უხსნიან და ა.შ. როგორ უნდა მიიღწეს სამართ-**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**ლიანობა? თავად თქვენც ხომ „შემოიხედე გენაცვალე“ უწოდეთ პროკურატურას?**

— ხელისუფლებაში ნამყოფი ვარ და ვიცი, რომ ყოველთვის, ყველაფერს დეტალურად ვერ იტყვი, რადგან მეტი პასუხისმგებლობა გმართებს. თუნდაც მიყენებულ შეურაცხყოფას იგივე ფრაზებით ვერ უპასუხებ. სამართლიანობის აღდგენის გზაზე ვერანაირ საფრთხეს ვერ ვხედავ. უგულავას ბრალდება „ნაც. მოძრაობის“ მიერ დანიშნულმა სასამართლომ მოუხსნა, მაგრამ როცა არსებითი განხილვები დაიწყება, სიტუაცია შეიცვლება.

**— პრემიერმა ახლახან განაცხადა ვანოს საქმე ძალიან ცუდად აქვს, მაგრამ რა გაგვიხდა ასეთი, რომ თუნდაც გირგვლიანის საქმეში ვანო მერაბიშვილის ბრალეულობა 5 თვეა ვერ დავადგინეთ?**

— თაკო, მე არ ვიცი რამდენი თვეა საჭირო ამისთვის, პროკურატურაში არ მიმუშავია. შეიძლება 5 თვეა საჭირო, შეიძლება 1 წელი, შეიძლება 5 დღე და ვიღაც აჯანჯლებს — არც ეს ვიცი, მაგრამ რადგან ხარვეზები არსებობს იმიტომ ვუწოდე პროკურატურას „შემოიხედე გენაცვალე“. როდესაც პროკურატურა ამბობს, რომ კონკრეტული პირის მძიმე ბრალეულობა დოკუმენტურად დაასაბუთეს, მაგრამ პირის დაკავება მის გეგმაში არ შედის, ამ დროს მიჩნდება კითხვა — ეს პროკურატურაა თუ კეთილშობილ ქალთა სასულიერო სემინარია?! რა თქმა უნდა, ამას ვიტყვი და ლოგიკურად ეს განცდა აქვთ მოქალაქეებსაც. დიახ, ვითხოვთ სამართლის აღდგენას. ეს ჩვენ, გარკვეულწილად დავავალეთ იმ ხალხს, ვინც ავირჩიეთ. ამის შემკვეთი მოსახლეობაა. სამართლიანობის აღდგენის გზაზე თანადგომა გვჭირდება. ხელისუფლებას და მოსახლეობას თანადგომა სჭირდება, მაგრამ ეს გამორიცხავს იმას, რაზეც ვსაუბრობდით — მოსახლეობამ, გარკვეულწილად, ზნეობრივად ზეწოლა განახორციელოს არსებულ ხელისუფლებაზე, რათა სამართლის აღდგენა დააჩქარონ. ასეთია ჩვენი ხალხი, ტრადიცია — ბევრ გაჭირვებას ავიტანთ, მაგრამ უსამართლობას ვერ შევეგუებით.

**— ბოლო დროს „ნაციონალების“ უკან დაბრუნების ტენდენცია შეინიშნება. თუნდაც, შაშკინი ხომ არ დაბრუნდა სწორედ იმიტომ, რომ „ნაციონალების“ სასამართლომ უდანაშაულოდ სცნოს?**

— **გაქცეულები მასიურად ბრუნდებიან იმიტომ, რომ შეიძლება იმდენი ავკაცობა აქვთ ჩადენილი იქ აღარ დაედგომებათ და მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, მეორე — შეიძლება ისინი თავად სააკაშვილს ჩამოჰყავს. მას ერთი სული აქვს ესენი თავის პოლიტიკურ სახეს შესწიროს. ეს ხალხი მონებად არიან გაჩენილნი, მზად არიან სააკაშვილის მომავალ ლექციებს შეეწირონ.**

სააკაშვილი, რაც მეტს შეიწირავს, მით მეტი სათქმელი ექნება — აი, ჩემი თანამოაზრეები კვლავ პასუხისგებაში მიეცნენო. ესენიც მზად არიან — მათ ხომ მეტი ფუნქცია არ აქვთ.

**— ბატონო დათო, რამდენად ლოგიკურად მიგაჩნიათ დღეს „ნაც. მოძრაობის“ ოპოზიციაში, პარლამენტში ყოფნა. ჩვენ ხომ ვამბობდით, რომ ეს პირსისხლიანი, ფაშისტური რეჟიმი იყო.**

— არ ვიცი რანაირი ოპოზიციაა „ნაც. მოძრაობა“. თუ პრეზიდენტი, ქალაქის მერი, უშიშროების საბჭოს მდივანი, გუბერნატორები ოპოზიციაში არიან, ეს კოჰორტა თავის თავს რატომ არ ეკითხება — ვისთან არიან ოპოზიციაში — პრემიერ-მინისტრთან? — არა, პრემიერ-მინისტრი 1 ოქტომბერმა მოიყვანა. ესენი საქართველოს მოსახლეობასთან არიან ოპოზიციაში, საქართველოს მოქალაქის ინტერესთან არიან კონფლიქტში და ოპოზიციაში. ამიტომ მათი ხელისუფლებაში ყოფნა უსასრულო არ იქნება. ზოგს გონივრული ეჭვი აქვს, რომ უფრო ადრე მოუწევს ხელისუფლებიდან ჩამოცილება, ვიდრე მათი არჩევის ვადა ითვალისწინებს. ვგულისხმობ, გონივრულ ეჭვს მათ დანაშაულობებთან დაკავშირებით.

**— რაც საუბარი დავიწყეთ არ გვიხსენებია სისხლიანი არლეკინი, როგორც თქვენ სააკაშვილს უწოდეთ. 20 იანვრის მერე ქართველი ერი მას ვადაგასულად აღიქვამს, თუმცა იგი მაინც აგრძელებს პრეზიდენტობას. მის იმპიჩმენტზეც საუბრობდნენ, თუმცა ეს თემა მიჩუმდა.**

— როგორც ჩანს ყველაფერს თავის დრო აქვს. თანაცხოვრების კულტურა საქართველოში არსებობს, ეს შეგვიძლია, ოღონდ მოლოდინი სამართლიანობის აღდგენაა. თუ რამით ჰგავს საქართველო ევროპას, ეს კულტურის ქსოვილია. ჩვენი სულიერი თავგადასავალი ძალიან ჰგავს ევროპისას.



**— მაგრამ როგორ წარმოგიდგენიათ თანაცხოვრება სისხლიანი არლეკინის ფაშისტურ რეჟიმთან?**

— გეტყვით რას ვგულისხმობ თანაცხოვრების კულტურაში — კრიმინალი, რომელმაც ადამიანი მოკლა, თუ ის ქუჩაში თავისუფლად მოსეირნე ჭირისუფალს ხვდება, რომელიც თავად მან აქცია ჭირისუფლად, ეს თანაცხოვრების კულტურა არაა, არამედ უკულტურობაა.

**თანაცხოვრების კულტურაა, როდესაც ჭირისუფალი თავის დარდშია, მაგრამ იცის, რომ მისი შვილის მკვლელი დასჯილია. როდესაც სამართალი აღსრულებულია, ესაა თანაცხოვრების კულტურა, ჭირისუფალმა უნდა იცოდეს რომ დამნაშავე ციხეშია.ჩვენთან კი ასეთი ვითარებაა — ჭირისუფალს დღეს კრიმინალი ქუჩაში დასცინის.**

კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა — ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარი ინცინდენტის დროს პოლიციაში გარდატეხა მოხდა — ირაკლი ღარიბაშვილმა ქართულ პოლიციას ღირსება დაუბრუნა. ბოლო 9 წელია პოლიციას ჩვენი გვემის, დასახიჩრების, მოწამვლის, ლიკვიდაციის და წამების მეტი არაფერი უკეთებია. ამ 9 წლის მანძილზე პირველად მოხდა, რომ პოლიციამ უგულავა თავის მომხრეებიანად ცემით კი არ გახეთქა, არამედ ადამიანები გააშველა. აქამდე, პოლიციას სხვა ფუნქცია აღარ ჰქონდა, გარდა ოპოზიციის ცემის, დასახიჩრებისა და მკვლელობისა.

**— „ნაც. მოძრაობა“ 19 აპრილს აქციას გეგმავს. როგორ ფიქრობთ, რისთვის მზადებაა ეს?**

— გარანტიებისთვის ემზადება და ფართხა-ფურთხი აქვს ატეხილი. რისი მაქნისია „ნაც. მოძრაობა“? — ქაღალდის ვეფხვი — მიხეილ სააკაშვილი, ბიძინა ივანიშვილმა ერთი წკიპურტით დაშალა. „ნაც. მოძრაობა“ აღარ არსებობს. ეს კრიმინალები ახლა პოლიტიკურ პროცესს ეტმასნებიან და კოაბიტაციის პროცესში უნდათ თავისი ცოდვების გარეცხვა.

**— „ნაციონალების“ არ არსებობა რაში გამოიხატება, როგორც საუბრის დასაწყისში ვახსენე, მათ ყოველდღე ვხედავთ და ვუსმენთ.**

— იმიტომ, რომ „ნაც. მოძრაობას“ ოკუპირებული აქვს ტელევიზია. მე დღეს ვიცი, რომ ჩემი იურისდიქცია სოხუმში არ ვრცელდება, მაგრამ ხომ ვიცი რომ ეს საქართველოა. ასევეა, ტელევიზიაც —

**ვიცი, რომ ჩემი განწყობილება, გასაჭირი, დღესასაწული ტელევიზიით არ ჩანს, იმიტომ, რომ დღემდე „ნაც. მოძრაობის“ ნაშთები აკონტროლებენ, მაგრამ ხომ ვიცი, რომ იქ ისევ აღდგება საქართველო. ისე, როგორც ლიახვის ხეობაში, საზოგადოებრივ მაუწყებელზეც. საქართველო ყველგან აღდგება.**

**— ბოლოს რუსეთ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობებზე მინდა გკითხოთ. თქვენ „ერისიონის“ სკანდალის მერე თქვით, რომ თქვენი წიგნის პრეზენტაციაზე რუსეთში ჩახვალთ.**

— თუ ჩემი წიგნის პრეზენტაცია იქნება ჩავალ. „სალვეს“ პრეზენტაციაზე არ ჩავედი, რადგან ომი დაიწყო. ჩემთვის ინდივიდუალურ პროექტებს აქვს ფასი და არა მასობრივ ალტკინებას. მასობრივ ალტკინებებში არ ჩავერთვები.

**ოთარ ჭილაძეს აქვს გენიალური ნაწარმოები — „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. სახელოვნებო გზა — ერთი კაცის სიარულია, აქ ხალხი კოლექტიურად არ დადის.**

ჩემთვის როგორც დიდი პატივია ინგლისელი მკითხველის მოსმენა, ასევეა რუსის შემთხვევაში.

**როცა პუტინის და კოსიგინის მიხედვით ვსაუბრობთ რუსეთზე, ერთი წამით წარმოიდგინეთ ჩვენზე სააკაშვილის მიხედვით რომ ისაუბრონ, მოგვეწონება? ქართულ ნაციაზე სააკაშვილის თვისებების მიხედვით, რომ იმსჯელონ, ხომ საშინელება იქნება. ან მერაბიშვილის ქცევის მიხედვით ვაჟა-ფშაველაზე რომ იმსჯელონ, წარმოგიდგენიათ რა უბედურება იქნება?!**

არ შეიძლება ვიღაც რეგვენი გენერლის მიხედვით იმსჯელო დოსტოევსკიზე. დოსტოევსკი ლამის ბენ-ლადენად აქციეს „ნაც. მოძრაობის“ ლიბერტარიანელებმა, სინამდვილეში ცოცხისტარიანელები რომ აღმოჩნდნენ. დოსტოევსკი ხომ ისეთ სხვა სივრცეშია, რომ „ნაციონალები“ იქედან არ ჩანან და „ნაციონალებიდან“ დოსტოევსკი არ ჩანს. მათ ის ქართველები აღიზიანებთ, ვინც დოსტოევსკის ფასი ვიცით, ჩვენ გვებრძვიან. რატომ? — ელოდებიან იმ ხელისუფალს, ვინც შეურაცხყოფას მიაყენებს ნიჭიერ ხალხს, რომ ამ ხელისუფლების გვერდით დადგნენ. ისინი რევანშისტები არიან. ეს არის მეორეების რევანში პირველებზე, რაც უნდათ პატრიოტიზმის სახით მონათლონ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24




# xa l xis az r iT

ამ რამდენიმე დღის წინ ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრი და მისი მეუღლე დააპატიმრეს.. რომელიმე ქართველმა პოლიტიკოსმა,არ აქვს მნიშვნელობა რომელი ფრთიდან-დაგმო ,აღშფოთდა, თითი დაუქნია და მუშტი მოუღერა ამ ფაქტის გამომათ და და მიაყარა ცილისმწამებლური წერილები ინგლისის სამართალდამცავებსა და მთავრობას?

საკუთარ სუვერენულ ქვეყანაში მაღაზიაში პურზე ვეღარ ჩავსულვართ ,ევროპის დაუკითხავად...ეს არ არის ზეწოლა ქვეყნის მთავრობაზე?

ჩვენი სწრაფვა ევროპასა და ნატოსკენ შეუვალია, მაგრამ ყველამ თავის მარგარეტ-მამიდას მიხედოს და სულში ნუ გვიძვრებიან...

მე მინდა კითხვა დავსვა ე.წ. მედიის ეთიკის საბჭოა თუ რაღაც გაერთიანება რომელშიც შედიან ია ანთაძე, ზვიად ქორიძე, ნინო ზურიაშვილი და კიდევ ბევრი ჭკუის დამრიგებელი. რატომ არ ისმის მათი „ომახიანი“ ხმა მას შემდეგ, რაც სხვადასხვა ტელე ეთერებიდან უკვე მერამდენედ ვისმენთ გინებას და ქართველი ხალხის შეურაცხყოფას. სად არის თქვენი „პრინციპულობა“??? თუ კიდევ აპირებთ მაყურებლისთვის თვალში ნაცრის შეყრას ისე როგორც ამას აკეთებდით ნაცკრიმინალური ხროვის მართველობის დროს. ხმა ამოიღეთ და მოითხოვეთ იმ ტელეწამყვანების ჩამოშორება ეთერიდან, ვინც ეს უმსგავსობა დაუშვა თავის გადაცემებში და ბოდიშიც კი არ მოუხადა ქართულ მოსახლეობას.

ძალიან კარგი იქნება თუ ბატონი ბიძინა საზოგადოების მხრიდან მიიღებს ინფორმაციებს, თუ რა ხდება რეგიონებში. უნდა შეიქმნას საზოგადოებრივი საბჭო ან სათათბირო ყოველი რაიონიდან და ქალაქიდან. უნდა იქნეს ჩართული საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მოსახლეობის მოსაზრებას მიიტანს ბატონ ბიძინამდე და არა წინასწარ მომზადებულ ვიღაცის გულის მოსაგებ ტექსტს! ასეთი შეხვედრები კვარტალში ერთხელაც საკმარისი იქნება.

საინფორმაციოში ამინდის პროგნოზსა და კულტურიას ამბებს შორის პრეზიდენტის სიზმრები არ უნდა იყოს?)) აფხაზეთი მესიზმრაო.... არადა სანდო წყაროებიდან ვიცი, სევანი უნახავს)))

მიხო მეწვია თავის ცისფერი ელექტრომობილით, სიზმრების ახსნა გცოდნია, აფხაზეთი დამესიზმრა და მიშველეო......რა ნახე, შე ყურუმსაღო აბა ჩამოყაჭე-მეთქი, დაიწყო და რა დაიწყო....გერმანული პორნო-ფილმების გახმოვანება აკლდა ერთი, გარბაჩოვის დაჩაზე იმ მინისტრსო, ლიძავაში ამ მინისტრსო, ლესელიძეში იმის ცოლსო, დრანდაში ციხეების უმფროსსო...... თან სულ პოზა-პოზა ყვებოდა, ბოლოს კოდორში აქეთ, როგორ გადაკუზეს პატივცემული, მაგის მოყოლაზე, რომ გადავიდა გავაჩერე......სიზმრის ამხსნელი კი არა, სექსოპათოლოგი გინდა შენ, ბიძია, წაი, ეხლა, ექიმთან-მეთქი დავაკვალიანე))))

ამ ქვეყანაში ძალიან ბევრი ადამიანი ვითომ დასავლურ ღირებულებებს აღიარებს, შინაგანად კი სოციალისტია! მითხარით, აბა, რატომ გძულთ მდიდარი ადამიანები, თქვენგან მოიპარა რამე? ამ ქვეყანას რაიმე ზიანი მიაყენა მისმა მილიონებმა? სხვებივით საკუთარი ხალხისთვის მოპარული ფულით აიწყო ბიზნესი?..

ყველაფერს შევეგუები, თუნდაც იმას, რომ მიშა 2013 წლამდე დარჩეს პრეზიდენტის ჯორკოზე, მაგრამ ნაგლი გიგი უგულავას ასეთ ჯეჯილობას ვერასოდეს ავიტან... ამ უწიგნურის დასაცინია ხალხი? არა, გაჩუმდეს და გაინაბოს მაინც... ყოველდღე დაცინვას აგრძელებს... ვნახოთ, გიგი, ვინ გაიცინებს ბოლოს :)) ვის ფულებს ურიცხავას ამ ხალხს? ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას, თორემ უკვე აუტანელი ხდება ამის ატანა...




# xa l xis az r iT

19 აპრილს ვერტალიოტი უნდა ვიქირავო! რუსთაველზე უნდა გადავიფრინო და ''საოხრე'' გადმოვკიდო.

დაჟე არ ვიცი, რომელი უფრო განდონია. ჟრიამულა თუ ოქრიკა.

სხვისი დიპლომების ქექვას ვინც დაიწყებს ცოლი გაუთხოვდებაო

ვანომ, დემოკრატიაა მიტინგებიო!). კი, ჩემო ვანიჩკა კი — დემოკრატია უმიტინგოდ ვის გაუგია) მარა, დემოკრატიის ყველა შენეული კრიტერიუმი შენარჩუნებული რომ იყოს, არ გაწყენდა, ეგ ტაფასავით თავი გაგიჭეჭყო და მერე ჯიხურზე შემოგდო, თან ერთი ორი კურცხალიც ჩამოვაგორო ლოყაზე, დენმა მიაფინთიხა ჩვენი ხერხემალაო!)

მაგარი იდეა მაქ, ევროპარლამენტარებიც, რომ ვერ აღშფოთდებიან ისეთი და გულსაც რომ მოვიფხან..... მაგალითად..... წავიყვან რამდენიმე კამერას, ჩავუსაფრდები სადმე წუკლარას, დავესხმი თავს, გავხევ ცემაში(თან კამერები იღებს ამ დროს) ავაგლიჯავ ყურს, ამოვუგდებ თვალს და გავუსრისავ, და ამ სისხლიან, მაგრამ სასიამოვნო პროცესს რომ მოვრჩები, მოვტრიალდები კამერებისკენ, წუკლარასაც მოვატრიალებინებ თავს და ვიყვირებ; გაიღიმეთ, ფარული კამერაა)))))

ნაცების ნარევოლუციარი არ გეიშვას, მაგი დრო დამთავრდა და ახლა თუ მთავრობა არ დააჩქარებს, ხალხი თავისას მაინც იზამს და ვერც ვერავინ ვერ მოსთხოვს მას იურიდიული ნორმების დაცვას, ასეთ სამართალს ლინჩი ქვია და ათაბაბიდან მოდის

ყველანაირი კონსტიტუციური დარღვევა ჩვენს ქვეყანაში კუბლაშვილებიდან მოდის, ორი წლის წინ მთელი პრესა აჭრელებული იყო ბუკიას ბაღში კუბლაშვილის ხუთსართულიანი სახლის არსებობით, ყველა ხელისუფლებას ავიწყდება რომ ხალხს მეხსიერების დიპლომი აქვს აღებული...

პარალელურად სახელმწიფო უნივერსიტეტებში უნდა გაიხსნას აგრარული ფაკულტეტები, რომლებზეც სწავლა უფასო იქნება და თან ბენდუქიძისაგან განსხვავებით, სოფლის აღორძინებაზე იზრუნებს და ამ ფაკულტეტდამთავრებულს გლეხი ისე არ ეძულება, როგორც ამ უკანასკნელს.

ახლა ერთი მაკვარანცხი აზრი მომივიდა...ძალოვანებში ხომ იგივე ხალხი მუშაობს? (უმრავლესობა, ქვედა დონეზე), ხოოდა, უცებ რომ გააფრინოს ახალმა მთავრობამ და იმ 69 ქათმის დარბევის ბრძნება გასცეს, 19-ში რომ იკაკანებენ, რას იზამენ, მიბრიცავენ? არავის ცემა არ მიხარია, მაგრამ ბლუ ვანოს რომ მოუქნევენ, ის კადრი მანახა!

ნაციანალებს, აწი შეგიძლიათ დაუძახოთ -თქვე ჩემის ცხრამეტიანებო!

ღელავენ „სახალხო პარტიაში“, ეს რა კონვერტები ჩამოდის საქართველოდან, შიგ მარტო წერილები დევსო :)))

23 მარტს ნებისმიერი დეპუტატი, რომელიც ხმას არ მისცემს (ან თუნდაც - თავს შეიკავებს - ვიცი, მე, თქვენი ოღრაშობა!) საკონსტიტუციო ცვლილებებს, ჩემთვის იქნება დიქტატურის მხარდამჭერი და იმის ღიად მოსურნე, რომ ქვეყნის სათავეში ისევ დაბრუნდნენ მიშა, ვანო, ახალაიები, უსამართლობა და ხალხის გატყავება, ქვეყნის გაპარტახება და დაქცევა.

# „ვარდების რევოლუციის შემდეგ ვარდებს დასანახად ვერ ვიტან...“

***ბატონ ვალერი ხაბურძანიას, რომელიც ამას წინათ რამდენიმე დღით იმყოფებოდა საქართველოში, მოსკოვში ტელეფონით დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთოხოვეთ.***

**- დღეს რუსეთიდან პოლიტიკური ფიგურის ჩამოსვლა და ღიად საუბარი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დარეგულირების რეალური გზების შესახებ, საკმაოდ**



**დიდ გამბედაობას მოითხოვს. რამ გადაგადგმევინათ ეს ნაბიჯი?**

- საქართველო 20 წელზე მეტია დე-იურე დამოუკიდებლობით „ტკბება“, ამ პერიოდში საგარეო ვექტორი ამერიკისკენ იყო მიმართული, მიუხედავად ჩვენი დსთ-ში ფორმალური ყოფნისა, შედეგი: ფასადური აღმშენებლობა, არადემოკრატია, უსამართლობა და ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის გაურკვეველი მოლოდინი. უკვე მესმის ოპონენტების ყიჟინი და რა მოგვცა დსთ-ში ყოფნამ? ჯერ ერთი , დსთ სუსტი რეგიონალური გაერთიანება აღმოჩნდა და მეორეც, ჩვენ ამ დსთ-ში არც ვყოფილვართ, იქ ყოფნა ექვს თვეში ერთხელ შეკრებებზე ყოფნით შემოიფარგლებოდა და ისიც ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ჩვენ დსთ-ს არ ვიყენებდით, ჩვენ დრო გაგვყავდა. რაც შეეხება დახვედრას, ვარდებით დახვედრას არც ვისურვებდი, 2003 წლის ნოემბრის შემდეგ ველარ ვიტან ვარდებს, ეს ხუმრობით, სერიოზულად კი პათეტიკაში არ ჩამითვალოთ და ეს ნაბიჯი მართლა ქვეყნის წინაშე მოვალეობის გრძნობამ გადამადგმევინა, ამ ეტაპზე სხვა გზას მე ვერ ვხედავ და შევეცდები საზოგადოება ამაში დავარწმუნო, ამისთვის დასავლეთუმეებიც კარგად „ირჯებიან“.

**- თუ შეიძლება, დააკონკრეტეთ ხანმოკლე დროით თქვენი ჩამოსვლის მიზნები?**

- ჩამოვედი ჩემი ქალიშვილის ჯვრისწერაზე, არავითარი პოლიტიკა.

**- ნიშნავს თუ არა ეს, რომ რაღაც დიდისთვის ემზადებით, და თუ ეს ასეა, რისთვის?**

- ემსახურო შენს სამშობლოს, ეცადო ხალხის სწორ და სასარგებლო გზაზე შედგომას, ამაზე დიდი რა უნდა იყოს.

**- აპირებთ თუ არა მუდმივად საცხოვრებლად საქართველოში ჩამოსვლას და პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელებას საქართველოში.**

- ჩემი ოჯახი საქართველოშია, მეც შედარებით მუდმივად წელიწადნახევარია რაც წავედი, თანაც ორ თვეში ერთხელ ჩამოსვლის საშუალებაც მაქვს. უბრალოდ, უფრო ინტენსიურ პოლიტიკურ საქმიანობას ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ვგეგმავ, თუ რაიმე არ შეიცვალა.

**- თქვენი უშიშროების მინისტრად მუშაობისას როგორ ხსნით იმას, ასევე რუსეთში მცხოვრები პრორუსული ორიენტაციით ცნობილი ქართველებისგან, ეს არ გაშფოთებთ, რას დაუპირისპირებთ ამას?**

- ეს უარი სირაქლემას მაგონებს, სილაში თავჩაყოფილს. მოსკოვში დარბოდე ან სულაც იქ იყო და ჩრდილოეთზე არ იყო ორიენტირებული, თან რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობებს ქადაგებდე, მეტი კი არაფერია პრორუსულობა, პრორუსულობა ნიშნავს შენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების რუსეთთან მჭიდრო კონგლომერაციაში გატარებას, აბა, მე ჩემი ქვეყნის მტერი და მავნებელი კი არა ვარ. ქვეყანაში სამწევროვანი - პროამერიკული, ნაციონალური და პრორუსული ვექტორები ჩამოყალიბდა და ეს პროცესი იხვეწება, ყველა თავის ადგილს მონახავს, სხვანაირად ისინი გაქრებიან პოლიტიკური სცენიდან, ჩვენ არ ვჩქარობთ, ჩვენ კიდევ ბევრს დაველოდებით.

**- როგორ ფიქრობთ, უნდა გახდეს თუ არა საყოველთაო სახალხო განსჯის საგანი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის თემა?**

- ჩემი დეკლარირებული გამოჩენით სწორედ მაგას ვცდილობ.



**რომ გამოგრჩათ „ნაციონალების“ გამალებული მზადება რევოლუციისთვის?**

- და ვინ თქვა, რომ გამომრჩა. თუ ნოდარ დუმბაძის პერიფრაზს გავაკეთებთ, ყველა ხელისუფლება თვითონ იღუპავს თავს, ყეყეჩობამ, დაუჯერებლობამ და რეალობისგან მოწყვეტამ ხელისუფლება უუნაროდ აქცია, უუნაროს მოშორება კი ადვილი საქმეა, ეს ე.წ. ვარდების რევოლუცია, მე კი მას აბდიკაციას(იძულებას გადადგომაზე) ვუწოდებ ძალიან ადვილ საქმედ იქცა.

**- რა შთაბეჭდილებით წახვედით, რას მოელოდით და რა მიიღეთ? თქვენ შეთავაზებაზე უარი მიიღეთ, როგორც საქართველოს,**

დავიწყოთ მოქმედება, პარალელურად დისკუსია იყოს კონკურენცია, კონკურენცია კი პროგრესის საფუძველია, კიდევ ერთხელ უნდა დავაზუსტო: წინა ხელისუფლება დასავლეთზე გეოგრაფიულად იყო ორიენტირებული და არა ღირებულებების თვალსაზრისით, ჩვენი პრორუსულობა ქვეყნის შიგნით ე.წ. დასავლურ ღირებულებებს და საგარეო კურსის რუსულ ვექტორს გულისხმობს, ანუ წინა ხელისუფლების კურსის ანტიპოდია, ვიმეორებ, ჩვენ უნდა შევქმნათ კონკურენციით პროგრესირებადი პოლიტიკური სისტემა.

**- და თუ ეს ასეა და გაბედულად აპირებთ რუსეთთან სადი ურთიერთობისადმი დამოკიდებულების საჯარო ღია განხილვების გამართვას, არ გეშინიათ, რომ ქვეყნის მოღალატის იარლიყს მოგაკერებენ?**

- მე ქვეყანას რამდენიმე ათეული კვადრატული კილომეტრი ტერიტორია მართლა დავუბრუნე, პანკისი მაქვს მხედველობაში, ვინც მე მოღალატის ქვას მესვრის, ამის მეასედი გააკეთოს.

**- გისურვებთ წარმატებებს!**

**ქეთი ჩემია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ახალო ხელისუფლებავ, გადაყარეთ „ძველი ცოცხები“, რომ ნაგავი კარგად გამოცოცხოთ...

ქართველი უფლებადამცველები აცხადებენ, რომ ქართულ ციხეებში 20-25 000 პატიმარი იმყოფებოდა 2013 წლის ფართომასშტაბიან ამნისტიამდე. მაღალი იყო პატიმართა სიკვდილიანობის დონე და დასძენენ, რომ ქართულ ციხეებში 10-12 ათას პატიმარში 350 კვდებოდა წელიწადში. ამ რაოდენობის პატიმართა სიკვდილიანობა აქამდე მხოლოდ საკონცენტრაციო ბანაკებში და გულაგებში ხდებოდა თურმე.

რამდენიმე დღის წინ საქართველოს მთავარმა პროკურორმა განაცხადა, ახლახან გახდა ცნობილი, რომ, სავარაუდოდ, ციხეებში პატიმრებს ჯანმრთელ ორგა-



ნოებს აჭრიდნენ და მერე ამ ორგანოებს ყიდდნენო.

ჩვენი გაზეთი ამის შესახებ შარშანწინ წერდა და რადგან მაშინ ინფორმაციის წყარომ ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, ამიტომ ჩვენ ველარ შევძელით თემის გაშლა.

სხვათა შორის, მაშინ ახალშობილ ბავშვთა ორგანოების ვაჭრობაზეც გვქონდა საუბარი, მაგრამ ეს სხვა წერილის თემაა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანის ჯანმრთელი ორგანოები ტრანსპლანტაციისთვის მილიარდობით დოლარის მოგებას იძლევა...

როგორც ამბობენ, ამ „ბიზნესით“ გამდიდრდა ისედაც ფუფუნებაში მყოფი კოსოვოს ლიდერი **ჰაჩიმ ტაჩი**.

ჰაჩიმ ტაჩი, სხვათა შორის, ჩვენს მიშიკუნასნაირად აშშ-ის ფავორიტი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ტაჩი არაერთხელ ჩამოაცილეს თანამდებობას, იგი კვლავ და კვლავ ბრუნდებოდა. ამბობენ, მას მხარში აშშ-ის სადაზვერვო სამსახურის უფროსი **ჯორჯ ტენეტი** ედგაო. თვით ჰააგის ტრიბუნალმაც ვერაფერი დააკლო კოსოვოს „კაციჭამია“ ლიდერს, როგორც სერბები უწოდებდნენ, „ჰაჩიმ-მფატრავს“, მაშინ, როცა ტრიბუნალზე, პროკურორმა მას ადამიანების ორგანოებით ვაჭრობის ბრალდება წაუყენა. სხვადასხვა ინფორმაციებით, ღვიძლითა და თირკმელით ვაჭრობა ყველაზე მომგებიანი საქმეა.

კბილაშვილის განცხადების კვალდაკვალ, ჯერჯერობით, დაზუსტებით არავინ იცის საქართველოში ვინ იყვნენ ამ საქმეში გარეული კონკრეტული პირები, თუმცა, როგორც ამბობენ, ზოგიერთი ნაციონალი მაღალჩინოსანის გვარ-სახელი თანდათან იკვეთება.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კადრები, რაც ბატონი **ბედუკაძის** მიერ საჯარო გახდა, პირდაპირ მეტყველებდა იმაზე, რომ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების ბრძანებით და ნებართვით, საპატიმროებში გაუგონარ დანაშაულობებს ჰქონდა ადგილი, რომელიც არა მხოლოდ დემოკრატიულ პრინციპებს ეწინააღმდეგება, არამედ პირდაპირ ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა. იზოლატორებიდან გამოდიოდნენ ან სულიერად გადაგვარებული ადამიანები, ან გამოჰქონდათ ორგანოებამოცლილი მიცვალებულები.

ვინც ციხეში გარკვეული დროით არის ნამყოფი, დაგიდასტურებთ, რომ იქ მოხვედრილი ადამიანი გაუცნობიერებლად ხდებოდა საშინელი ექსპერიმენტის მონაწილე, ან ცდისპირი, რაც გულისხმობდა სხეულებრივად და სულიერად გარყვნილი, უსირცხვილო, სალაფავის მჭამელი ინდივიდის გამოყვანას.

საქართველოს პატიოსანი მოსახლეობა გარკვეულ ხანს კმაყოფილი იყო, ბაჩო ახალაია, ამ ბარბაროსული „ექსპერიმენტის“ ერთ-ერთი შემოქმედი რომ დაიჭირეს, მაგრამ მისი პატიმრობა ერთი პატარა ბრალდებით შემოიფარგლა — თანამშრომელს სახეში ხელი გაარტყაო.

ღმერთი, რჯული, ბაჩო ახალაიას მიმართ აბსოლუტურად არანაირი აგრესია, ან პირადი ან-



გარიშსწორების სურვილი არ გამაჩნია (და კმაყოფილი ვარ ამით, რადგან, სუბიექტური მოსაზრებებით არ ვწერ ამ წერილს), თუ მართალია ბაჩო ახალაია, გაამართლოს მართლმსაჯულებამ, მაგრამ, ყურმოკრული ამბავი არაა, ფაქტები წარმოგვიდგინა ბედუკაძემ ფირების სახით, აგერ ბრძანდება ეს კაცი თვითონაც — რატომ გახდა პროკურატურისთვის ასე უსაშველო ეს საქმე, ციხის გახმაურებულ სკანდალზე ჯერ პასუხისგებაში არავინ რომ არ არის მიცემული?

გახმაურებული მკვლელობები აუცილებლად და სასწრაფოდ გამოსაძიებელი საქმეებია, მაგრამ ციხის წამების და საპატიმროებში არაადამიანური მოპყრობის ფაქტები უფრო საჩქაროა, რადგან საქმე ცოცხალ ადამიანებს ეხება. ხალხს, რომლებსაც სისტემამ და ხელისუფალთა ერთმა ჯგუფმა ჯანმრთელობა, ფსიქიკა, მომავალი შეურყია და დაუნგრია. ჰუმანური და სამართლიანი მთავრობა მმართველობას ამით უნდა იწყებდეს, მით უფრო, რომ

**დღეს პროკურატურის კარზე კვლავ „აკაკუნებენ“ იმ საშინელებების შემსწრე და მნახველი ადამიანები, რომელთაც დაუფარავი და უანგარო ჩვენების მიცემა შეუძლიათ ამ საუკუნის დანაშაულზე...**

საზოგადოებისთვის გაუგებარია, თუ კოჰაბიტაცია მძიმე პროცესია, რატომ არ ცდილობენ მისგან თავის დახსნას, მით უმეტეს, რომ მიშა უკვე „ვადაგასულია“, გამოუცხადონ იმპიჩმენტი, ამხილონ ქართველი ერის გენოციდში (და არა მარტო ქართველი ერის) და თუ ეს პროცესი ოქტომბრამდე გაჭიანურდება, მით უკეთესი, მას და მის გუნდს ამ ბრალდების შემდეგ აღარ მიეცემათ მაღალი თანამდებობების დაკავების უფლება.

ესაა დემოკრატია, ადამიანების უფლებების შელახვის უარყოფა და სახელმწიფოს მშენებლობა და არა სააკაშვილთან და „ნაციონალებთან“ კამათლის გორება კოჰაბიტაციის სახელით.

**გენერალურო პროკურატურავ და იუსტიციის სამინისტროვ, გამოააშკარავეთ დამნაშავე ადამიანები, დასაჯეთ კანონის გათვალისწინებით, ჩამოაშორეთ ძველი კადრები თანამდებობებს, სისტემებს...**

ნუთუ არ არის საკმარისი 5 თვე იმისთვის, რომ გაიწმინდოს სასჯელაღსრულების სისტემა ძველი, აწ უკვე ავადმყოფური ფსიქიკის მქონე მოსამსახურეებისაგან?!

რამდენიმე დღის წინ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ **მაია ხასიამ**



**სუბარის** ბრძანებით, თანამდებობა დატოვა... ქალბატონი ხასია სხვა სამსახურში გადაიყვანეს.

ჩვენ, ჯერჯერობით, ვერ მოვიპოვეთ ზუსტი ინფორმაცია, რატომ გაათავისუფლეს მაია ხასია. არაოფიციალური ინფორმაციით, იგი სასჯელაღსრულების მე-5 დაწესებულებაში ახლახან ატეხილ ბუნტს ემსხვერპლა.

ქალბატონ ხასიას, რომელმაც, თურმე, დაწესებულება, ნაცნობმეგობრებით გაავსო, ერთ-ერთ თანამდებობაზე საკუთარი ძმა დაუნიშნავს, რომელიც მე-6 საპყრობილის ყოფილი თანამშრომელი ყოფილა და ღვინისა და არყის სიყვარულის გამო გაუთავისუფლებიათ სამსახურიდან. დღეს ხასიას სკამს ყოფილი პროკურორი **მიხეილ ლურწკაია** იკავებს, რომელსაც „ადეიშვილის პროკურორად“ მოიხსენიებს საქმეში ჩახედული ხალხი. გამოითქმება ვარაუდები, რომ თანამდებობებზე ინიშნებიან ისეთი პირები, რომლებიც წლების განმავლობაში ატერორებდა მოსახლეობას.

ბოროტებასთან წილნაყარმა ძველმა ხელისუფლებამ ქართველების სისხლით გაძღომა ვერ მოასწრო, ბიძინა ივანიშვილმა ჩაუშალა გეგმები, თუ სასჯელაღსრულების სისტემის ძირფესვიანი გაწმენდა არ მოხდა, აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებში მტყუან-მართალი სამართლიანად არ გაარჩიეს და ძველი მწამებელი-ჯალათები, რომლებიც დღეს თურმე კვლავ ძველ სამსახურებში მუშაობენ, ადამიანებისგან იზოლირებულად, საპატიმროებში არ ჩასვეს სისხლს მოწყურებულებმა ნაციონალებმა, მოსალოდნელია, ანგარიში სწორედ ამ უწყებიდან განახორციელონ და მერე ამ საქმეს ველარაფერი უშველის.

„ახალი ცოცხი კარგად გვისო“, ნათქვამია, „ცოცხების ხელისუფლებამ“ ბევრი ნაგავი დატოვა. „ძველი ცოცხებით“ ნაგავი არ გაიწმინდება. ახალო ხელისუფლებავ, გაყარეთ „ძველი ცოცხები“, რომ ნაგავი გაიტანოთ...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

## ტაქსის მძღოლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დაკავებულია



შინაგან საქმეთა მინისტრის ინფორმაციით, 18 მარტს ისნის რაიონში სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ მკვლელობაში ეჭვმიტანილი დაკავებულია. ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა.

შეგახსენებთ, რომ 18 მარტს გვიან ღამით, თბილისში, ისნის რაიონში 60 წლამდე ასკის მამაკაცი ცივი იარაღით მოკლეს. გავრცელებული ინფორმაციით, მოკლულს სახე აქვს დაზიანებული და ცივი იარაღით ყელი აქვს გამოჭრილი. არსებული ინფორმაციით მოკლული ტაქსის მძღოლი იყო.

# ეს როგორ ხდება — საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტი რუსეთთან ურთიერთობის მომხრეა, 72 პროცენტს კი ნატოში უნდა გაწევრიანება?!

**გვესაუბრება პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე**

**— ბატონო გულბაათ, ასე დავსვათ კითხვა, რატომ იქცა NATO-ში გაწევრიანების საკითხი ასე სანუკვარ მიზნად საქართველოსთვის, რატომ არის NATO ჩვენთვის მიზანი და არა რაღაცის საშუალება.**

— გამოდის, რომ NATOიქცა თვითმიზნად, ანუ რაიმე პოზიტიურისთვის კი არა, არამედ NATO NATO-სთვის. ჩვენ გვეუბნებიან, რომ თითქოს NATO-ში ჩვენი შესვლა ნიშნავს საქართველოს უსაფრხოების უზრუნველყოფას. ეს არ არის მთლად ასე. ხშირად მოჰყავთ ბალტიიისპირეთის მაგალითი, მაგრამ თქვენ თუ ყურადღებით დააკვირდებით, ბალტიისპირეთისა და რუსეთის ურთიერთობას და იმ შიდა პროცესებს, რაც არის ესტონეთში,



ლატვიასა და ლიტვაში, შეხედავთ, რომ იქ სულაც არ გაძლიერებულა იმის შეგრძნება, რომ რუსეთისგან უფრო დაცულები არიან, პირიქით, შიშმა მოიმატა, არ ცხრება განცხადებები, რა შეიძლება მოჰყვეს რუსეთის გაძლიერებას, რომ რუსეთს შეუძლია ზეგავლენის მოხდენა ბალტიისპირეთზე — ამას თვითონ ამბობენ. მაგალითად დევს ფაქტი, რომ ლიტვის საჰაერო სივრცეში კალინინგრადის მხრიდან უნებლიედ შეიჭრა რუსული სამხედრო თვითმფრინავი, რაღაც დეფექტი ჰქონდა და შემდეგ ჩამოვარდა, მაგრამ, დაახლოებით 25 წუთის განმავლობაში იგი დაფრინავდა ლიტვის საჰაერო სივრცეში და ვერც ერთმა NATO-ს მფრინავმა ვერ გაბედა აფრენა და რუსული თვითმფრინავის შეჩერება.

**— ხომ შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ განა ვერ გაბედა, არ მოისურვა?**

— ორივეა, როგორც შევაფასებთ, ისე იქნება, კი, ბატონო. მე გეუბნებით, ოფიციალურად არის ლიტვის რესპუბლიკა NATO-ს წევრი, მაგრამ ეს რას ნიშნავს, რომ ასე არის, რაღაც რომ მოხდეს (ჰიპოთეთურად) და გართულდეს სიტუაცია, ალიანსის წამყვანი ქვეყნები დადგებიან ფეხზე და გადმოეშვებიან საქართველოს დასახმარებლად რუსეთის წინააღმდეგ — ასე ნამდვილად არ არის. ჩვენ თავი არ უნდა მოვიტყუოთ, რომ NATO-ში შესვლის შემთხვევაში გარანტირებული გვაქვს უსაფრთხოება.

**— იქნებ, NATO-ს არც აწყობს ჩვენი მიღება?**

— რა თქმა უნდა, და რატომ, დავაკვირდეთ ყურადღებით — იქნებოდა ეს შევარდნაძის ხელისუფლება თუ სააკაშვილისა (ივანიშვილისა, ვნახოთ, რას იზამს, ჯერ არ ვიცით), საქართველო უპირობოდ და უსიტყვოდ ასრულებდა დასავლეთის, იქნება ეს უშუალოდ აშშ თუ ალიანსის წევრი სახელმწიფოები, მათ პოლიტიკურ ნებას, ეხვეწებოდნენ, მახსოვს, მაგალითად, გიორგი ბარამიძე, სხვა მინისტრები და თვითონ სააკაშვილი, ოღონდ რამე დაგვავალეთ, ოღონდ რამე განათავსეთ აქ, თქვენი ბაზა, ანტისარაკეტო სისტემაო, ხვეწნა იყო, ოღონდ თქვენ მოისურვეთ და ჩვენთან, ჩვენ მზად ვართო (გახსოვთ, ჩეხეთსა და პოლონეთში განთავსებაზე რომ იყო საუბარი). დააკვირდით, მონური მორჩილება გვაქვს დასავლეთის მიმართ და ამ დროს დასავლეთს არანაირი ვალდებულა არ აქვს ჩვენს წინაშე. NATO-ში რომ შევიდეთ, გარკვეული ვალდებულებები უნდა აიღოს დასავლეთმა, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ლიტვის მაგალითზე, ამ ვალდებულებებსაც მაინდამაინც და აუცილებლად არ შეასრულებს.

დღეს დასავლეთი იყენებს საქართველოს მთლიანად, როგორც უნდა. ამ დროს, თვითონ საქართველოს წინაშე არანაირი ვალდებულებები არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, საქართველო არის ძალიან სახიფათო ვითარებაში, უაღრესად დიდი ხიფათის შემცველ მდგომარეობაში და ეს ცალსახად დასავლური კურსი, ჩვენ, რეალურად არანაირ პერსპექტივას არ გვაძლევს და არანაირ შანსს არ გვიტოვებს, რომ ჩვენი უსაფრთხოება იყოს დაცული და ჩამოყალიბებული.

**— რომ გავიძახით, რომ აფხაზეთი ჩვენია, სამაჩაბლო ჩვენია და რეალურად სხვისია, ასეთი პრობლემატური ქვეყანა ნატოს რაში ჭირდება? ვუნდივართ? ან, რომც ვუნდოდეთ, რა, სამუდამოდ უნდა დავემშვიდობოთ ჩვენს ტერიტორიებს?**

— აი, მაგაშია საქმე. აქ ისმის ხოლმე არგუმენტი, რომ კვიპროსი დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის მიუხედავად მიიღეს ევროკავშირშიო, ასევე რთულად და კიდევ უფრო რთულად შესასვლელ კავშირში. არავინ ამბობს, რომ მიიღეს ბერძნული კვიპროსი თურქული კვიპროსის გარეშე, ანუ მათი გათიშულობა უფრო ჩაცემენტდა.

**კვიპროსმა გააკეთა თავისი არჩევანი, სიტყვით არა, მაგრამ ფაქტობრივად, უარი თქვა თავის ტერიტორიულ მთლიანობაზე და ისე შევიდა ევროკავშირში, ანუ იგივე ვითარებაში შეიძლება აღმოჩნდეს საქართველო, თუკი ოდესმე, ჰიპოთეტურად, რა თქმა უნდა, წარმოვიდგენთ, რომ საქართველო შევა ევროკავშირში ან NATO-ში — ჩვენი ტერიტორიები სამუდამოდ დარჩება ჩვენს მიღმა და ეს საბოლოოდ გაფორმდება იურიდიულად.**

რუსეთმა კი ცნო, მაგრამ ამის შემდეგ ჩვენ გვაღიარებინებენ და თვითონ დასავლეთიც აღიარებს, რომ ჩვენ გვინდა შევიყვანოთ საქართველო, ვთქვათ, ევროკავშირში, მაგრამ მე და თქვენც ხომ ვიცით, რომ აფხაზებს და ოსებს არ უნდათ ეს, მათ უნდათ მჭიდრო ურთიერთობა რუსეთთან. აქედან გამომდინარე, ყველაფერი ნათელია, ანუ საქართველომ უარი უნდა თქვას საკუთარ ტერიტორიებზე NATO-ში ან ევროკავშირში გაერთიანების სანაცვლოდ.

**— აფხაზები და ოსები კი არა... სიმართლე გითხრათ, დიდად არ ვენდობი სოციოლოგიურ კვლევებს, მაგრამ ორიოდე დღის წინ გავეცანი და აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 80% რუსეთთან ურთიერთობის მომხრეა...**

— კი, ბატონო, რატომ არ ენდობით? უფრო მაღალია ეს პროცენტი. მაგალითად, ევრაზიის ინსტიტუტსაც აქვს ეს გამოკვლევა ჩატარებული და მე გარწმუნებთ, რომ დაახლოებით ასეთი მონაცემია, ანუ, ამ შემთხვევაში, არ ტყუიან. საინტერესო მონაცემები მივიღეთ, როდესაც შარშან ჩავატარეთ გამოკვლევა NATO-ს თემატიკაზე, ვინც „ოცნების“ მომხრეები იყვნენ არჩევნებზე, მათი 85%-მდე სკეპტიკურად არის განწყობილი. რას ვგულისხმობ, რომ როდესმე საქართველოში განლაგდეს NATO-ს ბაზები, რომ ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა — ამას გეუბნებით ოფიციალურად. ეს გამოკვლევა ჩავატარეთ 2012 წლის სექტემბრის დასაწყისში.

გამომდინარე აქედან, დასკვნებია გასაკეთებელი — ხალხი მიხვდა ამას.

რომ ამბობენ, 2008 წელს პლებისციტი ჩატარდაო, ჯერ ერთი, მაშინ სულ სხვა ვითარება იყო, ტოტალურად იყო გაბატონებული NATO-ს პროპაგანდა. ახლაც გაბატონებულია, მაგრამ ახლა ხმას მაინც მიაწვდენ სადღაც. ეს კი არა, რაღაც მოხდა, არ ვიცი, რა, მაგრამ ტელევიზიაშიც მიმიწვიეს — ეს მაშინ გამორიცხული იყო. თან შეგახსენებთ, რომ ქართველების თვალში ჯერ კიდევ არ იყო მნიშვნელოვნად დისკრედიტირებული დასავლეთი, 7 ნოემბერიც ცხელი იყო და ხალხს იმედი ჰქონდა მაინც, რომ აშშ რამეს იზამს, იქნებ დიქტატორი სააკაშვილი მოგვაშოროსო. მოგეხსენებათ, აშშ-მ პირიქით გააკეთა, ამას დაერთო




აგვისტოს ომიც და ამან საბოლოოდ დაამტკიცა, რა არის სინამდვილეში დასავლეთი ჩვენთან მიმართებაში. ხალხის განწყობები აგვისტოს ომის შემდეგ და განსაკუთრებით 26 მაისის დარბევის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა. თქვენც გამოსცადეთ ის ღამე რომელსაც აშშ-ის ელჩის ჯონ ბასის გამოსვლა უძღოდა წინ ამ დარბევას და ეს იყო, შეიძლება ასეც ითქვას, პირდაპირი აგრესია ქართველი ხალხის წინააღმდეგ, არა ტანკებითა და თვითმფრინავებით, მაგრამ არანაკლებ მტკივნეული იქ მყოფი მომიტინგეებისთვის.

დღეს სრულიად სხვა სიტუაციაა და აბა, ახლა ჩავატაროთ პლებისციტი, გავშალოთ დისკუსია, ავუხსნათ ხალხს, რეალურად რა არის NATO – კიდევ მეტი ინფორმაციის მიწოდებაა საჭირო. ის ხომ თვითონ აფინანსებს NATO-ს საინფორმაციო ცენტრს, რომელიც გასულია რეგიონებში, ქალაქებში, უჩვენებენ ფილმებს, არიგებენ ბუკლეტებს და ა.შ

აბა, დავუპირისპიროთ აზრები ერთმანეთს, ვიმსჯელოთ და ვნახოთ, ასეთ ვითარებაში რომ ჩავატარებთ პლებისციტს, ხალხი რას გადაწყვეტს. არ შეიძლება, რომ სააკაშვილი მიერ გაყალბებულ არჩევნების შედეგებთან ერთად ჩატარებული პლებისციტი იყოს ხალხის ნების გამომხატველი, იქნებ იმ ბლებისციტის შედეგიც გაყალბდა — მე ამაში დარწმუნებული ვარ.

ეს ყველაფერი უნდა გავითვალისწინოთ და ძალიან სერიოზულად დავფიქრდეთ, რატომ უნდა იყოს საქართველოს სტრატეგია მაინც და მაინც NATO-ზე აღებული.

**— ანუ არჩევანის უფლება წართმეული მაქვს, მტრისას, თუ არ მინდა ეს ალიანსი.**

— დავუშვათ, კარგი, ჩვენ გვინდა რომ გვქონდეს სხვადასხვა მიმართულებით დაბალანსებული პოლიტიკა და არ გვინდა პირდაპირ უარი ვთქვათ. კი, ბატონო, მესმის ეს არგუმენტი, მაგრამ რა უშლის ხელს იმას, რომ ჩვენ ასეთი ფორმულა ჩამოვაყალიბოთ — იმ NATO-მ მაინც ხომ უნდა მიგვიწვიოს (ასეთი წესია, შენით ხომ ვერ შეხვალ?!) და განიხილავ, გინდა თუ არ გინდა. რა გვიშლის ხელს რომ განვაცხადოთ, ჩვენ არ გვაქვს NATO-ს მოწვევა, მაგრამ დაველოდებით.

თუკი მიგვიწვევს ოდესმე, განვიხილავთ მთელი სერიოზულობით და გადავწყვეტთ, რა პრობლემაა? ამით ჩვენი აქციები, ასე ვთქვათ, აიწევს ფასში. ახლა რომ ვაცხადებთ, აი, გეხვეწებით, გენაცვალე, ოღონდ მიგვიღე და ჩვენ მუხლებზე ვიხოხიალებთო — არ შეიძლება ასე.

ჩვენი დიპლომატია არის უსუსური და საერთოდ, სასაცილო, განხილვას არ ექვემდებარება. ეს არ არის სუვერენული სახელმწიფოს პოლიტიკა და სუვერენული სახელმწიფოს რიტორიკა.

**მაია ჭელიძე**

**593 32 49 71**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# რატომ „აჩუქეს“ 2006 წელს ნიკა მემანიშვილს 50 წლით „რკინიგზელთა სახლი“, რომელიც მისი ხუთწლიანი მმართველობის დროს მთლიანად გაპარტახდა და გაიძარცვა?

*ძვირფასო მკითხველო, ალბათ, დამეთანხმებით, რომ რკინიგზელთა კულტურის ცენტრი თითქმის მთელი დედაქალაქის სულიერ ტაძრად იყო მიჩნეული, რადგან ამ შენობაში ჩვენი შვილების თუ შვილიშვილების ნამდვილ ქართველებად ჩამოყალიბებისთვის, მათი გემოვნების დასახვეწად ათეულობით თეატრალური, ქორეოგრაფიული თუ მუსიკალური სტუდიები ფუნქციონირებდა. მთელ ამ კულტურის მექას კი 1991 წლიდან პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — თენგიზ მაისურაძე ხელმძღვანელობდა, რომელიც უკვე 1996 წელს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს.*

*როგორც თავში აღვნიშნე, რკინიგზელთა სახლში შემოქმედებით-აღმზრდელობითი პროცესი დუღდა და აქ მოსწავლე ბავშვთა რაოდენობა კი, არც მეტი და არც ნაკლები, 5000 აღემატებოდა. მაგრამ ეს იყო 2006 წლამდე და როგორც იქ მომუშავე ადამიანები მიყვებიან, 2006 წლის ერთ უბედურ დღეს „რკინიგზელთა სახლის“ მთავარი საათი მაშინ გაჩერდა, როცა იქ მიშა სააკაშვილის ბანდის წევრები შევიდნენ, ხელმძღვანელებს უბრძანეს შენობის განთავისუფლება და მთავარი ულტიმატუმიც ზედ დააყოლეს — გასაჩივრებას, ანდა ხმაურს თუ დაიწყებთ, ციხეებში ამოგალპობთო.*

*„რკინიგზელთა სახლის“ დირექტორი, ბატონი თენგიზ მაისურაძე, წორედ ამ ნგრევას შეეწირა და 2007 წელს, როცა უსამართლობით ძალიან დაიღალა — ინფარქტით გარდაიცვალა და ამის შესახებ, რასაკვირველია, არც ერთ არხს და არც ერთ გაზეთს არაფერი უთქვამს.*

*დღეს „საერთო გაზეთის“ სტუმარია ბატონი თენგიზ მაისურაძის შვილი, მამის გზის გამგრძელებელი, კულტურის დიდი მოამაგე **კახი მაისურაძე**, მოვუსმინოთ მას თუ რა ხდებოდა 2006 წლის იმ დღეს, როცა 5000 ბავშვი და მათი პედაგოგები, ქუჩაში გამოყარა სააკაშვილის ოხრანკამ.*

**— ბატონო კახა, გამოდის, რომ უბრძოლველად დაგატოვებინეს მამათქვენის მიერ ნაფერები „რკინიგზელთა სახლი“, არა?**

— ქალბატონო, პირველ რიგში, ულრმეს მადლობას გიხდით ამ პრობლემით დაინტერესების გამო. მამაჩემი იმდენად შეურაცხყოფილი იყო მომხდარით, რომ 65 წლის კაცი უეცრად ინფარქტით გარდაიცვალა. დღე და ღამე სამსახურში იყო, ყველა კუთხე-კუნჭულს ეფერებოდა, უყვარდა, როგორც კედლები, ასევე შენობაში მდგარი თითოეული ნივთი, რომ აღარაფერი ვთქვა პედაგოგებზე, ბავშვსა თუ რიგით მომსახურე პერსონალზე... მოგეხსენებათ, რომ 90-იან წლებში თითქმის აღარაფერი მუშაობდა, აღარ იყო შუქი, გათბობა, ტრანსპორტი, მეცადინეობები სანთლის შუქზე მიმდინარეობდა და ა.შ. მოზარდმაყურებელთა თეატრი ამ შენობაში იყო შეფარებული, აგრეთვე, გარკვეული პერიოდი მუსკომედიის თეატრიც აქ იყო, ფრიდონ სულაბერიძის სტუდია და ანსამბლი „რუსთავი“-ც აქ მეცადინეობდნენ და მამაჩემის მხრიდან ყველა ჩამოთვლილი უდიდეს ხელშეწყობას გრძნობდა მხოლოდ... ჩვენ გვქონდა ბრწყინვალედ გამართული ინფრასტრუქტურა და როცა ზაფხულში ბავშვები არდადეგებზე მიდიოდნენ, იმ გაჭირვების წლებში ყოველწლიურად ტარდებოდა რემონტი, რათა ესთეტიკური გარემო გაუმჯობესებულიყო. საკონცერტო დარბაზი, ალბათ, არ იცით, რომ უძვირფასესი აფრიკული ხით იყო მოპირკეთებული. აგრეთვე, ძვირფასი წითელი ხის და ხავერდის ქსოვილით გაკეთებული 500 უნიკალური სკამი იდგა დარბაზში, განათება, ფარდა, იატაკი, ჭაღები, ხმის აპარატურა და ა.შ. ყველაფერი ძვირფასი და მოვლილი იყო წლების განმავლობაში... მაშინ ასეც ხუმრობდნენ, რომ თბილისში მხოლოდ რკინიგზელთა სახლი და მეტრო მუშაობსო... ვნერვიულობ ახლა და, მაპატიეთ... შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ ჩვენ იმ გაჭირვებაში ესპანეთიდან გათბობის სისტემა ჩამოვატანინეთ და გამთბარ შენობაში დადიოდნენ ბავშვები თუ მათი მასწავლებლები. რასაკვირველია, ამ საქმეში რკინიგზის მაშინდელი ხელმძღვანელები ბატონი **რემი ვაშაკიძე** და **კაკო ჩხაიძეც** გვეხმარებოდნნ, მაგრამ ამას ვერ ვიტყვი მომდევნო ხელმძღვანელ ეზუგბაიაზე, რომელმაც ჯერ ეკონომიკის სამინისტროს გადასცა ეს შენობა, ეკონომიკის სამინისტრომ მოგვიანებით კულტურის სამინისტროს და ამ უკანასკნელმა კი ერთ კონკრეტულ პიროვნებას გადასცა 50 წლიანი მმართველობით, ანუ უზურფრუქტის წესით...

**— კახა, 90-იან წლებში და უფრო მოგვიანებითაც იჯარის ფულს, რომელიმე ანსამბლი და თეატრი გიხდიდათ?**

— როგორ გეკადრებათ? ღვთის მადლით, ცოცხლები არიან ეს ადამიანები და ჰკითხეთ მათ ერთი ლარი თუ გადაუხდიათ ოდესმე, ვიდრე მამაჩემი მუშაობდა? იმ წლებში კულტურის შენარჩუნებაზე ზრუნავდა თითოეული მათგანი და რომელ ფულზე იყო ლაპარაკი? მეტიც, ჩვენ აქეთ ვეხმარებოდით პედაგოგებსა თუ რიგით თანამშრომლებს, რადგან უაღრესად შეჭირვებულები იყვნენ...

**— რა მოხდა 2006 წელს ისეთი, რის გამოც ამოდენა ღვაწლის მქონე კოლექტივი დაგშალეს, ხოლო შენობა კი წაგართვეს?**

— ჩვენ პოლიტიკაში არასოდეს ვერეოდით, მაგრამ ერთ დღეს გაიღო კარი და მაშინდელი რკინიგზის უფროსი ეზუხბაია, მუსიკოსი ნიკა მემანიშვილი და კიდევ 5 ადამიანი გვესტუმრა... გარკვეული დაძაბული საუბრის შემდეგ ირაკლი ეზუგბაია გვეუბნება, რომ ჩვენ აღნიშნული შენობა, რასაკვირველია, აპარატურაც ნიკა მემანიშვილს უნდა გადავცეთ და ის მიხედავს კულტურის აღორძინების საქმესო.

**— პროტესტი არ გამოთქვით?**

— რა აზრი ჰქონდა? წინააღმდეგობის შემთხვევაში, შეიძლება პრობლემები ხელოვნურად გაგვჩენოდა. მეტიც, პირადად მე მითხრა ნიკა მემანიშვილმა, რომ — იგი პირადად აჩერებდა პროკურატურის მაშინდელ ხელმძღვანელს და მხოლოდ ნიკას ავტორიტეტის დამსახურება იყო ისიც, რომ თურმე მე და მამაჩემი დაკითხვაზე არ დავყავდით ამ უწყებას. არადა, ჩვენ არც დასაკითხი გვჭირდა რამე და არც, მითუმეტეს, დასაჭერი. შენობა მაშინ იყო რკინიგზის ბალანსზე, ხოლო შენობაში განთავსებული უნიკალური ქონება კი ჩვენი, კულტურის ცენტრის ბალანსზე...


კახა მაისურაძე

პირდაპირ ვიმეორებ ეზუგბაიას და მემანიშვილის სიტყვებს და თავად განსაჯეთ, როგორ უნდა მოვქცეულიყავით: „თქვენ აქედან ან თქვენი ნებით გახვალთ, ანდა დაპატიმრება არ აგცდებათო“. მამაჩემმა ძალიან განიცადა ეს შეურაცხყოფა და რამდენიმე დღეში ინფარქტიც მიიღო... 65 წლის იყო მამა მაშინ... 75 ადამიანი იყო შტატით ჩვენს კულტურის ცენტრში და რასაკვირველია, ეს ადამიანები, უმუშევრები დარჩნენ... ასევე ღია ცის ქვეშ დარჩა უამრავი ბავშვი, რომლებიც ჩვენთან კულტურას ეზიარებოდნენ...

**— კეთილი, მაგრამ ის ქონება, რომელიც თქვენ დაგატოვებინეს, რა ფასად შეაფასა მაშინდელმა ხელისუფლებამ?**

— დაახლოებით, 150 000 ლარად...

**— აგინაზღაურდათ ეს ფული? ანდა ის აპარატურა, როიალები, განათების სისტემა, ავეჯი და... ა.შ. სად წავიდა?**

— არ ვიცი, სად წაიღეს და რა ბედი ეწია... მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ის არაჩვეულებრივი სკამები, რომლებიც საკონცენტრაციო დარბაზში იდგა, ღია ცის ქვეშ დაყარეს და ამის შემხედვარემ საკუთარი ხარჯებით ვიქირავე მანქანები, მუშები და აღნიშნული სკამები ხორავას სახელობის სახლში გიგა ლორთქიფანიძეს უსასყიდლოდ გადავეცი... დღესაც იქ დგას... ბევრი რამ დაამტვრიეს და მათ შორის, მთლიანად გაანადგურეს აფრიკული ხით მოპირკეთებული სცენა, კედლები, განათება და ა.შ. გული მისკდება, ისეთი აოხრებულია იქაურობა, მაგრამ უკვე 6 წელია, არც არავინ ფიქრობს ამაზე და როცა მემანიშვილს პირადად ვკითხე: კი, მაგრამ, რაც დაამტვრიეთ და დაამტვრიეთ, აღდგენაზე როდის უნდა იფიქროთ-თქო, იცით, რა მიპასუხა? შენ ნუ იდარდებ, ჩვენ ყველაფერს უმაღეს დონეზე გავარემონტებთ და უახლეს აპარატურასაც ჩამოვიტანთო.

ვიმეორებ, 6 წელია ქვა ქვაზე არ დადებულა და პირიქით კი მოხდა... სად წაიღეს სცენიდან აყრილი ძვირფასი ხით მოპირკეთებული დეკორი? ფარდები, როიალები თუ სხვა რამ?

ამაზე, დავიჯერო, პასუხი არავინ უნდა აგოს? მარტო ფასადის შეღებვაა საქმე?

**— „რკინიგზელთა სახლის“ მეორე ნაწილი ხომ „საქართველოს ბანკს“ აქვს დაკავებული?**

— დიახ, და მე როგორც ვიცი, ყოველთვიურ ქირასაც უხდიან ნიკა მემანიშვილს... 50 წლით ნიკაა ამ შენობის მეპატრონე და აბა, მე ხომ არ გადამიხდიან?

**— რას ლაპარაკობთ? იცით, მიუხედავად ჩემი დამოკიდებულებისა, რატომღაც მგონია, რომ მემანიშვილი „ნაც.მოძრაობამ“ აღნიშნული შენობის ხელში ჩასაგდებად გამოიყენა და სინამდვილეში სხვა გეგმა იდგა ამ ყველაფრის უკან...**

— იცით, ეს ეჭვები, სხვათა შორის, ბევრს აქვს, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — 2012 წლის არჩევნების წაგების შემდეგ ვერც „ნაც. მოძრაობა“ და მით უმეტეს, ვერც ნიკა მემანიშვილი, ჩვენს ყოფილ ცენტრში ვეღარაფერს გააკეთებენ, რადგან ხელისუფლებიდან წავიდნენ... წავიდნენ და აოხრებული დატოვეს იქაურობა, რაზეც ძალიან, ძალიან ვწუხვარ, მიუხედავად იმისა, რომ მაქვს კულტურის ახალი ცენტრი და ხელმძღვანელი მე გახლავართ, მაინც გული მიკვდება მომხდარზე და მინდა ზემოთ აღნიშნულ დანაშაულზე პროკურატურაში სარჩელი შევიტანო.

**— დღეს, როცა ვითარება ნაწილობრივ შეიცვალა, თუ შეხვდით ახალ კულტურის მინისტრს, ანდა მის რომელიმე მოადგილეს და რა გითხრეს მათ?**

— მინისტრი არ მინახავს, მაგრამ, ალბათ, შევხვდები. იცით, რა? მემანიშვილი, რომ უდავოდ ნიჭიერი მუსიკოსია ეს ყველამ ვიცით, მაგრამ რა დააშავეს იმ მშობლებმა, იმ ბავშვებმა და თუნდაც იმ პედაგოგებმა, რომლებიც მისი გულისთვის გამოყარეს „რკინიგზელთა სახლიდან“? რას ერჩოდნენ იქაურობას, დაეტოვებინათ თუნდაც საკონცერტო დარბაზი თუ ასე სჭირდებოდათ, რაღა მაინცდამაინც იქაურობის აოხრებით დაიწყო? მუსიკოსი რომ სცენას დალეწავს, გაანადგურებს და აქეთ გექადნება — გაჩუმდი, თორემ პროკურატურას ძლივს ვაკავებო — იმაზე რა უნდა ვილაპარაკო? განა რა ისეთი ღვაწლი აქვს შეტანილი ნიკას ქართულ კულტურაში, რომ 50 წელი (ღმერთმა აცოცხლოს) კიდევ მის საკუთრებაში უნდა დარჩეს ჩვენი, ყველასი ლამაზი სახლი?




ასე გამოიყურება „რკინიგზელთა სახლის“ დარბაზი

**მაპატიეთ, მაგრამ აუცილებლად მინდა თქვენი გაზეთის მეშვეობით მივმართო ბატონ ბიძინა ივანიშვილს; ბატონო ბიძინა! უმორჩილესად გთხოვთ დაინტერესდით აღნიშნული თემით და ასევე უმორჩილესად გთხოვთ, თბილისს დაუბრუნოთ ის კულტურის ცენტრი, რომელიც თითქმის 70 წლის განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდა მომავალი თაობის აღზრდას. მე, მართალია, ვერ დავაკონკრეტებ, დღეს ეს შენობა რეალურად ვის ეკუთვნის, მაგრამ, ვფიქრობ, რთული არც მაგის გარკვევა იქნება და იმედს ვიტოვებ, რომ თქვენ ამის შესაძლებლობა, სურვილის შემთხვევაში, აუცილებლად გექნებათ!**

ძვირფასო მკითხველო,

აი, როგორ ანიავებდა, ანგრევდა და აცამტვერებდა სააკაშვილის ხელისუფლება ყველაფერს, რაც კი მომავალი თაობის ქართულად აღზრდის საქმეს ემსახურებოდა და ამის უტყუარი ფაქტი დღეს „საერთო გაზეთმა“ კიდევ ერთხელ გაახმოვანა.

მოვუწოდებ დღევანდელ კულტურის მინისტრ გურამ ოდიშარიას! დაუყოვნებლივ შეხვდეს კახა მაისურაძეს და გაერკვიოს იმ ვითარებაში, რაც ყოფილ „რკინიგზელთა სახლს“, მის ქონებას და სამომავლო პერსპექტივას ეხება. ხოლო საკუთარ მოადგილეებს კი ურჩიოს — საქმით დაკავდნენ და არა წინა ხელისუფლების ფავორიტთა ლობირებით.

**ირინე გოგოსაშვილი**
555 25 43 35

# ერთი რამ მინდა ყველამ იცოდეს — რაც ამ დეპარტამენტში გაკეთდება, გაკეთდება მხოლოდ ვეტერანების სასარგებლოდ

*საქართველოს თავდაცვის მინისტრმა 2013 წელი ვეტერანთა წლად გამოაცხადა და ვეტერანთა საქმეთა დეპარტამენტის უფროსად, აფხაზეთის ომის მონაწილე, დოცენტი, ფიზიკოსი — გელა დოლიძე დანიშნა. მისი ამ თანამდებობაზე წარდგენა ქართულ მედიაში არ გაშუქებულა, არადა გელა დოლიძე სააკაშვილის ფაშისტურ რეჟიმს ჯერ კიდევ უნივერსიტეტიდან და მოგვიანებით, „ქართული აკადემიიდან“ უშიშრად ებრძოდა. მას ვეტერანთა დეპარტამენტში ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დახვდა, მაგრამ, როგორც ბატონი გელა ამბობს, ახალი ხელისუფლების მხრიდან, მხარდაჭერა დიდია და წინ უამრავი სასიკეთო საქმეების პერსპექტივა იკვეთება.*

*დღეს „საერთო გაზეთის“ სტუმარი, ვეტერანთა დეპარტამენტის ახალი უფროსი* ***გელა დოლიძე.***



**— ბატონო გელა, ძალიან მძიმე მემკვიდრეობა გერგოთ დეპარტამენტში და როგორ აპირებთ ამ პრობლემების მოგვარებას მით უმეტეს მაშინ, როცა 2013 წლის ბიუჯეტი უკვე დიდი ხანია დამტკიცებულია?**

— დიდი მადლობა ყურადღებისთვის... დავიწყოთ იმით, რომ ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მძიმე მემკვიდრეობა მხოლოდ მე არ მრგებია და ჩვენ ყველამ ერთად უნდა გავართვათ თავი ამ ვითარებას. რაც შეეხება, კერძოდ ამ დეპარტამენტს, აქ წლიდან-წლამდე უამრავი პრობლემა გროვდებოდა და დღესდღეობით, პირადად პრემიერ მინისტრ ივანიშვილისა და ირაკლი ალასანიას უშუალო მხარდაჭერით, ამ პრობლემების მოგვარებას ნელ-ნელა, მაგრამ სიღრმისეულად გამოვასწორებთ.

**— რას ნიშნავს პირადად თქვენთვის სიტყვა ვეტერანი და რა დატვირთვას ატარებს ზოგადად ეს მცნება?**

— წლევანდელი წელი ვეტერანთა წლად გამოაცხადა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ და რომ იცოდეთ, ეს შემთხვევითი სრულებითაც არ არის, რადგან ქვეყანა, რომელიც არ ზრუნავს სამშობლოს დამცველებზე, როცა სამშობლოს დამცველი დაუცველია, იმ ქვეყანას პერსპექტივა არ გააჩნია! ყველაზე პრაგმატული ქვეყანა ამერიკა და ფულის ყველაზე მომჭირნედ მხარჯველი საფრანგეთი ძალიან დიდ ფინანსებს ხარჯავენ ვეტერანთა სოციალური პროგრამებისთვის და ეს შემთხვევითი არ არის... მათ შესანიშნავად მოეხსენებათ ერთი მარტივი ჭეშმარიტება — თუ სამშობლოს დამცველი დაუცველია, მაშინ ნელ-ნელა ქრებიან სამშობლოს დამცველები და თუკი ქვეყანაში სამშობლოს დამცველები ქრებიან, ის ქვეყნებიც დროთა განმავლობაში კარგავენ სიძლიერეს. ამიტომ, ვეტერანები ნებისმიერ თავმოყვარე ქვეყნებს დიდ პატივში ჰყავთ. დღეს, როცა ევროკავშირზე და „ნატოზე“ ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ გაერთიანებებში შესული ქვეყნების ერთ-ერთი უპირველესი ვალდებულებაა — ვეტერანების ჯეროვნად მოვლა-პატრონობა და მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. დღევანდელმა ხელისუფლებამ სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით იხელმძღვანელა და, როგორც იტყვიან, ყველაფერი წინ არის...

**— საინტერესოა, ძალიან მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი, ხეიბარი თუ ჯანმრთელობაშერყეული ვეტერანების მიმართ სასწრაფო ღონისძიებების გატარებას თუ გეგმავთ?**

— მოგახსენებთ... ამ ეტაპზე შექმნილია სახელმწიფო კომისია, რომელიც მინისტრების, მოადგილეების დონეზეა შექმნილი და თავად ამ კომისიის თავმჯდომარე კი ჯანდაცვის მინისტრი სერგიენკოა. მე არ ვიცი, რამდენად მაქვს ამის უფლება, მაგრამ წინსწრებით გაგანდობთ, რომ ვეტერანთა სამედიცინო დაზღვევა იქნება გაუმჯობესებული და როგორც მეუბნებიან, სამოხელეო დაზღვევასთან იქნება გათანაბრებული.

**— ეს რას ნიშნავს, იმას ხომ არა, რომ საყოველთაო დაზღვევისგან განსხვავებული დაზღვევა გვექნება?**

— სამოხელეო დაზღვევით სარგებლობენ პედაგოგები და მინდა გითხრათ, რომ მათ კარგი დაზღვევა აქვთ. ე.ი. ამით იმის თქმა მინდა, რომ თუნდაც დაზღვევის კუთხით, ძალიან კარგი საქმე გაკეთდება. თუ გადავხედავთ, ვეტერანთა ჯანდაცვას, უნდა ვაღიაროთ, რომ ყველაზე ცუდი ვითარება სწორედ ამ კუთხითაა და ამ მიზეზით ბევრი ვეტერანი დაიღუპა კიდეც, უფრო მეტსაც გეტყვით, აქამდე ამ პრობლემას არავინ არ აქცევდა ყურადღებას. საქართველოში, დაახლოებით, 70 000 ვეტერანია რეგისტრირებული და ეს რიცხვი, ხან კლუბულობს და ხან მატულობს...

**— ალბათ, ეს იმაზეა დამოკიდებული, შიგადაშიგ სააკაშვილის ხელისუფლება პატარ-პატარა ომებს რომ აწარმოებდა, არა?**

— ეგეც და სხვა მიზეზებიც... ძირითადად კი, ის არის, რომ 90-იანი წლების ვეტერანების გარკვეული ნაწილი დღემდე არ არის რეგისტრირებული, რადგან მათ არ სჯეროდათ რაიმე შეღავათების, რაიმე სიკეთის და არც მოუმართავთ ამ დეპარტამენტისთვის.

**— რაღა შორს მიდიხართ, პირადად მე მთელი ამ წლების განმავლობაში არ მივსულვარ და მხოლოდ შარშანწინ გავიარე რეგისტრაცია... სამაგიეროდ, თქვენს დეპარტამენტში, თქვენს მოსვლამდე ისეთ ადამიანებს აძლევდნენ ვეტერანის საბუთს, რომელთა ომში მონაწილეობაც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და ვგულისხმობ, როგორც მაშინდელი ხელისუფლების, ასევე დეპუტატების გარკვეულ რაოდენობას.**

— (იცინის). მეც მსმენია მსგავსი რამ, მაგრამ პერსპექტივაში გარკვეული რეგორგანიზაცია აუცილებლად რომ უნდა განვახორციელოთ ამ დეპარტამენტში — ფაქტია. სწორედ ამიტომ, ასევე აუცილებლად მოგვიწევს მონიტორინგის სამსახურის ჩამოყალიბება, რომელიც ამდაგვარი საქმეებით იქნება დაკავებული. ანუ, მონიტორინგის სამსახური დაიწყებს საბუთების წესრიგში მოყვანას, მაგრამ როგორც „ნაცმოძრაობა“ აკეთებდა, — „დღეს 200 კაცი უნდა, ამოვშალო, 500 დავამატო“ და ა.შ. რა თქმა უნდა ასე არ მოხდება. ყველა დარღვევა და ყველა ხარვეზი აღმოფხვრილი იქნება, პირობას გაძლევთ.



**— უკვე დიდი ხანია ხელისუფლებიდან ჟონავს ინფორმაცია, რომ ჩვენ, ჟურნალისტები, რომლებიც საომარი მოქმედებების დროს კონფლიქტის ზონაში ვიმყოფებოდით, ვეღარ ვისარგებლებთ ვეტერანის სტატუსით და ალბათ, ვერც იმ სამოხელეო დაზღვევით, რომელსაც თქვენ, ძალიან კარგი სამედიცინო დაზღვევა უწოდეთ — არადა, თუკი დღეს საომარი დოკუმენტური მასალა არსებობს, სწორედ ჩვენი დამსახურებაა და სხვა არავისი...**

— მე გარწმუნებთ და გამშვიდებთ, რომ ეს ასე არ არის...

**— როგორ, უკვე კანონპროექტი არსებობს და როგორც ვიცი, მთავრობაშიც წარუდგენიათ.**

— მერე, რა? მასე ვანო მერაბიშვილიც იყო შინაგან საქმეთა და ყველაფრის მინისტრი, მაგრამ დღეს ხომ აღარ არის? ეგ კანონპროექტი აღარ არსებობს, მორჩა და საერთოდ, დამთავრდა რაღაცების მოხსნის ეპოქა, ახლა სხვა დროა და თუ დამიჯერებთ, არც ჟურნალისტებს გემუქრებათ ამ მხრივ რიამე საფრთხე.

**— ბატონო გელა, მსოფლიოში უამრავი ვეტერანთა კლუბია, არსებობს უამრავი გაერთიანებები. თუ აპირებთ ჩაკეტილი სივრციდან გასვლას?**

— გმადლობთ ამ შეკითხვისთვის და მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტი ეს სფეროცაა. ჩვენ აუცილებლად დავამყარებთ მათთან კონტაქტს და სხვათა შორის, მინდა ისიც იცოდეთ, რომ იმ ტიპის ქვეყნისათვის, როგორიც ჩვენ ვართ ეკონომიკური თვალსაზრისით, ვეტერანთა მსოფლიო ფონდი, საკმაოდ სოლიდურ დახმარებებს სიამოვნებით ეწევა. ანუ, ჩვენ მათთან, მჭიდრო და ხანგრძლივ ურთიერთობებს ვგეგმავთ, რაც ჩვენს ვეტერანებს, ვფიქრობ, რომ მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება. აქვე ისიც მინდა გითხრათ, რომ ჩვენს გეგმებშია ვეტერანთა სოციალური ინტეგრაციის საკითხიც და ამაში მოიაზრება ჩვენი ვეტერანების დასაქმება სხვადასხვა სფეროში. დაახლოებით 2 თვეში, თუკი თქვენ დაინტერესდებით, ჩვენ უკვე კონკრეტულ სქემას წარმოგიდგენთ და თავად დარწმუნდებით, რომ ეს ლაპარაკი, მხოლოდ ლაპარაკისთვის კი არა, არამედ საქმის რეალურად კეთებას ისახავს მიზნად. გაგანდობთ ერთ ასეთ პროექტს — მაგალითად, გენ.შტაბის უფროსმა ბატონმა ჩაჩიბაიამ, ამასწინათ მითხრა, რომ თავდაცვის სამინისტროს აქვს სამშენებლო პროექტები და მთხოვა, მიმეწოდებინა ვეტერანთა სიები, რომლებიც იმუშავებენ ამ მშენებლობებზე. ანუ, ჩვენი ვეტერანები სულ მალე დასაქმდებიან და ეს, რომ დროებითი და რაღაც ერთთვიანი დასაქმება არ არის, მგონი ხვდებით, ხომ? ეს არის ხანგრძლივი პროექტები და შესაბამისად, ვეტერანებს საკუთარი ოჯახების რჩენის პრობლემა მოეხსნებათ.

**— ბატონო გელა, არ შემიძლია არ გკითხოთ ვეტერანთა ჰოსპიტალზე, რომლის დღევანდელი ვითარება, ვაღიაროთ რომ, კატასტროფულია. რას გეგმავთ ამ კუთხით?**

— ჰოსპიტალი ჩვენი აქილევსის ქუსლია... ეს ის საკითხია, რომელზეც დღეს პასუხი ძალიან მიჭირს, რადგან ჰოსპიტალი ჩვენი დეპარტამენტის ბალანსზე აღარ არის. ამ სამედიცინო დაწესებულების შესანახ თანხებს უკვე დღეს თავდაცვის სამინისტრო იხდის და აქ იცით, როგორაა? ორმაგი დაქვემდებარების იურიდიული კაზუსია და გამართვა სჭირდება. უდავოა, რომ ჰოსპიტალი, როგორიც არის დღეს, ამ სახით, უბრალოდ, არ შეიძლება რომ იყოს და იქ რადიკალური ცვლილებები აუცილებელია, მაგრამ როგორ უნდა განხორციელდეს ეს, ამაზე დღეს პასუხი არ მაქვს...

**— ჯერ მხოლოდ 5 დღის დანიშნული ხართ და გაარკვევთ... გელა, ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს და გულწრფელად გეუბნებით ძალიან გამეხარდა თქვენი ამ პოსტზე დანიშვნა, რადგან ძველი მეომარი ხართ, პირდაპირი, მართალი კაცი და რაც ყველაზე მთავარია, კარგად უწყით ყველასგან მიტოვებული ვეტერანების ჭირ-ვარამი...**

— ერთი რამ მინდა ყველამ იცოდეს... რაც ამ დეპარტამენტში გაკეთდება, გაკეთდება მხოლოდ ვეტერანების სასარგებლოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი წუთითაც არ გავჩერდები ამ თანამდებობაზე და ამას ხმამაღლა ვამბობ.

ახლა მე თქვენ, გამოჩენილი ყურადღებისთვის დაგაჯილდოვებთ მედლით, რომელიც ჩინეთშია დამზადებული და ნება მიბოძეთ 8 მარტი ასე მოგილოცოთ...

**— რა მედალია ეს? ანდა რას ნიშნავს 1945-2010 წ. და წარწერა „ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის? მე მეორე მსოფლიო ომში, როგორც მახსოვს არ ვმონაწილეობდი...**

— ოოო, ეს ძალიან მაგარი მედალია, მაგრამ მე არ გეტყვით, საიდან აღმოჩნდა იგი აქ, ჩვენს დეპარტამენტში... ისე, კი კიდევ 6000 ცალი გვაქვს და მოდით ამ საკითხს, ინტრიგად დავტოვებ...

**ირინე გოგოსაშვილი**
555 25 43 35

**P.S.** **ძვირფასო მკითხველო! მედალი, რომელიც ვეტერანთა დეპარტამენტმა სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში, ჩინეთის რესპუბლიკაში შეუკვეთა, მისი ფასი, როგორ გავარკვიე, 18 ამერიკული დოლარი დამჯდარა, ასევე გავარკვიე ისიც, რომ იმ პერიოდში ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტს, სააკაშვილის დაცვის წევრი ნუკრი-ნუგზარი ცაგარეიშვილი ხელმძღვანელობდა, მაგრამ ჩინეთიდან ჩამოტანილი 108000 დოლარის ღირებულების მედლებში გადაყრილი ფული ფულად ხომ დაიხარჯა, მაგრამ არც მედლები გადაუციათ იმ 6000 ვეტერანისთვის, რომლებიც მე-2 მსოფლიო ომში მონაწილეობდნენ და რომლებსაც ნებისმიერი ყურადღება ასე ახარებთ! ისე კი მე-2 მსოფლიო ომის 6000 ვეტერანი, ნეტავ, დღეს საქართველოში?**

**აი, თუნდაც ერთი მაგალითი წინა ხელისუფლების მიერ უმისამართოდ გახარჯული ათასებისა და ერთიც... დავიჯერო, ეს უბადრუკი ორდენი მართლაც 18 დოლარი ღირს? განა უფრო უპრიანი არ იქნებოდა, ზემოთაღნიშნული 108000 დოლარით რომელიმე ვეტერანისთვის ოპერაცია, ანდა ვეტერანთა გაუსაძლისი შეჭირვება დაეფინანსებინათ? როგორც დეპარტამენტის ძველი თანამშრომლებისგან გავარკვიე, ამგვარი „გადახარჯვები“ მრავლად იყო წარსულში და იმედს ვიტოვებ, რომ მსგავსი ფაქტები არათუ გამოვლენილი, მედიისათვის გასაჯაროებულიც გახდება.**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# როდის იქნება გამოძიებული ზვიად გამსახურდიას ტრაგიკული გარდაცვალების საიდუმლოება?



2003 წლის გაზაფხულზე ზვიად გამსახურდიას მეგობრის და თანამებრძოლის მერაბ ჩუხუას დახმარებით ტრაგიკულად გარდაცვლილი პრეზიდენტის სიცოცხლის ბოლო დღეების მწარე ოდისეა თითქმის ფეხით მოვიარეთ ზვიადის მეგობრებმა: კახა ბულიამ, პაატა ჩუხუამ და მე. შევხვდი იმ ადამიანებს, რომლებმაც ზვიად გამსახურდია გარდაცვალებამდე რამდენიმე საათით ადრე ნახეს. ვესაუბრე ლუდმილა ღურწკაიასაც, რომლის სახლშიც, დღემდე გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტმა თავი მოიკლა. სხვათა შორის, ჩემთან აღიარა პირველად აწ გარდაცვლილმა ლუდმილა ღურწკაიამ, რომ პრეზიდენტის აღსრულების ღამეს მისი 18 წლის ვაჟი – ნუკრი ღურწკაიაც იყო სახლში და ამ ფაქტს რატომღაც საიდუმლოდ მალავდა...

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტებზე არაერთი გამოძიება ჩატარდა, მრავალი ურთიერთგამომრიცხავი დასკვნა დაიდო. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის გარდაცვალილად გამოცხადებიდან 1993 წლის 31 დეკემბრიდან 20 წელი გავიდა, საზოგადოება ამ თემის მიმართ დღესაც განსაკუთრებით სენსიტიურია და თუ რატომ, ამასაც არ სჭირდება ნათელმხილველის ნიჭი. ზვიად გამსახურდიას მკვლელობასა თუ თვითმკვლელობაში ხან ამერიკელებს და რუსებს ასახელებენ, ხან იგორ გიორგაძეს, ხან ედუარდ შევარდნაძეს, ხან აწ განსვენებულ გია გულუას, ჯაბა იოსელიანს, სხვებს და სხვებს, მაგრამ დღემდე ამ საშინელ ამბებთან დაკავშირებით არავინ დასჯილა, არც არავის სახელზე გამოუცხადებიათ საბრალდებო დასკვნა...

მავანი ამტკიცებს, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი მოიკლა, ზოგს სჯერა, რომ იგი „ვიღაცებმა" მოკლეს, ზოგიერთის აზრით კი, ცოცხალი პრეზიდენტი გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ გროზნოში იხილეს და ელაპარაკნენ კიდევაც...

როგორც ჩანს, ვიღაცას ხელს აძლევს ზვიად გამსახურდიას სახელის მითოლოგიზება და იმ მოვლენების გამოუძიებლობა, რომელიც, შესაძლოა, დასაბამი იყოს იმ ამბების, რაც შემდეგ მთელი 20 წელი მიმდინარეობდა საქართველოში.

პრინციპში, ერის ღირსების საქმა დამოუკიდებელი ქვეყნის პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების გარემოებების შესწავლა, მაგრამ ეს თემა წლების განმავლობაში თითქმის ყველა მთავრობისგან პოლიტიკური სპეკულაციების საკითხი ხდება და დროგამოშვებით ქულების ჩასაწერად იყენებენ პოლიტიკური ძალები, არადა, გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებები პირდაპირ არის დაკავშირებული 1991-92 წლების ძმათამკვლელ ომთან და ტრაგედიებთან.

როგორც ამბობენ, საქართველო დღეს დამოუკიდებელი ქვეყანაა. საქართველომ დამოუკიდებლობა სწორედ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დროს გამოაცხადა და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველივე წლებში ქართული სისხლის და ცრემლის წვიმამ დაასველა ეროვნული დროშა და მრავალტანჯული ქართული მიწა.

**თუკი საქართველოს უნდა, რომ ფეხზე დადგეს და კვლავ ერად იწოდებოდეს, თუკი საქართველოს ხელისუფლებას სურს ქართული სახელმწიფოს აღორძინება, აუცილებლად უნდა დაიწყოს იმის ძირფესვიანი გამოძიება, რა მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე.**



არსებობენ თვითმხილველები, არსებობს ფოტო და ვიდეომასალა, ასევე ნაციონალური ხელისუფლების წარმომადგენელთა ნაწილი „მხედრიონის" რიგებში იბრძოდა და 20-25 წლის ასაკში სამეგრელოს, გურიასა, სვანეთში და სხვაგან ქართული ოჯახების დაწიოკებით იყო გატაცებული. მოგეხსენებათ, 20-25 წელიწადი ის ასაკია, როცა ადამიანის პიროვნულად ჩამოყალიბება ხდება. ნებსით თუ უნებლიედ, ამ სისხლიან ძალადობაში ჩათრეული ახალგაზრდები ხელისუფლებაშიც ძალადობით მოვიდნენ, შეიჭრნენ პარლამენტის სხდომათა დარბაზში და არალეგიტიმურად დაიკავეს ისედაც არალეგიტიმური, შევარდნაძის მიერ მიტაცებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო სავარძლები...

ამ საშინელი ფაქტების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის გარეშე წყლის ნაყვაა ყველაფერი, რადგან სახელმწიფო დამნაშავეები, კრიმინალები, სახელმწიფოს, ერის, ხალხის მართვის სადავეებს კვლავ ეპოტინებიან სისხლიანი ხელებით. მათ ეჯავრებათ თავიანთი ბნელი საქმეების მოწმე საქართველო და უკან არ დაიხევენ კიდევ ერთი სამოქალაქო ომის პროვოცირებისგან.

იმ ამბების მომსწრე, თვითმხილველი და მონაწილე ბევრი ადამიანი ჩვენს გვერდით ცხოვრობს და მოღვაწეობს. მართალია,

# დოდო გუგეშაშვილი ახალ „მხედრიონს" ქმნის?





„მხედრიონის" ლიდერმა ჯაბა იოსელიანმა სული ყოვლისგამკითხავ უფალს მიაბარა, მაგრამ იმ ე.წ. სამხედრო საბჭოს წევრები და სამხედრო შენაერთების ლიდერები: თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი და მრავალი სხვა, მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული „მხედრიონელი" ქალბატონი, „მაგნოლიად" წოდებული დოდო გუგეშაშვილი რაც დრო გადის უფრო და უფრო მშვენიერდება, ესენი აგერ, ჩვენს ქალაქში ცხოვრობენ.

დოდო გუგეშაშვილი, სხვათა შორის, როგორც მითხრეს, „მხედრიონის" აღორძინებას აპირებს თურმე, ხალხი უკვე შეკრებილი ჰყავს და გეგმებიც დასახულიო.

ახალი „მხედრიონის" საქმეებზე კომენტარისთვის ქალბატონი დოდო გუგეშაშვილის შეხედულება გვსურდა მოგვესმინა, მაგრამ ქალბატონ დოდოსთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. თუ ქალბატონი დოდო წერილში მოტანილ ამბებზე განმარტებების მოცემას მოისურვებს, ჩვენი გაზეთი ამ განმარტებებს დიდი სიამოვნებით დაბეჭდავს.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# შსს-ს ახალმა ხელმძღვანელობამ ეს აუცილებლად უნდა იცოდეს!

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #07

როგორც შევიტყვეთ, ზონდერების ნაწილს, თავის დროზე საავიაციო ქარხნის ტერიტორიაზეც ამზადებდნენ, იქ ჰქონიათ ბაზა, ოღონდ რომელ უწყებაზე იყვნენ მიწერილი და ვინ უხდიდა მათ ხელფასს, უცნობია. სავარაუდოდ, მათ თავდაცვის სამინისტრო მფარველობდა, რადგან ბაჩო ახალაიას გამინისტრების შემდეგ, ქარხანა თავდაცვის უწყებას გადაეცა. დღეს, რა თქმა უნდა, იქ ზონდერების ნასახი აღარ არის, მაგრამ საკითხავია, სად წავიდნენ ეს დარბევებში გამოწრთობილი ბიჭები. სანდო წყაროს ცნობით, არჩევნების შემდეგ ისინი უცხოეთში გადაიხვეწნენ, თუმცა ახლა დაბრუნება დაუწყიათ. დაბრუნების მიზეზიც ბურუსითაა მოცული, მაგრამ მათი ვინაობის დადგენა შსს-ს არ გაუჭირდება, საზღვარზე შემოსვლა-გასვლას ხომ მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახური ახორციელებს?

ლაფანყურის სისხლიანი სპეცოპერაციის დროს გაირკვა, რომ ვაჰაბისტ ჩრდილოკავკასიელ მებრძოლებს ჯერ ვაზიანის სამხედრო ნაწილში ამზადებდნენ, ხოლო შემდგომ კახეთში მდებარე ზონდერების მოსამზადებელ ბაზაზე გადაიყვანეს. ე.ი. ასეთი ბაზა კახეთშიც ჰქონდათ. კარგად ინფორმირებულმა წყარომ ისიც გვითხრა, რომ ახალაიებმა ამ ბაზებიდან უამრავი იარაღი გაიტანეს და ტყეში ჩამარხეს. იმედია, არც ამ სამარხების აღმოჩენა გაუჭირდებათ ჩვენს სამართალდამცავებს. ასეთი სამარხ-საცავები მთელი საქართველოს მასშტაბით ყოფილა, მათ შორის სამეგრელოშიც. აქ მოსახლეობაში ისედაც არის ბევრი იარაღი და ზონდერჯგუფების კვალი ყველაზე მეტად ამ რეგიონში უნდა ვეძიოთ. ზონდერების სოლიდური ბაზა იყო წალენჯიხის რაიონში, კერძოდ, კურორტ სქურის ტერიტორიაზე. „საერთო გაზეთი“ სანდო წყაროზე დაყრდნობით იმასაც წერდა, რომ შს მინისტრის პოსტიდან გადაყენებული ბაჩო ახალაია, სქურში იმალებოდა. მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, დათა ახალაია და მეგის ქარდავა ახლაც სამეგრელოს აფარებენ თავს. ცოტა ხნის წინ შს სამინისტრომ გააძლიერა პოლიციის კონტიგენტი ამ რეგიონში, რაც ნამდვილად დადებითი ნაბიჯია. ასეთი ღონისძიება სხვა რთულ რეგიონებშიც უნდა გატარდეს. სიფრთხილეს თავი არ სტკივა, საქართველოში ყოველთვის მოიძებნებიან მშიერი და სულგაყიდული ადამიანები, რომლებიც მცირე გასამრჯელოს ფასად საკუთარ დედასაც კი გაწირავენ.

სანდო წყაროს ცნობით, ის ზონდერები, რომლებსაც ქართველი ხალხის სისხლში აქვთ ხელი გასვრილი, თბილისში ახლაც მრავლად არიან. ე.წ. ტაქსისტები, ალბათ, ყველას კარგად გვახსოვს, რომლებიც 2009 წლის აპრილის საპროტესტო აქციების დროს სასტიკად უსწორდებოდნენ მიტინგის მონაწილეებს. მათი უმეტესობა ბადრი ბასიშვილის ზონდერდაჯგუფების წევრი ყოფილა. ერთ-ერთი „ტაქსისტთაგანი“ (ის თბილისში ცხოვრობს) თურმე მეზობლებში ტრაბახობს, თუ როგორ ჩაუმტვრია კბილები რკინის ნაჭრით პარლამენტარ ზურაბ აბაშიძეს. ამ „ტაქსისტის“ ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებთ, რადგან არ გვინდა ვინმემ უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევაში დაგვდოს ბრალი. დაინტერესებულ სამსახურებს მისი ვინაობის გარკვევა არ გაუჭირდებათ.

როგორც „საერთო გაზეთს“ კარგად ინფორმირებულმა წყარომ აცნობა, ზონდერჯგუფების ჩამოყალიბებას და მომზადებას „ვარდოსნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უფრო ორგანიზებული სახე


ნიკოლოზ სარალიძე

# მიშას ზონდერები - ვინ არიან ისინი?

მიეცა, თორემ ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორებს მანამდეც ჰყავდათ „მოიერიშე რაზმები“. 2004-2006 წლებში შსს-ს ოპერატიულმა სამსახურებმა იმ არასრულწლოვან წლის ბიჭებზე დაიწყეს „მუშაობა“, რომლებსაც ქუჩის ბიჭებს უწოდებენ. ეს ოპერაცია „კეთილი“ მიზნებით შეფუთეს, მათგან დანაშაულის ჩადენაა მოსალოდნელი, ამიტომ ახლავე უნდა გამოვავლინოთ და კონტროლქვეშ უნდა გვყავდესო. ბუნებრივია, ამ ახალგაზრდებს შორის ყველა არ იყო საეჭვო ნიშნის მატარებელი, მაგრამ ნაციონალებმა თავი დაიზღვიეს. ოპერთანამშრომლებმა თურმე ყველა რეგიონულ პოლიციას მისწერეს, შესაბამისი ინფორმაციის მისაღებად. ამ საკითხთან დაკავშირებით ძველ, პროფესიონალ თანამშრომლებს ახალგამომცხვარ ხელმძღვანელობასთან კონფლიქტიც მოსვლია, ჩვენ არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორები ხომ არ ვართ, ოპერთანამშრომლების საქმე იმ ჰალსტუხიან დამნაშავეებზე მუშაობაა, ვინც დიდი ფული იშოვა და დღეს ძალაუფლებისკენ მიიწრაფის, ან უკვე აქვს ეს ძალაუფლებაო. მოგეხსენებათ, ძალა აღმართს ხნავს, მათ ეს ინფორმაციები მაინც ამოლებინეს, თუმცა სოდ-ის უფროსის მაშინდელი მოადგილე დავით გოგიბერიძე და მთავარი სამმართველოს უფროსი ლევან გურგენიძე უკმაყოფილო დარჩენილან, საკმარისი ინფორმაცია არ არისო.

წყაროს თქმით, შემდეგ რეგიონებიდან ჩამოყვანილი ეს ახალგაზრდები „დაავერბოვკეს“, მაშინ ისინი 16-17 წლისანი იყვნენ, საპროტესტო აქციების მასიური დარბევა როცა დაიწყო, უკვე ჩამოყალიბებული მამაკაცები იყვნენ და ცხადია, ამ ბინძურ საქმეებში მათაც გამოიყენებდნენ. ერთი სიტყვით, ნაციონალები წინასწარ ამზადებდნენ ზონდერბრიგადებს, რადგან იცოდნენ, მათ მიერ გატარებულ პოლიტიკას აუცილებლად მოჰყვებოდა ხალხის პროტესტი, თუმცა ნაცხელისუფლებას ნამდვილად არ ეყოფოდა საიმისოდ ჭკუა, რომ წინასწარ განესაზღვრათ ეს ყველაფერი. აშკარად ვიღაცის მითითებებს ასრულებდნენ და სავარაუდოდ, ეს მიმთითებლები რუსეთისა და ამერიკის სპეცსამსახურები იყვნენო.

„საერთო გაზეთი“ წერდა, რომ ზონდერჯგუფების შემადგენლობაში მრავლად არიან ყოფილი და მოქმედი სპორტსმენები. ამ თემაზე ჩვენმა წყარომ უფრო დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდა. იგი აქცენტს ათლეტიზმის ფედერაციაზე (თავმჯდომარე ნიკოლოზ სარალიძე) აკეთებს. ათლეტიზმს მიეკუთვნება კიკბოქსინგი, ბრძოლა წესების გარეშე, სიმძიმეების აწევა და ა.შ. ამ ფედერაციის წარმომადგენლები არსად ჩანან, მაგრამ მოჭიდავეებზე არანაკლები სიბინძურეები აქვთ ჩადენილიო. ამ კონტინგენტიდან ძალიან ბევრი ყოფილა კუდ-ისა და ზონდერბრიგადების შემადგენლობაში, თუმცა ყველაზე ვერ ვიტყვით, იქ ბევრი წესიერი ადამიანიც არისო. სარალიძეს ავალებდნენ ამ ზონდერსპორტსმენთა მობილიზებას დაგეგმილი მიტინგის წინ ან პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვის დროს. მათ დაიბარებდნენ და სავარჯიშოდ მიყავდათ. მობილიზებას და ვარჯიშს უშუალო კურირებას სარალიძის ხელქვეითები გიო ბაბუნაშვილი, ნოდარ მინდიაშვილი, გელა ბარათაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, ზვიად ქობალია და ემზარ ტყეშელაშვილი უწევდნენ. ამ სპორტსმენებისთვის შეურაცხოფის მიყენება არ გვინდა, მაგრამ, ძირითადად, ისეთი ხალხია, რომლებსაც ძალა აქვთ, ჭკუა კი არ ჰყოფნით. მათ ჭკუა რომ ჰქონდეთ, საკუთარი ხალხის დარბევას როგორ იკადრებდნენო. ნაცხელისუფლებას სწორედ ისეთი ხალხი აწყობდა, რომელიც ფულის გულისთვის ყველაფერს გააკეთებდა. ამ დაჯგუფებების ქვედა რგოლებს უშუალოდ სარალიძესთან შეხება არ ჰქონდათ, ზემოჩამოთვლილ პირებთან ურთიერთობდნენ, ეს უკანასკნელნი კი სარალიძისგან იღებდნენ დავალებებს. სარალიძე თავისთავად ზემოდან იღებდა ბრძანებებს, სავარაუდოდ, შსს-ს ხელმძღვანელობისგან. თავად ვანო მერაბიშვილი როგორ იკადრებდა მასთან უშუალო შეხვედრას და ბრძანების გაცემას, ამას რომელიმე მისი ნდობით აღჭურვილი პირი განახორციელებდა. მერაბიშვილი, თავის მხრივ, სააკაშვილისგან იღებდა დავალებებს და ვფიქრობთ, სააკაშვილიც ვიღაცის დავალებით მოქმედებდა, რადგან წინასწარი განჭვრეტის ნიჭით დიდად არც ის გამოირჩევა. ამ გათამაშებებში ყველაზე მეტად წვლილი მიშას ბიძას, კაგებე-ს გენერალ თემურ ალასანიას მიუძღვის, რომელიც, მოგეხსენებათ, ორი ბატონის მსახურია, რუსეთისა და ამერიკის ინტერესებისთვის ერთნაირად მუშაობსო. ზონდერბრიგადების საკითხი რომ არ არის სახუმარო


გელა ბარათაშვილი



ემზარ ტყეშელაშვილი


გიორგი ბერიაშვილი

თემა, ყველას კარგად მოეხსენება. მარტო ვერა-ვაკეში მათ 100-120-კაციანი დაჯგუფება ჰყოლიათ. 300 კარგად ორგანიზებული კაცი, მით უმეტეს, შეიარაღებული, თბილისისთვის ძალიან დიდი პრობლემას წარმოადგენს. წყაროს ინფორმაციით, 150 „ბოევიკი“, თუ მეტი არა, დღეს უკვე ჰყავთ.

ეს დაჯგუფებები, ძირითადად, დაცვის პოლიციის ბაზებზე ემზადებოდნენ. ამ ზონდერებს 700-დან 1200 ლარამდე ხელფასი ჰქონდათ, ხელმძღვანელობას უფრო მეტიც. როგორც აღვნიშნეთ, მათი მოძრაობა მასიურად 2007 წლიდან დაიწყო, ანუ იმ დროიდან, როცა შსს-დან კანტიკუნტად შემორჩენილი, ძველი პროფესიონალი კადრებიც გაუშვესო. მოგეხსენებათ, შსს-ს ძველი კონტინგენტის პირველი და ყველაზე მასიური გაშვება 2004 წლის ზაფხულში, ირაკლი ოქრუაშვილის შს მინისტრობის დროს მოხდა, მაგრამ გამოცდილი კადრების ნაწილი შეუნარჩუნებიათ, ახალბედებისთვის ვიღაცას მაინც ხომ უნდა ესწავლებინა მუშაობა, თუმცა მერე ისინიც მოუშორებიათ.

2010-2011 წლებში, როცა ხალხის უკმაყოფილება გაიზარდა და პოლიტიკური დაძაბულობა გამწვავდა, ნაცხელისუფლებას არსებული ზონდერების ძალები აღარ ჰყოფნიდა, წვევამდელების მასიური მობილიზება დაიწყეს, ჩამოივლიდნენ დაცვის პოლიციაში და სამხედრო ნაწილებში, არჩევდნენ ფიზიკურად ძლიერ ბიჭებს და მათ დაცვის პოლიციის ბაზების გარდა და ვაზიანის სამხედრო ნაწილის (მე-4 ბრიგადა) ტერიტორიაზეც ავარჯიშებდნენ, რადგან ხსენებული ბაზები აღარ ჰყოფნიდათო. ამით თანხების დაზოგვასაც ახერხებდნენ, რადგან ჯარისკაცები იაფი ძალაა, მათ 70-80 ლარს თუ უხდიდნენ. „ვარდოსნებს“ წვევამდელებზე მუშაობა, ჯერ კიდევ 2004-2005 წლებიდან დაუწყიათ, მაშინ მათ „მოდულის“ ტერიტორიაზე ავარჯიშებდნენ, მიტინგების დასარბევად ამზადებდნენ. ბუნებრივად ჩნდება ხომ კითხვა, რა იცოდნენ 2007-2008 და შემდგომ წლებში რა მოხდებოდა წინასწარვე რომ ემზადებოდნენ. გამოდის, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გეგმავდნენ ქვეყნის საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარებას და ხალხისგან მოსალოდნელ რეაქციებიც გათვლილი ჰქონდათ.

ბადრი ბასიშვილის ზონდერჯგუფში, ძირითადად, ყოფილი და მოქმედი მოჭიდავეები არიან, უფრო ქართლის მცხოვრებნი. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა მოჭიდავემ არ იკადრა სააკაშვილის გუნდთან თანამშრომლობა, მათ შორის ისეთებმაც, რომლებიც საეჭვო ქმედებებში იყვნენ შემჩნეულნი. წყაროს ამის მაგალითად, დავით ქარსელაძე, იგივე „კალატოზა“ მოჰყავს. ამ პიროვნებასაც აქვს საკმაო ცოდვები, დარწმუნებული ვართ, მასაც მიუგზავნეს ყოფილმა „რეფორმატორებმა“ შუამავლები, მაგრამ მან ზონდერობაზე უარი თქვა და ალბათ, იმიტომაც დაიჭირეს უკანონო იარაღის ფლობის ბრალდებით. „კალატოზა“ მალევე გამოუშვით, ის ციხიდან გამოსვლისთანავე მეორედ უნდა დაეჭირათ, მაგრამ ბრძანებამ დაიგვიანა, თუ რაღაც ასეთი და „კალატოზამ“ უკრაინაში

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

გაქცევა მოახერხა. ჩვენი რესპოდენტი დარწმუნებულია, რომ „ნაციონალებმა თვითონვე შეუწყვეს ხელი მას გაქცევაში.

წყაროს თქმით, ყველა უბედურების სათავე შევარდნაძის მმართველობის პერიოდში უნდა ვეძიოთ, სწორედ იმ პერიოდიდან იწყება პოლიციის დემორალიზება და არაპროფესიონალი კადრებით დაკომპლექტება. მაშინ თბილისის პოლიციის შემადგენლობაში 650 ოპერატიული თანამშრომელი იყო, მაგრამ 400-მა საერთოდ არ იცოდა მუშაობა, დარჩენილი 250-დან 150-ს არაფერი ანაღვლებდა. რჩებოდა 100 კაცი, საიდანაც ნახევარი ხან — მუშაობდა და ხან არა. ასე რომ, მთელი ქალაქის ოპერატიული საქმიანობა 50 კაცის კისერზე გადადიოდა. ეს ხალხი იძულებული იყო მთელი ღამე ფეხით ევლოთ დედაქალაქის ქუჩებში, რადგან სხვანაირად ვერ ფლობდნენ სიტუაციას. სააკაშვილმა მერე ეს 50 კაციც გაუშვა სამსახურიდან და ხომ წარმოგიდგენით რა ქაოსი იქნებოდა ქალაქში. თუ ნაციონალები და მათი მხარდამჭერები იმას იტყვიან, კრიმინოგენური ვითარება დასტაბილურდა, დანაშაული აღარ ხდებოდაო, არც იყო გასაკვირი, რადგან ნაცხელისუფლებამ ქვეყნიდან გაყარა ის კრიმინალები, ვისი ხელითაც ორგანიზებას უკეთებდა დანაშაულობებს და ამწვავებდა კრიმინალურ ვითარებას. შემთხვევით დამნაშავეებს კი დაიჭერდნენ, რადგან მათზე ინფორმაციის მიმცემები საკმაოდ ჰყავდათო. შეიძლება, მართლაც ისე ინტენსიურად აღარ ხდებოდა დანაშაულობები, მაგრამ ისიც ცნობილია, თუ როგორ მალავდა ნაციონალების შსს დანაშაულობათა რეალურ სტატისტიკას. ერთ-ერთი პროფესიონალი სამართალდამცავის თქმით, მის ახლობელს ავტომანქანა მოჰპარეს, რაც დაზარალებულის განცხადების საფუძველზე პოლიციაში დაფიქსირდა. სპეციალურად ვუყურე იმ და მომდევნო დღეებში გურამ დონაძის გადაცემა „პატრულს“, სადაც ვითომ მომხდარი დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებდნენ, მაგრამ ავტომანქანის გატაცების მაჩვენებლად ნული ცხადდებოდაო.

შევარდნაძის მმართველობის პერიოდში კრიმინალური სიტუაციის გართულებას ჩვენი წყარო პირდაპირ უკავშირებს მოქკავშირის ახალგაზრდულ ფრთას, ანუ „ახალგაზრდა რეფორმატორებს“, როგორც ისინი საკუთარ თავს უწოდებდნენ, რომლებიც სინამდვილეში დამანგრევლები უფრო იყვნენ. მაგათგან მოდიოდა ყველა უბედურებაო. გაიხსენეთ 90-იანი წლების ბოლო პერიოდი (ამ დროს შეიარაღებული ბანდების თარეში უკვე ალაგმული იყო) ქალებს და უცხოელებს რომ სცემდნენ და ძარცვავდნენ, თავდამსხმელთა ამომცნობი კი არავინ იყო, რადგან უკნიდან ეპარებოდნენ და მსხვერპლნი მათ სახეებს ვერ ხედავდნენ. ამ დამნაშავეთა დაჯგუფება, ძირითადად, კარატედოს ფედერაციაში ვარჯიშობდა. მათ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ „ახალგაზრდა რეფორმატორებთან“, მათი მითითებით მოქმედებდნენ და ეს კავშირი არც მერე გაუწყვეტიათო. ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ იმ პერიოდში კარატედოს ფედერაციაში კობა ცერცვაძე, დავით რაზგოევი, რამაზ სახვაძეც ვარჯიშობდნენ, რაც ვფიქრობთ ბევრ რამეზე მეტყველებს.

ჟვანია-სააკაშვილის გუნდი რომ მფარველობდა დუშეთის რაიონში „მოჭიდავეების“ სახელით მოქმედ კრიმინალურ დაჯგუფებას, რომელსაც ჟინვალელი მალხაზ ჯაბნიაშვილი, მეტსახელად „თავა“ ხელმძღვანელობდა, ეს ადრეც ხშირად მოგვისმენია. სხვათა შორის, როგორც მაშინ ამბობდნენ, ჯაბნიაშვილს „კალატოზასთან“ და მურმან ტვილდიანთანაც, მეტსახელად, „ხალვა“ კავშირი. ეს უკანასკნელი ადამიანების პროფესიონალი გამტაცებელი ყოფილა. წყაროს თქმით, ჯაბნიაშვილი ყოველთვის კრიმინალი იყო, აქტიური კავშირი ჰქონდა დამნაშავეთა სამყაროსთან და მათგანაც იღებდა მფარველობას. „თავა“ თავის დაჯგუფებასთან ერთად დუშეთის რაიონში მომუშავე „მარშრუტკებს“ აკონტროლებდა და ვინც ფულს არ გადაუხდიდა, მკაცრად უსწორდებოდნენ. ამ დაჯგუფებას 2001 წლის ზაფხულში დუშეთის ცენტრში შეიარაღებული შეტაკება მოუვიდა მათი თქმით, კონკურენტებთან, რა დროსაც ახალგაზრდა პოლიციელი დაიჭრა, რომელიც სამუდამო ხეიბრად დარჩა. პოლიციამ იმ პერიოდში ჯაბნიაშვილი და მისი დაჯგუფების წევრები კი დაიჭირა, მაგრამ „რეფორმატორებმა“ სასამართლოს, რომელიც მთლიანად მათი პოლიტიკის გამტარებელი იყო გააშვებინეს, ახალგაზრდა, პერსპექტიული მოჭიდავეები არიან და ნუ დავღუპავთო. ამ საქმეში აქტიურად იყვნენ ჩართული დუშეთის მაშინდელი მაჟორიტარი დეპუტატი მარინა მოლოდინი, რომლის მეუღლეც იმ პერიოდში მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის პოსტს იკავებდა. დაზარალებულების თქმით, ამ დაჯგუფების წევრთა გამოხსნაში აქტიურად იყო ჩართული პატიმრების „დედა ტერეზად“ წოდებული ელენე თევდორაძეც. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, მაშინ დიდი ფული შესთავაზეს შსს-ს, ამ ხალხის გასათავისუფლებლად, მაგრამ პოლიციისგან სასტიკი უარი მიიღეს, თუმცა სასამართლოში თავისას მიაღწიეს და ეს, რა თქმა უნდა, უანგაროდ არ მომხდარაო.



ჯაბნიაშვილი ამ თავისი დაჯგუფებით 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს ნაციონალების სასარგებლოდ მუშაობდა დუშეთის რაიონში, იქაც იყო დიდი გაწევ-გამოწევა და ხალხის დაშინება. მერე მასა სააკაშვილს შორის, როგორც ჩანს, „შავმა კატამ“ გაირბინა და ჯაბნიაშვილი საზღვარგარეთ იყო გაქცეული. ასე რომ, ჟვანია-სააკაშვილსა და მათ გუნდს სასამართლოზე დიდი გავლენა ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის დროიდან ჰქონდა. პოლიციის მიერ დაჭერილ კრიმინალებს მოსამართლეები მაშინაც უპრობლემოდ ათავისუფლებდნენ სასამართლო დარბაზიდან, თანაც ყოველგვარი გირაოს გარეშეც. ეტყობა, გირაოს თანხა მაშინ დამკვეთების ჯიბეში მიდიოდა. ასე გაუთავისუფლებიათ პანკისელი კრიმინალი შოთა ჭიჭიაშვილიც 90-იანი წლების მიწურულს. მას მაშინ ქართველი ებრაელი ბიზნესმენი დათიკაშვილი და მისი მეუღლე ჰყავდა გატაცებული მაღრაანის ტყეში (თელავის რაიონი), და შემდეგ, სავარაუდოდ, გამოსასყიდად 80.000 დოლარი „აახიესო“. პროკურატურა მისთვის სასჯელად 9 თუ 10-წლიან პატიმრობას ითხოვდა, პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოუტანა კიდეც ეს სასჯელი, მაგრამ სააპელაციო სასამართლომდარბაზიდან გაუშვაო. ამის შემდეგ, უამრავი ამ კატეგორიის დანაშაული მოხდა, გაიტაცეს ქანდელი ხოშაბაევი, რომლის შვილებიც ბიზნესმენები იყვნენ, ესპანელი ბიზნესმენები, ინგლისელი ბიზნესმენი პიტერ შოუ, ვიღაც ფულიანი აზერბაიჯანელები და ა.შ. წყაროს თქმით, ჭიჭიაშვილის გაშვებაში მაშინდელი უშიშროების სამინისტროს მაღალჩინოსნებსაც მიუძღვით წვლილი. საერთოდ, ყველა ეს გატაცება დადგმული სპექტაკლი იყო, მაშინდელი მაღალჩინოსნები უკვეთავდნენ იგივე ჭიჭიაშვილს ამ გატაცებებს, ის მხოლოდ შემსრულებელი იყოო. „საერთო გაზეთი“ უკვე წერდა, რომ ეს ყველაფერი იმისთვის კეთდებოდა, რომ კრიმინალური სიტუაციის დაძაბვით შევარდნაძისთვის სახელი გაეტეხათ, ქვეყანას ვეღარ მართავსო და უპრობლემოდ ჩამოეცილებინათ ხელისუფლებიდა. ამ ყველაფრით საქართველოს იმიჯიც რომ ილახებოდა, ამას დიდად არ დაგიდევდნენ.

წყაროს განცხადებით, ზონდერბრიგადები შევარდნაძის მმართველობის პერიოდშივე რომ ყალიბდებოდა მოქკავშირის ახალგაზრდული ფრთის მიერ ამის შესახებ ინფორმაციებს ვფლობდით და ჩვენს ხელმძღვანელობასაც ვაწვდიდით, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავდა, რადგან ახალგაზრდა მოქკავშირელები და ძალოვანი სამინისტროების ხელმძღვანელობა „შეკრულები“ იყვნენ. ერთადერთი კობა ნარჩემაშვილს ვერ დავაბრალებთ ვერაფერს, ის, რომ იტყვიან, წმინდანი იყო ჯოჯოხეთში, როგორც ირაკლი ღარიბაშვილი თავის უწყებაშიო. ღარიბაშვილს თუ დროზე არ დაუჭირა მხარი ხელისუფლებამ, შეიძლება დიდ უბედურებაში გავეხვიოთო. კრიმინალური სიტუაციის დაძაბვა და შემდეგ ხელისუფლების შეცვლა რუსული მეთოდია. ამერიკელები მშვიდ ვითარებაშიც ცვლიან ხელისუფლებებს. ახლა არჩევნებით რომ შეიცვალა ხელისუფლება, ეს, ვფიქრობთ რუსულ-ამერიკული, ერთობლივი პროექტით მოხდა. ისინი ახლაც რაღაცას თამაშობენ, ჩვენ კი შტერებივით მივჩერებივართო.

ერთი ძალზე საინტერესო დეტალიც, ჩვენი წყაროს ცნობით, რომლის კომპეტენტურობაშიც ეჭვი არ გვეპარება, „რეფორმატორების“ ფრთებქვეშ მოქმედ კრიმინალებს, მაშინ ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონიათ ე.წ. სამხრეთ ოსეთის „ომონის“ წევრებთან. სააკაშვილი რომ გამობრძანდება და აცხადებს, შევარდნაძის მმართველობისას ავტომანქანებს იტაცებდნენო, ეს ავტომანქანები ხომ, ძირითადად, ცხინვალის რეგიონში გაჰყავდათ. რატომ იმას არ ამბობს, რომ გამტაცებლებს მაშინ სწორედ მოქკავშირის ახალგაზრდული ფრთა მფარველობდა. ის რამდენიმე კაცი, რომელიც ხელმძღვანელობდა ავტომანქანის გატაცებებს და სხვა დანაშაულობებს, სწორედ მათგან იმართებოდნენ. ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იმიტომაც შეწყდა ავტომანქანის გატაცებები, რომ თავად გააჩერეს მათ მიერვე მართული ჯგუფი. მათ „ჩააშვებინეს“ რიგითი გამტაცებლები, რომლებიც დაიჭირეს და ამით დამთავრდა ყველაფერი. ესენიც მხოლოდ პიარისთვის დაიჭირეს, თორემ, აბა, გამოითხოვეთ ინფორმაცია, რომელიმე მათგანმა ბოლომდე თუ მოიხადა სასჯელიო.



ირაკლი კოდუა

შევარდნაძის მმართველობისას, ყველაზე მეტი ოპერატიული ინფორმაცია ავტომანქანების გამტაცებლებთან დაკავშირებით დავით კეკუას ჰქონია. ექნებოდა კიდეც, რადგან ის თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა. გამტაცებლებს რომ იჭერდნენ და საქმე სასამართლო განხილვაზე მიდიოდა, რაღაც მანქანებით მტკიცებულებებიდან აღარაფერი რჩებოდა, განსასჯელებს ან სასამართლო დარბაზიდან უშვებდნენ, ხოლო ვისაც მიუსჯიდნენ, იმათაც მოკლე ხანში ამნისტიით ათავისუფლებდნენ. სასამართლო ხელისუფლებას რომ მთლიანად ჟვანია-სააკაშვილის გუნდი განაგებდა, ამაზე უკვე ვისაუბრეთ. თუ საჭიროდ ჩათვლით, ამ გამტაცებლების გვარებსაც მოგაწვდით. ზონდერჯგუფებში, ცხადია, ეს მათგან „დავალებული“ ხალხიც მრავლად ჰყავთ. საერთოდაც, ნაციონალებს ვინ აძლევდა ხმას არჩევნებში - ვისაც ოჯახის წევრი პატიმარი ჰყავდა, ასევე ნარკომანები და მათი ოჯახის წევრები, იმის შიშით, რომ ეს ავადმყოფი ადამიანები არ დაეჭირათ. სხვა ნორმალური ადამიანი, ამ არაკაცებს ხმას როგორ მისცემდაო.

## შსს-ს ახალმა ხელმძღვანელობამ ეს აუცილებლად უნდა იცოდეს

ალბათ, გეხსომებათ, მოარული ხმები, თითქოს 26 მაისის აქციის დარბევაში პოლიცია თითქმის არ მონაწილეობდა, განსაკუთრებული სისასტიკით ვინც ურტყამდა აქციის მონაწილეებს, ზონდერები იყვნენო. წყაროს მტკიცებით, სწორედ პოლიცია არბევდა მშვიდობიან მომიტინგეებს. წითელჟილეტიანები შსს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, ანუ ცენტრალური აპარატის, წარმომადგენლები იყვნენ, მათ აქვთ ეს ფორმა. ის შავ ფორმიანები კი ოთხი კაცი ერთ ბიჭს რომ ურტყამდა პიონერთა სასახლის წინ, თბილისის კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები იყვნენ, კონკრეტულ რაიონსაც გეტყვით, მაგრამ ჯერ არ დამდგარა მაგის დრო. თუ ვინმეს ჩვენს სიტყვებში ეჭვი ეპარება, ამოიღოს სიები თუ ვინ მიიღო იმ პერიოდში პრემია და დაინტერესდეს, რა „დამსახურებისთვის“ დაჯილდოვდნენო. თბილისის კრიმინალურ პოლიციას იმ პერიოდში ირაკლი კოდუა ხელმძღვანელობდა, მისი მოადგილე კი, თუ არ ვცდებით, დავით ბედია იყო. გარე ზონდერებიც ღებულობდნენ დარბევაში მონაწილეობას, მაგრამ, ძირითადად, იქ პოლიციელები იყვნენ. აი, ნიღბიან-ჩაჩქანიანი „მარბიელები“ კი ე.წ. თბილისის გარნიზონის წარმომადგენლები არიან. რაც შეეხება იმ ე.წ. მიკი მაუსებს, მეორენაირად კი რობოკოპებსაც რომ უწოდებენ, ისინი შსს-ს განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა სამსახურის თანამშრომლები ყოფილან. მათი ბაზა კახეთის გზატკეცილის სიახლოვეს ე.წ. პეპელასთან არის. მათ დაასახიჩრეს და მხუთავი გაზით დაწამლეს 7 ნოემბრის აქციების დროს მშვიდობიანი მომიტინგეებიო.

დარბევაში მონაწილე პოლიციელებს მაშინ (და ალბათ, შემდგომაც) 800-დან 1500 ლარამდე პრემია გადაუხადეს. გარდა ამისა, რომელი პოლიციელის ავტომანქანაც დაზიანდა აქციების დარბევის დროს, მათ დამატებით, პრემიაზე გაცილებით დიდი თანხები (დაახლოებით, 3-4 ათასი ლარი და მეტიც) გადაუხადეს ავტომანქანების შესაკეთებლადო. ამ დამრბევთა უმეტესობა, თურმე, დღესაც პოლიციაში მუშაობს, ამიტომ ახალ ხელისუფლებას ნამდვილად არ აქვს კეკლუცობის დრო, რომ თუნდაც პოლიციიდან ნაციონალების დროინდელ კადრებს „უმიზეზოდ“ ვერ გაუშვებს. მიზეზები საკმარისზე მეტია, ამ კადრების უცოდინარობაზე და არაპროფესიონალიზმზე რომ არაფერი ვთქვათ, მათი მხრიდან მშვიდობიანი მიტინგების დარბევის დროს გამოჩენილი სისასტიკეც კმარა.



**მანანა სუხიშვილი**
**599 51 28 24**

**დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარეთისა და სარკინეთის თემის სოფლის მცხოვრებთა**

# საქართველოს მთავარ პროკურორს ბატონ არჩილ კბილაშვილს

## მიმართვა-განცხადება

მოგესალმებით ბატონო არჩილ,

კიდევ ერთხელ გაწუხებთ ჩვენთვის მეტად მტკივნეულ საკითხთან დაკავშირებით.

2012 წლის 15 ნოემბერს ერთხელ უკვე მოგმართეთ განცხადებით და გაცნობეთ, რომ გომარეთს გააჩნია 2200 ჰა სახნავ-სათესი, აქედან 750 ჰა არის მოსახლეობის საკუთრებაში (კომლზე – 12 500 კვ.მ); დანარჩენი მიწის ფართობიდან დაახლოებით 500 ჰა იჯარით იყო გაცემული, 100 ჰა – გაუცემელი. 2005 წელს ძალაში შევიდა კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის შესახებ“. ამ კანონის თანახმად განისაზღვრა მიწის საფასურის გადახდის წესიც: თუ მყიდველი ერთი თვის ვადაში დაფარავდა ერთი ჰა–ს ღირებულებას (რომელიც შეადგენდა 300 ლარს), იხდიდა 50 პროცენტს, ანუ 150 ლარს; ან შეეძლო განვადება წინასწარი 20–პროცენტიანი გადახდით, დარჩენილ თანხას კი მომდევნო 9 თვის განმავლობაში გადაიხდიდა. სოფელ გომარეთის მცხოვრებლებიდან მიწის შეძენის მსურველებმა მოამზადეს პრივატიზაციისათვის აუცილებელი საბუთები. ითქვა, რომ უპირატესობით უნდა ესარგებლათ სოფლის საკომლო წიგნში აღრიცხულ პირებს (აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია მოსახლეობამდე დაგვიანებით აღწევდა, სპეციალურად იბლოკებოდა). შესაბამისად, განცხადებების უმეტესობა დაიწერა 2008 წელს და შემდგომ პერიოდში. მას შემდეგ, რაც მოსახლეობამ მთლიანი ფართობის შეძენის სურვილი გამოთქვა, დაიწყო ხელოვნური შეფერხებები: ცოტა ხანში 1 ჰა მიწის ფართობის შესყიდვის ფასი 300 ლარიდან ჯერ 500 ლარამდე, ორი თვის შემდეგ კი 1000 ლარამდე გაიზარდა. ვინც სურვილი გამოთქვა, თუნდაც აღნიშნულ ფასად შეესყიდათ მიწის გარკვეული ფართობი, ვერ მიიღეს დამაკმაყოფილებელი პასუხი და მათი საბუთები, სავარაუდოდ, დღესაც ეკონომიკის სამინისტროს ან სამხარეო სამსახურის თაროებზე ძევს.

შექმნილმა ვითარებამ უკიდურესად აღგვაშფოთა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა და გვაიძულა, თქვენთვის ხმა მოგვეწვდინა. როგორც გაირკვა, პრივატიზაციის შეჩერების შემდეგ, 2012 წლის 30 მაისს, საქართველოს პრეზიდენტმა მიწის გარკვეული რაოდენობა (730 ჰა), ამომრჩეველთა მოსყიდვის მიზნით, პირდაპირი განკარგვით მიასყიდა შპს „ორმაშენს“ (შპს–ს დამფუძნებელი, ვინმე კარალოვი, აზერბაიჯანის გენერალური პროკურორის და მილიარდერის ღვიძლი ძმაა, მას და მის ბიზნესსაც ის მფარველობს. იგი უსაზღვრო ავტორიტეტით სარგებლობს აზერბაიჯანული წარმოშობის დმანისელ მოსახლეობაში. ყველასთვის ცნობილია, თუ როგორ გააყალბა მათმა ავტორიტეტმა და გამოყენებულმა დიდმა ფინანსურმა რესურსმა არჩევნები დმანისში), ერთი ჰა 400 ლარად, როცა ადგილობრივი მოსახლეობისათვის 1 ჰა–ს ღირებულება შეადგენდა 1000 ლარს. აშკარა ფაქტია პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაული. მოგეხსენებათ, არჩევნების მეორე დღესვე, ჩვენთვის უცნობმა პირებმა შემოიტანეს თანამედროვე გერმანული ტექნიკა, დაიწყეს ხვნა და 2 ნოემბერს ხორბალიც დათესეს.

ჩვენ კარგად გვესმის, რას ნიშნავს ინვესტიცია, მაგრამ ყოველივე ეს მოხდა მოსახლეობის ინტერესების გვერდის ავლით და ფარულად, ჩვენ აღმოვჩნდით უკანონობის წინაშე. თუ პრივატიზაცია შეჩერებული იყო, როგორ მოხდა, რომ 2012 წლის 30 მაისს ხელშეკრულება გაფორმდა აღნიშნულ ფირმასთან თუ ინვესტორთან, მაშინ როცა გომარეთის მოსახლეობისათვის ეს შეუძლებელი იყო. დარწმუნებული ვართ, რომ ამ გარიგებით ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხელი გვარიანად მოითბეს. მეტსაც გეტყვით, შპს „ორმაშენის“ ოფისის პიკეტირების დროს მისი ერთ–ერთი წარმომადგენელი აცხადებდა, რომ რეალურად 1 ჰა მიწის ფართობში 1400 ლარი გადაიხადა და მზად იყო, თუ ვინმე აღნიშნულ თანხას გადაუხდიდა, მიწის ფართობი დაებრუნებინა. ორი დღის შემდეგ განმცხადებლები დაგვიბარეს ბოლნისის რაიონულ პროკურატურაში, სადაც პროკურორმა ი. ქართველიშვილმა (იგი თვითონ მონაწილეობდა აღნიშნული მიწის ნაკვეთების გასხვისების "სპეცოპერაციაში") მოგვაწოდა ოფიციალური ინფორმაცია – შპს „ორმაშენს“ პირდაპირი მიყიდვის წესით ნაყიდი აქვს 720 ჰა სახნავ–სათესი მიწის ფართობი და გადახდილი აქვს 296 ათასი ლარი, ანუ საშუალოდ 1 ჰა მიწის ფასი 410 ლარს შეადგენს.

მადლობას გიხდით, რომ თქვენ ოპერატიულად დაავალეთ შესაბამის ინსტანციებს საქმის გარკვევა, მაგრამ სამწუხაროდ საკითხში გასარკვევად ბოლო ორგანო აღმოჩნდა შსს დმანისის რაიონული სამმართველოს გომარეთის პოლიციის განყოფილება. მისმა თანამშრომლებმა კი, იმის ნაცვლად, რომ გაერკვიათ, რატომ გაასხვისეს გომარეთის მოსახლეობის გვერდის ავლით მიწა (ასეთ დაბალ ფასებში) და რატომ ეთქვა ადგილობრივ მოსახლეობას უარი მიწის შეძენაზე, იმის ძიება დაიწყეს, როდის აიღეს მოიჯარეებმა მიწის ფართობი, გასწორებული ჰქონდათ თუ არა საგადასახადო სამსახურთან ანგარიში და ა.შ. მათ მიერ ჩატარებული „ინტენსიური“ კვლევებითა და დაკითხვებით „დადგინდა“, რომ თურმე გომარეთის მოსახლეობისა და შპს „ორმაშენის“ დავა წარმოადგენს უბრალოდ სამოქალაქო დავის საგანს და უნდა მივმართოთ სასამართლოს (?!).



არავის გასჩენია ორი მთავარი კითხვა: 1. რატომ მიეყიდა უცხო ორგანიზაციას მიწა ფარულად და სამჯერ უფრო იაფად და 2. რატომ ვერ შეძლო სოფელ გომარეთის მოსახლეობამ 1 ჰა მიწის 1000 ლარად ყიდვა? არც ის უკითხავს ვინემს, სად წავიდა 720 ათასი ლარი, თუ შპს „ორმაშენმა“ 1 ჰა მიწის ფართობში მართლაც 1400 ლარი გადაიხადა. ეს არავის გამოუძიებია.

უმორჩილესად გთხოვთ, საქმის გამოძიება დაავალოთ უფრო კომპეტენტურ და მიუკერძოებელ ინსტანციას. აქვე მოგახსენებთ, რომ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ეს „ზედმეტი“ თანხა შესაძლოა, „ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო კამპანიას მოხმარდა.

ანალოგიური მდგომარეობაა სარკინეთის თემის სოფლებში, სადაც 1993 წლიდან, ანუ ადგილობრივი ბერძენი მოსახლეობის გასვლის შემდეგ, ჩამოსახლდნენ ეკომიგრანტები აჭარიდან, მთა–თუშეთიდან, სვანეთიდან და სხვა რეგიონებიდან; არიან აგრეთვე ლტოლვილები აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან. მოსახლეობა ათეული წელია ითხოვს საკარმიდამო ნაკვეთების შევსებას 1.25 ჰექტრამდე, მაგრამ ადგილობრივი და სამხარეო ხელისუფლება დღემდე უარს აცხადებს და ახლად შექმნილი ოჯახებისათვისაც კი არ გაუციათ 1,25 ჰექტარი. ამ საკითხზე არაერთხელ მივმართეთ რეგიონის, რაიონის ხელმძღვანელ პირებს, მაჟორიტარ დეპუტატსაც, მაგრამ პასუხი ვერ მივიღეთ.

ამიტომ ჩვენი უმორჩილესი თხოვნაა, აღდგეს სამართლიანობა, ჩატარდეს მიუკერძოებელი გამოძიება, თუ საჭიროა დაიკითხოს საქართველოს პრეზიდენტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. უნდა დაისაჯოს ყველა პირი, ვინც უძველესი ქართული სოფლის მიწის გაყიდვით სარგებელი მიიღო. კეთილსინდისიერ შემძენ შპს "ორმაშენთან", რომელიც თითქოსდა გერმანული კომპანიაა, სამოქალაქო დავა მხოლოდ სისხლის სამართლებრივი გამოძიების დასრულების შემდეგ გვექნება. ადგილობრივ მცხოვრებლებს მიეცეთ მიწის ნაკვეთის შეძენის უფლება 2005 წლის კანონმდებლობით.

**ტარიელ ბალახაძე,**
**არსენ ეგრისელაშვილი,**
**მირმან სარსევანიძე,**
**ეთერ მახარაშვილი,**
**გიორგი ბერუაშვილი,**
**ვარდო მაისურაძე,**
**ეთერ ხიზანიშვილი,**
**ტარიელ მიშელაძე,**
**ელენე ბაქრაძე და სხვები,**
**სულ 50-ზე მეტი ხელმომწერი**

# „უნივერსიტეტის დახურვას სჯობს „საერთო გაზეთი“ დახურონ!“




„უნივერსიტეტის დახურვას ის სჯობია, „საერთო გაზეთი“ დახურონ!“ – ასეთი მოწოდება „ნაციონალების“ ერთი ცნობილი მხარდამჭერისგან გაისმა და მას მყისვე აჰყვნენ მისი პარტიული ამხანაგები.

„ნაცების“ მხარდაჭერით ცნობილი ეს პატივცემული გვამი კიდევ სხვა რაღაცებითაც არის ცნობილი და, როგორც აღმოჩნდა, იგი „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულმა ერთმა წერილმა შეაწუხა განსაკუთრებით.

„სად ინახება „ნაციონალი“ მაღალჩინოსნების გაუპატიურების თუ ნებაყოფობითი ჰომოსექსუალური აქტების ამსახველი კადრები? – ასე ჰქვია ამ წერილს.

როგორც ჩანს, მოწოდების ავტორი რაღაცით არის დაკავშირებული ამ წერილში მოთხრობილ ამბავთან და ამიტომაც განრისხდა და აღშფოთდა.

მასთან და მისნაირებთან დავას და კამათს აზრი არ აქვს, თუმცა ერთ რამეს მაინც ვიტყვით: გაზეთების დახურვისკენ რომ მოგვიწოდებთ, უნივერსიტეტები რაღაში გჭირდებათ, ნეტავ?

ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ბოლო ხანებში „საერთო გაზეთის“ წინააღმდეგ გამოხტომები გახშირდა.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, ვის უშლის ხელს და ვის უშლის ნერვებს „საერთო გაზეთის“ არსებობა, თუმცა ასეთი გამოხტომების შიშით არც პოზიციის შეცვლას ვპირებთ და ვერც გაზეთს დახურვით გაგახარებთ, თქვე მართლაც მავნეებო...“

**„ს.გ.“**

## კახა ბენდუქიძეს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი უპირისპირდება



კახა ბენდუქიძეს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი მანანა ცინცაძე უპირისპირდება, რომელიც აცხადებს, რომ უნივერსიტეტიდან აკადემიური მოსწრების გამო კი არა, სტუდენტებს სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო რიცხავდნენ.

ცინცაძე აცხადებს, რომ კახა ბენდუქიძის აგრარულ უნივერსიტეტში მოსვლის შემდეგ უნივერისიტეტიდან ფინანსური დავალიანების გამო 609 სტუდენტზე მეტი გაირიცხა.

„კახა ბენდუქიძის უნივერსიტეტში მოსვლის შემდეგ დეკანები პირდაპირ მითითებებს გვაძლევდნენ, რომ სტუდენტები სანამ ფულს არ გადაიხდიდნენ არ მიგველო“, - განაცხადა აგრარული უნივერსიტეტის პროფესორმა მანანა ცინცაძემ.

„ბენდუქიძემ აგრარული სექტორი გაანადგურა და ნულამდე მიიყვანა", - განაცხადა მანანა ცინცაძემ.

შეგახსენებთ, რომ აგრარული უნივერსიტეტის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის კახა ბენდუქიძის განცხადებით, უნივერსიტეტიდან არც ერთი სტუდენტი ფინანსური დავალიანების გამო არ გარიცხულა.

როგორც ბენდუქიძემ „პოზიციაში" განმარტა აგრარული უნივერსიტეტიდან მხოლოდ ის სტუდენტთა ნაწილი გაირიცხა, ვინც ექვსი გამოცდიდან ხუთის ჩაბარება ვერ შეძლო.

აგრარული უნივერსიტეტიდან სტუდენტების გარიცხვის რეალურ მიზეზებზე განმარტება განათლების სამინისტროს არ გაუკეთებია და აღნიშნული საკითხი ავტორიზაციის გაუქმების ერთ ერთ მიზეზად არ დასახელებულა.

# მივმართავ ბიძინა ივანიშვილს და ახალ ხელისუფლებას: ყველაფერი გვერდზე გადადეთ და დროულად დაიწყეთ კახა ბენდუქიძის ბნელი საქმეების გამოძიება!

**ვესაუბრებით ყოფილ პარლამენტარსა და მევენახეობის ინსტიტუტის დირექტორს, ბატონ მურმან ქურიძეს.**

**– ბატონო მურმან, როგორ შეაფასებთ აგრარული უნივერსიტეტის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, ერთი რამ ცხადია, რომ კახა ბენდუქიძემ დაძაბული სიტუაცია მიზანმიმართულად შექმნა, რადგანაც მას სურდა მოვლენების აპრილში გადატანა?**

– ცხადია, რომ მატყუარა ბენდუქიძემ მოახდინა სიტუაციის ინსპირირება სტუდენტების ხარჯზე. ავტორიზაციის საბჭომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას გარკვეული შენიშვნები მისცა, თუმცა, ეს შენიშვნები გამოსწორებადი იყო, ამას არავითარი აჟიოტაჟი არ სჭირდებოდა, უბრალოდ, კახა ბენდუქიძეს სჭირდებოდა 19 აპრილისათვის ხელისუფლებაზე განაწყენებული ხალხი, ფაქტობრივად, ამით სურთ მოიცვან აგრარული სფერო. მე მივედი შეკრებილ სტუდენტებთან, რადგანაც მსურდა გამეგო, რას ფიქრობდნენ ისინი. იქ დამხვდნენ პირველი და მეოთხეკურსელები, რომელთაც შეცდომით განუმარტეს, რომ უნივერსიტეტს დახურავდნენ და ისინი ქუჩაში აღმოჩნდებოდნენ. ეს იყო ტყუილი. აგრარულ უნივერსიტეტში ბოლო დროს გააკეთეს მცირედი, ფასადური რემონტი. ეს სტუდენტები სწორედაც რომ ფიქრობენ, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა მათზე ფიქრობს და ზრუნავს ასეთი ქმედებებით, მაგრამ, მოდით, დავფიქრდეთ, 2010 წელს თუ ადარებენ უნივერსიტეტის შენობას ურემონტო აუდიტორიებს, მაშინ ვინ იყო ხელისუფლებაში? მაშინაც ნაციონალები არ იყვნენ? ამაზე გიპასუხებთ, რომ მათ მიზანმიმართულად დაანგრიეს შენობა, და მიიყვანეს სავალალო მდგომარეობამდე, რათა მერე არავის არ გასჩენოდა ამ სასწავლებელში მისვლის სურვილი.

შემდეგ კი **ბენდუქიძემ, კაცმა, რომელმაც სოფლის მეურნეობა მთლიანად დაანგრია ქვეყანაში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან აიღო 12 მილიონი და როგორც ამბობს, 10 მილიონი მოახმარა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურასა და რემონტს.**

სოფლის მეურნეობა კი იმიტომ გააპარტახა, რომ საკუთარი პროდუქცია არ გვქონოდა, და თავის ჯგუფთან ერთად უცხოეთიდან შემოეტანათ. კონტროლის პალატის მონაცემებით, შემოტანილი პროდუქციის 80 პროცენტი შემოდის თურქეთიდან და ეს ის პროდუქციაა, რომელიც ვერ შედის თავად თურქეთის ბაზარზე, ვინაიდან იქ ამ კუთხით სერიოზული კონტროლი მიმდინარეობს.

**– ბატონო მურმან, თქვენ 2004-2008 წლებში პარლამენტარი ბრძანდებოდით, ეს საკითხი მაშინაც გაღელვებდათ, რატომ ვერ შესძელით მაშინ ამ საკითხის დაყენება ხელისუფლების წინაშე?**

– დიახ, ეს საკითხი მე მაშინაც დავაყენე, მაგრამ ბოკერიამ და მისმა მეგობრებმა ამ კუთხით გასაქანი არ მოგვცეს. კინაღამ საქართველოს მტრად გამომაცხადეს. ამბობდნენ, რომ ქვეყანას საკუთარი პროდუქცია არ ჰყოფნიდა და გარედან მისი შემოტანა აუცილებელი იყო, თუმცა მის ხარისხზე უკვე არავინ აგებდა პასუხს. ასეა დღემდე. მე ერთ რამეს მინდა გავუსვა ხაზი, მას შემდეგ რაც ბენდუქიძე საქართველოში ჩამოვიდა და სააკაშვილს გვერდით დაუდგა, ძალიან ბევრი ცუდი რამ გააკეთებინა ქვეყნისათვის. ზუსტად ეს მოხდა ამჯერადაც, ამ აქციების აგორებით ის ქვეყანას აზარალებს მხოლოდ და მეტი არაფერი.

**ჩემი აზრით, დღეს უკვე დადგა ის დრო, როდესაც სამართალდამცველები უნდა დაინტერესდნენ ბენდუქიძის საკითხით.**

სოფლის მეურნეობის შველა და აღორძინება არ მოხდება მანამ, სანამ ბენდუქიძე იქნება აგრარული უნივერსიტეტის საჭეთმპყრობელი და ქვეყნის ამ მიმართულების კანონმდებელი.

**– თოთხმეტი ინსტიტუტი შეიერთა ბენდუქიძემ. სად არის ეს ქონება დღეს?**

– მე მაქვს უამრავი მასალა ამ კუთხით, რომელსაც კომპეტენტურ ორგანოებს მივაწვდი, რადგანაც ეს ქონება დღეს გაბნეულია და დაკარგული. ავიღოთ თუნდაც ბიბლიოთეკა, ეს იყო აგრარული სფეროს ისტორია და არა მხოლოდ წიგნები, რომელიც ინსტიტუტებიდან ბარბაროსულად, სატვირთო მანქანებით გაიტანეს და დაყარეს შეუფერებელ ადგილზე, საიდანაც უნიკალური წიგნები უკვე გაქრა. ეს ყოველივე ბენდუქიძის სურვილით მოხდა, გვითხარით, აინტერესებს მას ეს სფერო?

**– იცით რა, ბენდუქიძემ უკვე ერთხელ თამამად განაცხადა, რომ აგრარული სექტორისა და ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარება, ეს სახელმწიფოს ჩამორჩენილობაზე მეტყველებს და დღეს რატომ გიკვირთ მისგან ასეთი ქცევები?**

– თუ ეს სფერო არ აინტერესებს, მაშინ რატომ კურირებს მას, იმიტომ რომ გაანადგუროს? ამას ხომ ნებისმიერი ჩვენგანი ხვდება, მაშ, რატომ გრძელდება მისი პარპაში?

**თოთხმეტი ინსტიტუტის ლაბორატორია ერთ შენობაში გადაიტანეს და რითი ამაყობენ ახლა? მათ შორის ბევრი დანადგარი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით იყო შეძენილი, ის ბენდუქიძეს თავად არ უყიდია.**

ანდა, ამ ლაბორატორიით რომ ამაყობენ, რას აკეთებენ დღეს იქ? ვის ზრდიან ამ ლაბორატორიებში? ვფიქრობ, დღეს აქციის მონაწილეებისაგან ჭეშმარიტი და პატრიოტი აგრონომი არ დადგება, თუ ისინი სიცრუეს დაუჭერენ მხარს.

**აგრარულ უნივერსიტეტს ბენდუქიძე თვლის თავის საკუთრებად. მიმაჩნია, რომ სამართალდამცავები უნდა დაინტერესდნენ არა მარტო ამ უნივერსიტეტის ქონების აღწერით, არამედ იმით, თუ როგორ, რა მეთოდით მიიღო ბენდუქიძემ სხვა ქონებები!**

რა დამსახურების გამო თვლის იგი თავს ყველაფრის მეპატრონედ? რატომ აჩუქა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ბევრი რამ? ეჩუქებინა მაგ დალოცვილს მცირედი რამ მევენახეობის ინსტიტუტისათვის და ცოტა ხანში ჩვენ თავად შევქმნიდით ჩვენი ხელფასის ფონდს.

**– ბენდუქიძე ამბობს, რომ მან ინვესტიცია ჩადო თუნდაც ამ ინსტიტუტისათვის და იმიტომაც არის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე...**

– ტყუილია, **მან ინვესტიცია კი არ ჩადო, წელანაც გითხარით, მან ბიუჯეტის თანხებით გააკეთა ყველაფერი. მე აუცილებლად ვიქნები მხარე, და აუცილებლად ვუჩივლებ მას სახელმწიფო ქონების მითვისებისათვის.**

ვფიქრობ, პროკურატურა დღეს უკე აღარ მოიქცევა ისე, როგორც იქცეოდა და სამართალი იზეიმებს. მიმაჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკის მთავარი დასაყრდენი არის სოფლის მეურნეობის განვითარება და ამ მხრივ, პრემიერ-მინისტრის მხარდაჭერაც არსებობს. ვაზისა და ღვინის სამშობლოში რომ მევენახეობის ინსტიტუტი არ არსებობდეს, შეიძლება?

**– განათლების მინისტრთან თუ გქონიათ შეხვედრა ამ საკითხის თაობაზე?**

– განათლების მინისტრს ამის თაობაზე მივწერეთ, მაგრამ ჯერჯერობით მისგან პასუხი არ მიგვიღია. ვფიქრობ, ან თავი ვერ გაართვა ამ საკითხს, ან არ ჩათვალა ის საჭიროდ, რაც ძალიან სამწუხაროა. ერთი რამ მინდა დავამატო,

**მე თანავუგრძნობ ბიძინა ვანიშვილს იმის გამო, რომ ზოგიერთ სფეროში მას სათანადო კადრები არ ჰყავს, თორემ კახა ბენდუქიძის პარპაში როდემდე შეიძლება გაგრძელდეს?**

უკვე დროა, რომ საქართველო გახდეს ბიოლოგიურად დაცული ქვეყანა, რომელშიც არ შემოვა გენოდიფიცრებული თესლი, ქვირითი, და საინკუბაციო კვერცხი და საერთოდ, პროდუქციას ჰქონდეს მარკირება. დღეს ეს ყველაფერი თავის ნებაზეა მიშვებული. მიმაჩნია, რომ ამ საკითხს სჭირდება საზოგადოების მხარდაჭერა. უცხოელები რომ ჩამოდიან და ჩვენს მიწას ეპატრონებიან, მათ იციან ამ მიწის ფასი, ჩვენ არ ვიცით? მაშ, რატომ არ ვიყენებთ?

დროა, რომ ამ ხელისუფლებამ ეს პრობლემები გადაწყვიტოს, ტენდენცია არის ჯანსაღი, მაგრამ ძველი კადრები უშლიან ხელს.

**– როდემდე შეიძლება გაგრძელდეს კახა ბენდუქიძის „თვითნებობა“?**

**– უკვე დროა, რომ ყველაფერი გვერდზე გადაიდოს და ხელისუფლებამ ამ კაცით დაიწყოს. კერძოდ, როგორ და რა საშუალებებით ჩაიგდო ქვეყანის ქონება ხელში? რატომ სურს აგრარული სექტორის განადგურება? როდემდე შეიძლება გაგრძელდეს მის მიერ გენმოდიფიცირებული პროდუქციის შემოტანა ქვეყანაში? რისთვის? იმიტომ რომ ფული აკეთოს, მაგრამ ვის ხარჯზე? ქართველი მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარჯზე – როდემდე? ფინანსთა სამინისტრო თუ ამ საქმით დაინტერესდება, მჯერა, რომ ბევრი საქმე გაიხსნება და უფრო სერიოზული, ვიდრე სტუდენტთა მიერ აგორებული მიტინგებია.**

ერთი მინდა დავამატო, გენმოდიფიცირებული პროდუქციის თესლი ისეა მოდებული მთელ ქვეყანაში, რომ ქართულ პროდუქციაზე გადასვლა ძნელიც კია, თუმცა არა შეუძლებელი.

**– ერთი რამ მინდა გკითხოთ, რა მიზანს ისახავდა კახა ბენდუქიძის მიერ 14 ინსტიტუტის გაერთიანება?**

– პირველ რიგში, იმას, რომ ამ ინსტიტუტების ყოფილი შენობები გაეყიდა,

**მარტო მევენახეობის ინსტიტუტს 11 შენობა ჰქონდა. ასევე იყო სხვაგან. ბენდუქიძემ ეს შენობები გაყიდა საკუთარი ჯიბისათვის.**

სოფლის მეურნეობის მინისტრისთვისაც ყველაფერი ცნობილია, თუმცა, რეალური ნაბიჯები არ გადაუდგამს ამ უწყებას. კვლავ ვკითხულობ, როდემდე? რას უცდიან?

მივმართავ ბიძინა ივანიშვილს და ახალ ხელისუფლებას: ყველაფერი გვერდზე გადადეთ და დროულად დაიწყეთ კახა ბენდუქიძის ბნელი საქმეების გამოძიება. ეს არის ჩემი თხოვნა, ვიდრე აგრარული სფეროს გადარჩენის შანსი კიდევ არსებობს, თორემ ჯალალედინს არ გაუკეთებია იმდენი ცუდი, რაც ამ კაცმა გაუკეთა საქართველოს აგრარულ სფეროს.

**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200





იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# რა სურს ევროპას?




**ბიძინა გიორგობიანი:** საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირში თუ რაიმე საფრთხე ემუქრება ეს არის სწორედ ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც წარმოადგენს ნაციონალური მოძრაობა და პირადად მიხეილ სააკაშვილი; მათ მიერ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში გადადგმულმა ნაბიჯებმა საქართველო მაქსიმალურად დააშორა ევროკავშირს. სხვათა შორის, ევროპელ კონსერვატორებთან შეხვედრისას ეს მოსაზრება ხშირად გამოითქვა.

ევროპარლამენტთან და ევროკავშირის სხვა სტრუქტურებთან მუშაობის გაუმჯობესება აუცილებელია. მინდა აქვე აღვნიშნო, თუ რატომ თვლის ზოგიერთი დეპუტატი, რომ სააკაშვილი არის დემოკრატიის ერთადერთი გარანტი. ნაციონალურმა მოძრაობამ მკვიდრად დააბეტონა აზრი, რომ საქართველოს პროგრესის ერთადერთი



გარანტია არის სააკაშვილი და მისდამი დაქვემდებარებული პარტია. ისინი ძალიან სკეპტიკურად უყურებენ ალტერნატივას, რომ ნაციონალური მოძრაობის გარდა შეიძლება იყოს ძალა, რომელიც კავკასიაში დემოკრატიის განვითარებაზე იმუშავებს და განხორციელებს. მეც მქონდა ამის შესახებ სტრასბურგში საუბარი პარლამენტარებთან და გაირკვა, რომ ასე განწყობილნი არიან ძირითადად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლები - პოლონელები, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების წარმომადგენლები. მათ პირდაპირ დამისვეს კითხვა - თუ არ ეწინააღმდეგები რუსეთს, თუ ვერბალურად არ გამოდიხარ რუსეთის წინააღმდეგ, როგორ შეიძლება ერთდროულად შენ გინდოდეს ნატოში ინტეგრაცია და რუსეთთან ურთიერთობების დათბობა. სააკაშვილმა მოახერხა და საქართველოსთვის ჩამოყალიბდა ასეთი სტერეოტიპი, რომ საქართველო არის პროვოკატორი ქვეყანა, რომელიც რუსეთს აღიზიანებს ვერბალურად და მას ამაში მხარს უჭერენ ყოფილი სოციალისტური ქვეყნების წარმოამადგენლები, ეუბნებიან, რომ სწორ გზას ადგანან, თუ სურს საქართველოს ევროპაში ინტეგრაცია, აუცილებლად უნდა გააკეთოს ვერბალური განცხადებები რუსეთზე.

**მამუკა გიორგაძე:** ჩვენ ვართ ევროპის „სახალხო პარტიის“ ისეთივე სტატუსის მატარებელი, როგორც ნაციონალური მოძრაობა. სამწუხაროდ, ტექნიკური ბაზის არქონის გამო 2003 წლიდან ჩვენ აღარ მიგვიღია მონაწილეობა. როცა მერკელი და ბერლუსკონი გთავზობენ თანამშრომლობას და შენ ბაზის გამო ვერ ხარ წარმოდგენილი სრულფასოვნად, ამით ისარგებლა სააკაშვილმა. და არა მარტო ისარგებლა, არამედ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მოტივი იყო, რათა მას ჰქონოდა შესაძლებლობა დაახლოებოდა ევროპის „სახალხო პარტიას“. არც ისეა საქმე, როგორც საუბრობენ მარტენსზე, ეს ადამიანი კბილებით იცავდა საქართველოს დამოუკიდებლობას, აფხაზეთის თუ სხვა კონფლიქტების დროს იცავდა საქართველოს ინტერესებს. მან 99 წლის არჩევნების პერიოდში, კრიტიკის ქარცეცხ-



ლში გაატარა მოქკავშირი, თავის ლიდერიანად. ხოლო ეს ლიდერი მაშინ მიხეილ სააკაშვილი გახლდათ. ევროპაში პრობლემები შეუქმნა მოქალაქეთა კავშირს. საჭიროა გულმოდგინე და ყოველდღიური მუშაობა. ჩვენ ევროკავშირის სტრუქტურასაც კი არ ვიცნობთ. ევროკავშირის კომისარი ბაროზო, გახლავთ სახალხო პარტიის წევრი. ეს პარტია არის ევროპის ის მექანიზმი, რომელიც ყველაზე მსხვილ ევროპულ ქვეყნებს ცხოვრების გაჯანსაღებაში ეხმარება. რასაც ვერ ამბობს ღიად სახელმწიფო ოფიციალური პირი, იმას ამბობს ოფიციალური დეპუტატი.

**ზურაბ ბიგვავა:** ნებისმიერი ქმედება, რასაც პარტიული ორგანიზაცია ახორციელებს, გარკვეულწილად, პიარის ნაწილია. როგორც ლეგენდები დადის, ნაციონალურ მოძრაობას შესანიშნავად აქვს აწყობილი პიარსტრუქტურა. მე ამ ლეგენდების



არ მჯერა, მაგრამ თუნდაც ეს მაგალითი გვიჩვენებს, როგორ შეიძლება გარკვეული ინფორმაციის გამოყენება პარტიის სასარგებლოდ, მომხრეების დასარწმუნებლად, რომ კიდევ რაღაც ძალა გაგაჩნია ან პირიქით, რომ ჩაგრული ხარ; იმის მიხედვით, როგორც აწყობთ, როგორია მათი სტრატეგიული ხედვა, ათვლის წერტილი, ანკორი, სადაც უნდა გადაწყდეს მათთვის მნიშვნელოვანი საკითხი. ამაზეა მერე გათვლილი არა მარტო სტრუქტურა, მესიჯების სისტემა, არამედ მიზნის მიღწევის მთელი გრაფიკი და ეს ყველაფერი ერთ სისტემაში არის წარმოდგენილი. ეს არის პიარის ხერხები და ამას უკვე სტუდენტები სწავლობენ და აკეთებენ კიდეც.

მეორეს მხრივ, გვაქვს ახალი მთავრობის ქმედებები, რაც შესაბამისობაშია მისი ოპონენტის ქმედებებთან. ჩემის აზრით, მთავრობის ქმედება არის დამაჯერებელი, თვითდაჯერებული და ეს ნელ-ნელა შედეგს იძლევა და საბოლოო შედეგამდეც მივა. გავიხსენოთ ბატონი პრემიერის და ბატონი უსუფაშვილის წერილები. ჩემი აზრით, ეს წერილები საკმარისია, თუმცა, შეიძლება, რაიმე განმტკიცებები სჭირდება და ამ მიმართულებით მუშაობა სრულიად დამაკმაყოფილებლად მიდის. არ არის აუცილებელი ამაზე განსაკუთრებული აჟიოტაჟის ატეხვა, რადგან ქართულმა საზოგადოებამ კარგად იცის, რაც ხდებოდა 9 წლის განმავლობაში. და როცა ამისკენ უთითებს ძალიან დემოკრატიული ქვეყნის ერთ-ერთი პარტია, ეს აღიქმება, როგორც უარყოფითი მესიჯი.

**ალექსანდრე თვალჭრელიძე:** როგორი დიდი პატივიც არ უნდა ვცეთ ევროპარლამენტს, ევროპული პოლიტიკა და სტრატეგია სტრასბურგში ნამდვილად არ წყდება. ასეთი მოვლენები, როგორიცაა სტრატეგის, კურსის, მათ შორის, ასოცირების სტატუსის მინიჭება ხდება სამიტებზე, სადაც ევროპარლამენტი საერთოდ არ იღებს მონაწილეობას, არამედ მონაწილეობს ევროკავშირის წევრი ქვეყნების პირველი პირები, რომელთა უმრავლესობასაც ევროპის სახალხო პარტიასთან არავითარი შეხება არ აქვს. ასეთი აჟიოტაჟი რომ ავტეხეთ, რაღაც პარტიული



გზავნილის გამო, ეს, ჩემი აზრით, დიდი შეცდომაა. საპასუხო წერილის დაწერას სახალხო პარტიისათვის მე მივანდობდი, მაგალითად, „ქართული ოცნების“ გენერალური მდივნის მოადგილეს. დაბლა დავწევდი ამ ბარათის სტატუსს. წარმოიდგინეთ, ო’ბამას რომ მიეღო ასეთი წერილი 23 ევროპიელი დეპუტატისგან კი არა, ვთქვათ, თავისი 23 ან 40 კონგრესმენისგან, უპასუხებდა? რა თქმა უნდა, არა!

**არმაზ ახვლედიანი:** მე იმ ევროპარლამენტარებს, არა ერთი თაობისას, ძალიან კარგად ვიცნობ, ევროპარლამენტარობა და დიდმოხელეობა თავისთავად არაფერს ნიშნავს, იმიტომ რომ გამრუდება, მაიმუნობა, ყველგან გვხვდება, სამწუხაროდ. თუ ეს მზაკვრობა არაა და დიდ იდეოლოგიურ ინტერესებთნ გვაქვს საქმე, მაშინ ესეც გამოსარკვევია და ესეც ეჭვებს ბადებს, თორემ რატომ მიჰყვებიან სამარეში „ნაცონალურ მოძრაობას“ და, რით ვერ შეელია ევროპელ პოლიტიკოსთა ნაწილი ნაციონალურ მოძრაობას, რომელმაც რვა წლის განმავლობაში საქართველოში დემოკრატიულ პროცესს ისეთი რამ დამართა, რომ წლები დასჭირდება მის გამოსწორებას. რას ჰქვია შეცდომაში შეიყვანეს, თუ მე მივიღე არასწორი ინფორმაცია, მე მაქვს სხვა წყაროც, რომ გადავამოწმო და ამასთან გამაჩნია საკუთარი აზრი. რა, ბნელა?! რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ, რომ ინფორმაცია და ამბავი ვერ გაურკვევიათ?! მე, პირადად, შემიძლია დავპატიჟო 23-ვე ჩემს მოედანზე და ვისაუბროთ იმაზე, რა არის დღეს ანომალიური, გამოსასწორებელი. მაგრამ განგაშის ზარი მათ უნდა შემოეკრათ მაშინ, როცა „ნაციონალური მოძრაობა“ ძალადობდა სასამართლოზე, მედიაზე, ბიზნესზე და ყველაფერზე, რაც კი დემოკრატიულია.

ვიცი, რომ ზომიერება ოქროზე ძვირფასია, მაგრამ მე ვერ იქნები ნელთბილი მაშინ, როცა ამის უფლება არ მაქვს. როცა ხანძარია, სწორედ ისეთი რეაქციაა საჭირო, არც ჰქონდა ბატონ პრემიერს და დავით უსუფაშვილს. სათქმელს თუ არ იტყვი თავის დროზე, ეს შეიძლება, დანაშაულად ჩაგეთვალოს.

ახლა, რაც შეეხება ევროპარლამენტარებს, გახსოვთ, ალბათ, გიამბეთ ვალტერ შვიმერის ამბავი, შვიმერი გენერალური მდივანი იყო და აბაშიძესთან იმ უცნაური გარიგების შემდეგ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასაბლეამ, მეც იქ ვიყავი მაშინ დეპუტატად, ხმა არ მისცა გენერალურ მდივანს მორიგ არჩევნებზე ამ გამოცდილ პოლიტიკოსს, დიპლომატს. ასე რომ, თუ ვინმეს ჰგონია, ისევე, როგორც სააკაშვილს ეგონა, ევროპარლამენტში იგი არჩეულია სამიდღემჩიოდ, ძალიან ცდება. ამომრჩეველი აუცილებლად ეტყვის მათ, საქართველოში სააკაშვილის არადემოკრა-



ტიულ მმართველობას შენ დემოკრატიულად რატომ ასაღებდიო?! ან დღეს რას უწუნებ ამ ხელისუფლება?! მეც ვიცი, რომ ბევრი ნაკლი აქვს ახალ მთავრობას. პირველი შემოვკრავ განგაშის ზარს. შეიძლება ეს დრო უკვე დადგა კიდეც. ყველა ხელისუფლებას სჭირდება კრიტიკა, მაგრამ ასეთი უტაქტო, თავხედური ტყუილია განცხადებები, ბოლო დროს რაც მესმის, „სახალხო პარტიიდან“ და ზოგიერთი სხვა ევროპელი პოლიტიკოსისაგან, მაფიქრებს, რა გარგებასთან გვაქვს საქმე.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# პოლიტიკის ბუნება ეწინააღმდეგება მის გრძელვადიან იდეას

რა ადგილს დაიკავებენ თანამედროვე სახელმწიფოები 10-15 წლის შემდეგ? რა დაემართებათ მათ, როცა გლობალურ ეკონომიკაში გათქვეფილი ნაციონალური ეკონომიკა გაქრება? რა ფუნქცია დაეკისრება ნაციონალურ საინფორმაციო სისტემებს, როცა ისინი გლობალურ მასშტაბს შეიძენენ? რა ბედი ელით ნაციონალურ სახელმწიფოებს? რით დაკავდებიან ნაციონალური მთავრობები? რა არის დღესდღეობით სუვერენიტეტი? როგორ უზრუნველვყოთ უსაფრთხოება?

ეს არის კითხვები, რომლებზეც პასუხების მოძებნას მსოფლიოს ანალიტიკური და სამეცნიერო ცენტრები ცდილობენ, რადგან ვერავინ იტყვის მკაფიოდ და ცალსახად, სად მთავრდება ნაციონალური ინტერესები და სად იწყება „სხვათა", ანუ კონკურენტთა მიზნები.

ზესახელმწიფოებში საგარეო პოლიტიკა მონოპოლიზებულია და ხალხმა თითქმის არაფერი იცის, რას აკეთებენ ამ ელიტის წარმომადგენლები ქვეყნის სახელით საერთაშორისო ასპარეზზე. საგარეო პოლიტიკაში არ არსებობს მკაფიო სტრატეგიული მიმართულებები და ძირითადად აქცენტი ტაქტიკური ამოცანების გადაჭრაზეა გადატანილი. არადა, დროს თავისი გლობალური ამოცანები მოაქვს და შესაბამისად, გადასახედი ხდება ბევრი ფუნდამენტური მოსაზრება. როგორც ჩინელები ამბობენ, „როცა არ იცი, საით მიდიხარ, ყველა ნაბიჯი სწორი გგონია". ამიტომაც უნდა ვიცოდეთ, სად გვინდა მისვლა.

ბიზნესში უმეტესწილად გრძელვადიანი ინვესტიციები არსებობს და ასეთივე გრძელვადიანი გეგმები უნდა არსებობდეს პოლიტიკაშიც — ახლანდელი პოლიტიკა ცუდი და ძალიან ცუდი იმპროვიზაციების ნაზავია. პოლიტიკოსთა, პოლიტოლოგთა და სხვადასხვა დარგის ექსპერტთა ახლანდელი ამოცანაა, განჭვრიტონ, რა იქნება ორი-სამი ათეული წლის შემდეგ... მაგრამ იმავდროულად, თავად პოლიტიკის ბუნება რომ ეწინააღმდეგება გრძელვადიანობის იდეას?!

რა ჩაანაცვლებს სახელმწიფოს ან როგორ უნდა მოხერხდეს მისი მოდერნიზაცია? დღესდღეობით მას ძალიან უჭირს, რადგან ისტორიის მანძილზე ისე არასოდეს შეკვეცილა მისი ფუნქციები, როგორც ახლა. ეგება მართალიც იყვნენ მარქსისტები, რომლებიც სახელმწიფოს გაქრობას წინასწარმეტყველებდნენ?! ჩვენც ამ გზას ხომ არ ვადგავართ?

სახელმწიფოს ნაცვლად ხომ არ გაჩნდება საერთაშორისო კორპორაციები ან საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოება? გაერო-ს მსგავსი ორგანიზაციის შექმნა ახლა არაადეკვატურია. გაერო-ს უშიშროების საბჭო პარალიზებული მექანიზმია და ამას მსოფლიოს ცხელი ცერტილების რაოდენობაც ადასტურებს — ამ საბჭოს არ გააჩნია ქმედითი იარაღი, შეაჩეროს ან გაანეიტრალოს ასეთი კონფლიქტები. გაერო პოლიტიკური ორგანიზაცია უნდა ყოფილიყო, ახლა კი იგი მხოლოდ ჰუმანიტარულ პროექტებს ახორციელებს და სერიოზული პოლიტიკური პრობლემის მოგვარება აღარ შეუძლია. ცდილობს, გაამართლოს თავისი



არსებობა სამომავლოდაც, მაგრამ ასეთი მცდელობა უპერსპექტივოა.

შესაძლებელია თუ არა, მის ნაცვლად სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია გაჩნდეს? ამ კითხვაზე ერთი პასუხი არ არსებობს, რადგან ასეთი შეიძლება იყოს ეგრეთ წოდებული „ოცეული" — მსოფლიოს ოცი წამყვანი სახელმწიფოს ლიდერთა თავყრილობა ან აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია... ყველა ეძებს ალტერნატივას, ინტერესთა საერთაშორისო თანხმობის მექანიზმს.

კიდევ ერთი პრობლემა — ეს არის დიდი სახელმწიფოების გავლენისა და როლის სწრაფი ცვლა. რუსეთი, ჩინეთი, ევროკავშირი ათეული წლების წინ მსოფლიოს დღის წესრიგს სთავაზობდნენ, ახლა კი ვერც ერთი ვეღარ ახერხებს ამას. ეგება მსოფლიოს განვითარების სტრატეგია უნდა იყოს მისი მრავალცენტრიანობა, ანუ როცა აღარ იარსებებს სხვადასხვა ძალის ცენტრები. ასეთი ვითარება უახლოეს ისტორიაში ჯერ არ ყოფილა და სავარაუდოდ, ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდება.

ახლა დგება ისეთი ხანა, როცა პატარა და საშუალო სახელმწიფოებს ისტორიული რევანშის შანსი ეძლევათ, დიდი სახელმწიფოები კი მათ ეწინააღმდეგებიან. არაბულ სამყაროსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში შექნილ ვითარებაში აქტიური ჩართვით, ამერიკა და რუსეთი სხვისი პრობლემების მძევლები გახდნენ.

ჩრდილოეთ კორეას შესწევს ძალა, დააჩოქოს ყველა დიდი სახელმწიფო. ირანს შეუძლია, ყველა ერთმანეთს გადაჰკიდოს; გავიხსენოთ საქართველოს მაგალითი, რომელმაც 2008 წელს უამრავი პრობლემა გააჩინა და დიდი სახელმწიფოები ერთმანეთს დააპირისპირა. რა გამოდის — იმას, რასაც „ცივი ომის" დროს, დიდი პოლიტიკის თვალსაზრისით, პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა, ახლა მთავარ როლს ასრულებს.

დიდ სახელმწიფოებს, რომლებსაც უზარმაზარი არმიები, ბირთვული შეიარაღება გააჩნიათ, არ ძალუძთ მოაგვარონ პატარა და საშუალო სახელმწიფოების პრობლემები, რეგიონული პრობლემები. დიდი სახელმწიფოები ფეხს ვერ უწყობენ თანამედროვეობას, ისინი ინერციით მოძრაობენ და ერთმანეთთან ქიშპობით არიან დაკავებული. მათ აკლიათ მოქნილობა — იქცევიან როგორც ტყის მჩეხავები და არა როგორც ნეიროქირურგები. თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკას სწორედ ამ უკანასკნელთათვის დამახასიათებელი სიფაქიზე აკლია.

ამერიკელთა უმრავლესობას არ აინტერესებს საგარეო პოლიტიკა, რადგან იგი პოლიტიკოსთა მცირე ჯგუფს აქვს მონოპოლიზებული. სწორედ ამ ჯგუფის წევრები წარმოადგენენ თავიანთ ქვეყანას საერთაშორისო ასპარეზზე; მასა არ ინტერესდება, რას აკეთებს ადამიანთა ეს ვიწრო წრე მათი ქვეყნის სახელით და შესაბამისად, არც მონაწილეობს საგარეოპოლიტიკური კურსის შემუშავებაში. ასეთი გულგრილობა ამერიკული საზოგადოების ყველაზე დიდი სისუსტეა.

რუსეთელები კი სულ უფრო მეტად ინტერესდებიან მსოფლიოში, მაგალითად, ერაყში ან სირიაში მიმდინარე ამბებით, ვიდრე საკუთარი ქალაქის პრობლემებით. რუსებს უყვართ გლობალურ სამყაროში ცხოვრება და ძნელად თმობენ თავიანთ ყოფილ სამფლობელოებს.

**vz.ru**

# ობამამ გზას გადაუხვია: რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემა, ცვლილებები ამერიკელთა სტრატეგიაში და მსოფლიო პრობლემები

**„ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ჩაკ ჰეიგელმა საგანგებოდ შეარჩია პარასკევის საღამო იმისათვის, რომ ობამას საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრი ცვლილების შესახებ გამოეცხადებინა. პენტაგონი აპირებს, გააძლიეროს ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა, შესაბამისად, უარს ამბობს 2009 წლის გადაწყვეტილებაზე, რომელიც პრეზიდენტ ობამას ფანტაზია იყო, თითქოსდა შესაძლებელი იქნებოდა მშვიდობის დამყარება ბირთვული იარაღის გარეშე", — წერს სარედაქციო წერილში The Wall Street Journal.**



„ჰეიგელის განცხადებით, 2017 წლისთვის ამერიკა კიდევ 14 საკონტინენტთაშორისო რაკეტას დაამატებს იმ 30 მსგავს მოწყობილობას, რომლებიც უკვე განთავსებულია ალიასკასა და კალიფორნიაში", — ვკითხულობთ გამოცემაში.

„პენტაგონში მიაჩნიათ, რომ ჩრდილოეთკორეულ რაკეტებს უკვე შეუძლიათ მიაღწიონ ალიასკასა და ჰავაის. უბრალოდ დრო სჭირდება იმას, რომ მათზე დაამაგრონ ბირთვული ქობინები, რომლებითაც სიეტლის ან სან-დიეგოს განადგურება შეეძლებათ", — აღნიშნავს გაზეთი.

სამარცხვინოა იმის აღიარება, რომ დამატებითი 14 რაკეტა უკვე განთავსებულია, ხოლო კიდევ 10 — ევროპაში გაისად დაიდგმება.

პოლონეთსა და ჩეხეთში ასეთი რაკეტების განთავსებაზე უარის შედეგად, რუსეთთან ურთიერთობაში უნდა მომხდარიყო „გადატვირთვა". ასე არ მოხდა და ამას თეთრი სახლი არაოფიციალურად წარუმატებელ პროცესად მიიჩნევს.

„ჰეიგელის ამასწინანდელი განცხადებით, ამერიკა უარს აცხადებს, შემდგომ ათწლეულში, ევროპაში საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების საწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემა განათავსოს. არსებობს ეჭვი, რომ ობამა ამ ყველაფერს რუსეთთან შეიარაღების შესახებ ახალი შეთანხმების ჩასანაცვლებლად გამოიყენებს", — ასეთია გამოცემის ვარაუდი.

„ობამამ რომც განაცხადოს, ბირთვული იარაღის გავრცელების შეჩერება პრიორიტეტულიაო, მსოფლიო ბირთვული შეიარაღების მხრივ ახალი და სახიფათო გამოწვევის წინაშე იმყოფება. ჩრდილოეთ კორეა აფართოებს თავის ბირთვულ არსენალს; იმავდროულად, ირანს სადაცაა უკვე საკუთარი მსგავსი იარაღი გაუჩნდება. სახელმწიფოები, სამხრეთ კორეით დაწყებული და საუდის არაბეთით დასრულებული, ახლა მსჯელობენ იმის შესახებ, რამდენად სჭირდებათ მათ საკუთარი საშუალებები ბირთვული ომის შესაკავებლად. თუ ობამა ვერ მოახერხებს და ვერ აღკვეთს ბირთვული იარაღის გავრცელებას, სხვები შეეცდებიან დაარწმუნონ იგი, რომ ამერიკა მაინც დაიცვას ატომური შეტევისგან".

**The Wall Street Journal**

**როგორც გალის რაიონიდან იტყობინებიან, რუსები სოფლებში — თაგილონი და ოტობაია ოკუპაციის ხაზის გასწვრივ ორ ახალ გადასასვლელს აშენებენ. იგეგმება აგრეთვე სათვალთვალო საგუშაგოს მშენებლობაც.**

ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, რუსებმა ოკუპაციის ხაზის მიმდებარედ მცხოვრებთა აღწერა დაიწყეს. ქალაქ გალს დაჩქარებული ტემპით არემონტებენ — აგებენ გზებს, ცვლიან ბორდიურებს. კულტური სახლის შეკეთებაზეც ზრუნავენ.

„ეს, ერთი მხრივ, კარგია, მეორე მხრივ კი, ეს ყველაფერი გალში რუსების დასასახლების წინა პირობაა", — ამბობენ ადგილობრივები.

აფხაზებსა და ქართველებს ბაზარში საზიარო სავაჭრო ობი-

# რუსები გალის რაიონში მასობრივი ჩასახლებისთვის ემზადებიან

ექტები ჰქონდათ. ახლა მათ რუსული ობიექტები ენაცვლება. გარდა ამისა, ადრე ბოსტნეული და ხილი საქართველოს არაოკუპირებული ტერიტორიიდან შემოჰქონდათ, ახლა უკვე კრასნოდარის მხარეა მომწოდებელი.

გალის რაიონის მცხოვრებთა დაკვირვებით, რუსები მასობრივად ყიდულობენ ციტრუსის ნერგებს, რაც იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ მათ უკვე აქვთ მფლობელობაში მიწის ნაკვეთები.

„აფხაზებთან საერთო ენის გამონახვა შეიძლებოდა და გარკვეულ ეტაპზე მოვახერხეთ კიდეც. ახლა ყველაფერი თავდაყირაა. აფხაზები ყოველთვის გვეხმარებოდნენ, საშვების გარეშეც უშვებდნენ ხალხს, გარდაცვლილი ნათესავების გადასვენებაშიც მხარში გვედგნენ... რუსებთან ასეთი ურთიერთობა შეუძლებელია", — აცხადებენ ადგილობრივები და იმასაც აღნიშნავენ, რომ იძულებული გახდებიან, დატოვონ გალის რაიონი, საიდანაც აფხაზები უკვე განდევნეს.

გალის რაიონიდან მოწოდებული ინფორმაციით, რუსეთმა შეიმუშავა გეგმა, რომლის მიხედვითაც, გალის რაიონი რუსებით დასახლებულ ტერიტორიად გადაიქცევა.

**grpolit.cent**

**მოამზადა გ. ჭავჭავაძემ.**

**ამჯერად მოგიყვებით თუ როგორ ცხოვრობენ ძირძველი ქართველები აწ უკვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. საინგილო საქართველოს მოკვეთილი ერთ-ერთი მტკივნეული ნაწილია და თუკი წითელი რეჟიმის წლებში ორჯონიკიძე ვერ ან არ აცნობირებდა, რა შედეგებს მოიტანდა მშობლიური ქვეყნის ტერიტორიების ხელაღებით გასხვისება, ახლა უკვე ჩვენი სისხლ-ხორცი ამ გაჩუქების მძევალია და დედინაცვლის ხელში ჩავარდნილი ალალმართალი გერივით შემოგვყურებს, დამიბრუნეთ, მიმიღეთ და შემიფარეთო. ჩვენი სტუმარია საინგილოში გაზრდილი, დედით ჰერელი 18 წლის თამარ დუკაშვილი:**



# ცისარტყელას მიღმა საინგილოცაა

— ხუთ წლამდე ვიზრდებოდი საინგილოს სოფელ კახში. მშვენიერი ბუნებაა, მაღალმთიანი ადგილი, სუფთა ჰაერი. ეს გარემო ამშვიდებს ადამიანს. მოსიყვარულე ხალხი ცხოვრობს. ძალიან მომწონს იქაურობა და მიყვარს საინგილო და მისი მკვიდრნიც, იმიტომ რომ გულთბილები არიან. ცუდად არავის მოეპყრობიან. აქაც უყვართ სტუმარი, მაგრამ რა შედარებაა? თუ დრო გადაგიცდა, შუბლს შეგიკრავენ, იწუწუნებენ, ხოლო ჰერები (ინგილოები) გადაცილებული სტუმრობის გამო, არასოდეს დაგიბღვერენ.

შეიძლება, ბუნებამ გაგაკვირვოს, შეიძლება, მათმა ლაპარაკმა. განსხვავდება ჩვენი საუბარი და მათი. ძველქართულად მეტყველებენ, ოღონდ ინგილოურ დიალექტზე. თანაც ქ-სა და ხ-ს შორის გარდამავალ ხორხისმიერ ხ-ს ამბობენ. ძველ დამწერლობაშიც იყო ეს ასო და შემდეგ ამოაგდეს. კიდევ საინტერესო დეტალია, რომ აზერბაიჯანელებთან უწევთ თანაცხოვრება და ქართული ტერიტორიების ნახევარზე მეტი მათ უჭირავთ, ანუ დაპყრობილი აქვთ.

თბილისიდან საინგილომდე, კერძოდ, სოფელ კახამდე 250 კმ-ია. ავტობუსით მგზავრობას 5 საათი ვუნდებით. ბელაქანი, ზაქათალა უნდა გაიარო, მერე კიდევ ნაკლებად ცნობილი სოფლებია ალი-ბეგლო, ალი-თემური, კიდევ სხვა სოფლები და მერე კახს მისწვდები. პასპორტს, რა თქმა უნდა, საზღვარზე გთხოვენ, კერძოდ, ლაგოდეხის ტერიტორიაზე, ზუსტად 2 საათში ხარ იქ. აი, საზღვარზე რომ გაჩერებენ, ამას მიაქვს დიდი დრო და იმხელა მანძილია გასავლელი, რომ, შეიძლება, გული შეგიწუხდეს... იქ წასვლა აღარც მოგინდეს.

ძალიან დიდი საზღვარი გააკეთა აზარბაიჯანმა. ალბათ, ჩვენ ჯიბრზე. არადა, არაფერი განსაკუთრებული. მოკლედ, გაუსაძლისი მდგომარეობაა, რაც იქ ხდება: ჩანთები ხომ უნდა ჩამოიტანო და ხელით ათრიო ტვირთი საქართველოს საზღვრამდე ამხელა მონაკვეთი და რისი წამოღება მოგინდება იქედან უკან გზაზე, როცა თბილისში ბრუნდები? ერთი საათი მაინც არის საჭირო ჩვენი საზღვრიდან იქამდე. თანაც მებაჟეებმაც ხომ უნდა გაგჩხრიკონ საგულდაგულოდ. მგზავრობა 12 ლარია. მათი ფულის ერთეული მანათია და უკვე კურსით ევროს უტოლდება, ანუ 2 ლარზე მეტს შეადგენს.

**—თათა, ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტები არ ხდება?**

— უკვე ნაკლებად. თუმცა სულ ახლახან რამდენიმე წლის წინ 10 წელიც არ გავიდოდა მას შემდეგ, რაც წმინდა გიორგის ეკლესიაც დაიპყრეს. ადრე დავაც იყო, რომ ამ ეკლესიის ადგილზე მეჩეთი აეშენებინათ. იმ პერიოდში ქართველებს აღნიშნულ ტაძარში სალოცავად არ უშვებდნენ. ადგილობრივ აზერბაიჯანელებს სურდათ ეკლესიის დანგრევა და მეჩეთის აშენება. საბოლოოდ, ქართველებმა არ დათმეს და ეკლესია შეინარჩუნეს. ,,კონფლიქტი ამით ამოიწურა. უფრო საინტერესოს გეტყვით, ახლა უკვე ქრისტიანულ წირვა-ლოცვას თავადაც ესწრებიან, ანუ, როგორც ქართველები, ისე ეგენიც წმინდა გიორგის ტაძარში ლოცულობენ. იქ მეჩეთებიც აქვთ, მაგრამ ხომ გეუბნებით, ასეთი საოცრება ნამდვილად ხდება. ახლა იკითხავენ რანაირი მუსულმანებია ეგენიო?! ჩემი აზრით, ე.წ. გაქართველებული მუსულმანები. როცა ვყოფილვარ, ყოველთვის მინახავს ეგენიც წირვა-ლოცვაზე. ზოგიერთი მათგანი მეჩეთშიც დადის და ეკლესიაშიც ლოცულობს.

ეს ეკლესია მაღლობზეა და ყოველ გიორგობას ფეხშიშველი ავდივართ-ხოლმე. ამგვარი ტრადიცია გვაქვს, წმინდა გიორგის საპატივცემულოდ ვლოცულობთ. ეკლესიის გვერდზე დიდი ქვა დგას და იქედან შეგიძლია დაბლობს გადახედო. იქაურ ხეობას, მშვენიერ კახს ხელისგულივით დაინახავ.

,,და მაინც, აღნიშნულ პირობებში კომპაქტურად დასახლებული ჩვენი ხალხი ცდილობს საკუთარი უფლებების დაცვას. იქ, ძირითადად, შემდეგი გვარები სახლობენ: ოთარაშვილი, ჯანაშვილი, გამხარაშვილი, დუკაშვილი, ფოლადაშვილი და ა.შ. საკმაოდ დიდი სოფელია.

**— აზერბაიჯანელები თანაცხოვრებაში როგორები არიან?**

—მათ ტყუილი არ იციან. ახლა უკვე შეეწყვნენ ერთმანეთს, თორემ თავიდან შინ იყვნენ ჩაკეტილნი და ქართველებს ნაკლებად ეკონტაქტებოდნენ. გამოარჩევ ჩვენგანგან-მეთქი, მაინც და მაინც, ვერ ვიტყვი. ოღონდ, დამახასიათებელია, რომ ქალებს თავსაფრები ახურავთ, (ძირითადად, უფროს თაობას) და კიდევ, ოქროს კბილები უყვართ. ზოგ მათგანს ყველა კბილი ოქროსი აქვს. ვისაც ფული მეტი აქვს და ასე ვთქვათ, ხარობს, ოქროს კბილებიც საკმაოდ გააჩნია. ისე, აზერბაიჯანული უფრო იციან იქაურმა ქართველებმა, ვიდრე მათ ჩვენებური. თუმცა ზოგ მათგანს ჩვენი ენა შესანიშნავად ესმის. მით უფრო, თუ გვერდზე მეზობლად ქართველი ჰყავთ. სხვათა შორის, ძალიან მოსიყვარულე ხალხია. შეურაცხყოფას არ გაკადრებენ, პირიქით, ძალიან გვაფასებენ. შერეული ოჯახები არის. ოღონდ ნაკლებად. სკოლები არის, როგორც აზერბაიჯანული, ასევე ქართული.




**— ქართული სკოლები რა პრობლემების წინაშე დგანან?**

— ჰოო. პრობლემა მართლაც არსებობს. სახელმძღვანელოებია მოძველებული. “ლამის ოცი წლის წინანდელი პროგრამით სწავლობენ და ეს ნამდვილად სერიოზული პრობლემაა. არადა, როცა უმაღლესი განათლებაზე მიდგება საქმე, აზერბაიჯანელებიც კი თბილისში გამორბიან. თანაც იქაურ ქართულ სკოლებშიც სავალდებულოა თათრულის და რუსულის სწავლება.

ინგილოები ემადლიერებიან ჩვენს უწმიდესს, რადგან თბილისის პრესტიჟულ და ფასიან სკოლა-პანსიონატებში ინგილო ქართველებს უსასყიდლოდ ასწავლიან და ეს ჩვენი პატრიარქის დამსახურებაა. ახლა იქაურებს გული სტკივათ, **როგორც ილჰამ ალიევი აქცევს ყურადღებას თავისი ეროვნების ხალხს საქართველოში, ასევე გვსურს საქართველოს მთავრობამაც მოგვაქციოს ყურადღება საინგილოში მყოფ ქართველებს.** ისე, აქ მრავალშვილიანი ოჯახები მრავლადაა და მათ აზერბაიჯანის ხელისუფლება მატერიალურად ეხმარება, განურჩევლად იმისა, ქართველია თუ აზერბაიჯანელი. ძველი თაობა ნაკლებად, ხოლო ახალგაზრდები სულ აქეთ მოილტვიან. ალბათ, უფრო, სოფლის სიძნელეებს გაურბიან. გეგონება, ამ ქალაქში რამე ყრია.

ზაფხულია იქ არაჩვეულებრივი, ხალხმრავლობა არ არის. წყლის ხმაური ისმის, როგორც უკვე ვთქვი, სიმშვიდეა და ეს იქ მყოფებზეც დადებითად მოქმედებს. აარის ასეთი ადგილი, უფრო სწორედ დაბაა, ელისო ჰქვია. მთებს შორის მოქცეული წალკოტი. იქ სამკურნალო წყალიცაა, რევმატიზმებს და კიდევ ბევრ გარეგან სნეულებას კურნავს. საინგილოში ზამთარიც გამორჩეულია. თოვლი იცის რაღაც საოცრება, ბამბასავით. ახალ წელს მეზობლები ვიკრიბებით და სხვათა შორის, კარგად ვერთობით.

**—იქაურ წესებსა და ტრადიციებზე რისი თქმა შეგიძლია?**

— დეიდაჩემი რომ გავათხოვე. ჩემს სიძეს ვუთხარი, რომ მეუღლეს არ გაგატან, სანამ 100 ლარს არ მომცემ-მეთქი. და ,,გავყიდე“ ასე დეიდა.

***P.S.* *ამბებს ჰყვება ნათია, იცინის და ხალისიან განწყობას სხვასაც გადასდებს თითქოს. ეს სილაღე და სიალალეც, ალბათ, ინგილოური ბუნებიდან არის შეძენილი, იქაური ხალხისთვის დამახასიათებელია და ჩვენ კი ამ სიმდიდრეს თავმინებებითა თუ ბედის მუხანათობით, რაც დრო გადის, მეტად ვღლევით და ვკარგავთ...***

**ნათია ნოდია**

## მარნეულის სასურსათო ქარხანა პროდუქციის წარმოებას ზრდის

2013 წლის მარტიდან ,,მარნეულის სასურსათო ქარხანა’’ სარეალიზაციო ქსელში პროდუქციის მოცულობას ზრდის. კომპანიაში ამ გადაწყვეტილებას პროდუქტებზე მოთხოვნის გაზრდას უკავშირებენ. კომპანიამ




კიტრის მწნილებისა და ტომატ პასტების ასორტიმენტის ზრდასთან ერთად სალათების გამოშვებაც დაიწყო, უფრო მეტიც, საწარმო ბაზარზე ახალი პროდუქციის შეძენა მომხმარებელს საქართველოში წარმოდგენილ ყველა მსხვილ სავაჭრო ობიექტებში შეეძლება.

ამ დროისთვის კი მარნეულის სასურსათო ქარხანა 50-ზე მეტი დასახელების პროდუქციას უშვებს და როგორც ქარნის დირექტორი განმარტავს, ბოლო პერიოდში გაყიდვების მაჩვენებელი 20 პროცენტით გაიზარდა, შესაბამისად, იზრდება წარმოებაც. შარშანდელთან შედარებით, “მარნეულის სასურსათო ქარხანამ’’ ასევე მნიშვნელოვნად გაზარდა კიტრის მწნილების და ტომატ პასტას სარეალიზაციო ქსელში შეტანა. მნიშვნელოვანია, რომ ქარხნის ტომატ პასტას ქართული ბაზრის 30% უკავია.

,,ჩვენი მიზანია იმპორტირებული პროდუქცია ქართული ნაწარმით ჩავანცვლოთ. კომპანიის გაყიდვები დღითიდღე იზრდება და ასორტიმენტსაც სულ უფრო მეტად ვაფართოვებთ, კომპანიამ წელს სალათების გამოშვება დაიწყო. ვცდილობთ ყოველწლიურად მომხმარებელს ახალი პროდუქცია შევთავაზოთ,’’ - აღნიშნავს გაფრინდაშვილი.

## თებერვალში ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 103.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა

2013 წლის თებერვალში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 103.6 მლნ აშშ დოლარი, ანუ 171.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 7.5 მლნ აშშ დოლარით (12.5 მლნ ლარით), ანუ 7.9 პროცენტით მეტია 2012 წლის თებერვლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 96.3 პროცენტი იმ 11 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ თებერვალში 1 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 11 ქვეყანაზე გასული წლის თებერვალში მთელი ფულადი გზავნილების 90.1 პროცენტი მოდიოდა.



2013 წლის თებერვალში საქართველოდან საზღვარგარეთ 10.8 მლნ აშშ დოლარი (17.9 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 7.5 მლნ აშშ დოლარისა (12.5 მლნ ლარი) გასული წლის თებერვალში.

## ჯემალ დავლიანიძე

# როგორაა ჩვენი საქმე, ბატონებო?

გიკვირთ?

საიდან და როგორაო?

აბა, მოიმარჯვეთ სათვალეები და ჩახედეთ 1999 წლის გაზეთ „ახალ თაობაში“ №119, დაბეჭდილ წერილს, რომლის ავტორია გულიკო ბალაძე. სტატიის სათაურია: „ზვიადისტების საერთაშორისო ტერორისტთა სიაში შეყვანა არამართებულია“. ჩვენთვისაც მოიცალა „დემოკრატიულმა“ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ყველა მომხრე ზვიად გამსახურდიასი 87 თუ არა, 65 პროცენტი ქართველობისა, საერთაშორისო ტერორისტად დაგვასახელა!

ჩემი სადარდელიც ზუსტად ის არის, რომ ევროამერიკელმა პოლიტიკოსებმა საქართველო აღმოსავლეთის მიმართულების პლაცდარმად აქციეს.

რაც სააკაშვილი დანიშნეს პრეზიდენტად, მას შემდეგ აშკარად აიშალა მთელი ჩრდილო კავკასია.

ევროამერიკის გამო შარში ხომ ვართ გახვეული?

ჩვენ, ხალხი იქამდე მიგვიყვანეს, მხოლოდ ჩვენსავე თავს ვაბრალებთ თავზე დამტყდარ უბედურებას და თვალები ისე ამოგვსებია, ვინც ნამდვილად ხელი წაგვკრა უფსკრულისკენ, - მოყვრად მიგვიღია.

დადგა 2008 წლის 8 აგვისტო.

საქართველოს დაჰპირდნენ გაგაერთიანებთ, დაკარგულ მიწა-წყლის დაბრუნებაში ხელს გაგიმართავთო, ვერ და არ შეასრულეს დანაპირები და პირში მოგვახალეს — თქვენმა პრეზიდენტმა სულსწრაფობა გამოიჩინა, ვეუბნებოდით პროვოკაციაზე არ წამოეგო, ომი არ დაიწყოო, მაგრამ არ დაგვიჯერა, ფაქტის წინაშე დაგვაყენაო.

აქ ერთი კითხვაა, რომელსაც ისინი არასოდეს უპასუხებენ:

-არ იცოდით, რომ რუსეთი ატომური სახელმწიფოა და დღემდე, ვინც კი ოდესმე თავს დაესხა, ადრე თუ გვიან მაინც დაამარცხა?

სააკაშვილმა ფიცხლად შეუტია და მარჯვედ წააგო! უცბად დადეს ბეჭებზე და უსირცხვილოდ, უსინდისოდ ხელი მოაწერა იმას, რაც საფრანგეთის პრეზიდენტმა ცხვირწინ დაუდო!

მერედა, რა?

თავი ხომ იმართლა და ხომ იყვირა — ომი მოვიგეო!

უფრო მეტიც — ქართველთა უმრავლესობა აჰყვა და დღესაც ღრიალებენ, ომი მოვიგეთ, რუსებმა თბილისი ხომ ვერ აიღესო?

ამ ოცი წლის მანძილზე, არც შევარდნაძემ, არც სააკაშვილმა რუსეთთან ისეთი პოლიტიკა არ გაატარეს, რომ წასართმევი არაფერი ყოფილიყო.

საქართველოში უკვე ოცი წელიწადია დიდი ფული ტრიალებს და, როგორც ლეშს ბუზი, ისე გვახვევია მექრთამეთა გუნდ-გუნდები!

ნუთუ ძნელია იმის დანახვა, რომ სააკაშვილი სპეციალურად მოვლენილი პრეზიდენტია, რომელსაც არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად კავკასიის არავ-დარევა ავალია?

ზვიად გამსახურდია, ეს ჰუმანისტი კაცი, მწერალი, პოეტი, მთარგმნელი, მეცნიერი ადამიანი, ფაშისტად შერაცხა ევროამერიკამ, რადგან ასე სჭირდებოდათ და ნეტავ რას იზამდნენ, ზვიადს რომ ცხინვალში ელაშქრა, უამრავი ადამიანი მოეკლა და მსოფლიო ომის წინაშე დაეყენებინა კაცობრიობა?

რა სტანდარტებია: მკვლელისა და დესპოტის ფერება-სიყვარული და მართლაც პატიოსანი კაცის აბუჩად აგდება?

ზვიად გამსახურდიას ბრძანებით ერთი კაციც კი არ მოუკლავთ, პირიქით დასცინოდნენ ევროამერიკელებს აყოლილი ქართველები — ეს რა პრეზიდენტია, საკუთარ ხელისუფლებას ვერ იცავს, ვარდები ვესროლოთ ტყვიის მაგიერ, - ასე ამბობსო.

სააკაშვილის დროს კი ქუჩებში ხოცავენ ახალგაზრდებს. თავისი პირით ისიც კი განაცხადა — ადგილზე ლიკვიდაცია ყველას, ვინც არ დაგემორჩი-

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #02-07

# mwaregakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

### ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666



ლებათო, მაგრამ ვინც დამორჩილდა, იმასაც ტყვია უთავაზეს.

სიკვდილი თანამდევია ამჟამინდელი საქართველოს ცხოვრებისა!

სააკაშვილს სიკვდილი, როგორც წყალი, ისე სჭირდება, რომ ქვეყანა შიშით და ტერორით მართოს. კიდეც ტრაბახობს შინაურებში: რკინის ხელი მოენატრა ხალხსო!

საკითხავია, სად ჰქონდა ჩაჩრილი ის „რკინის ხელი“, როცა გორში, დღისით-მზისით მტვერში გორაობდა, შეშინებული წიოდა და ცრემლები ჩამოსდიოდა!

აბა, გავიხსენოთ, რა ჩაიდინა სააკაშვილმა 2010 წლის 13 მარტს, როცა მისი პირდაპირი მითითებით ტელეკომპანია „იმედის“ მეოხებით მთელ ქვეყანაში გაუშვა „მოდელირებული ქრონიკა“, რომელმაც არა მხოლოდ გააოგნა, დაზაფრა და დაავადმყოფა საქართველო, არამედ ორი ადამიანიც შეიწირა!

ეს, რაც შეეხება ადამიანთა სიკვდილს.

ვნახოთ პატიმრები! ვნახოთ ციხეები! ვნახოთ ის არაადამიანური წამება, რაც ციხის კედლებს მიღმა მიმდინარეობს!

საქართველოს ციხეებში სპეცჯალათები ადამიანებს აწამებენ!

საკუთარი თავი ჩვენ თვითონ ხომ არ დავამარცხეთ?

რანაირად და რატომ ვერ შევძელით ამ ჩვენს ძველ მეზობელთან — რუსეთთან საერთო ენა გამოგვენახა?

აზერბაიჯანმა შეძლო!

სომხეთმა შეძლო!

შუა აზიამ შეძლო!

ჩვენი ბრალი სულ აღარაფერია?

მრავალი აზრია, მაგრამ... ერთი რამ აშკარაა — მამულს, ენას, სარწმუნოებას არ ვიცავთ ისე, როგორც ერს თუ არა, ხალხს მაინც ეკადრება!

შევარდნაძემ ჯერ იყიდა ხალხი, მერე გაყიდა!

მერე სააკაშვილმა იყიდა ხალხი, ახლა იგი ჰყიდის!

სამშობლო ერთად ვერასგზით ვერ დავიცავით!

როგორაა ჩვენი საქმე, ბატონებო?

„მრავალჟამიერი“ ამ ქართველების შექმნილია, ვინც დღეს თვითშემოქმედების კოლექტივებში დგანან ჩოხებით და პირი დაუღიათ?

სააკაშვილმა რომ დაიტრაბახა ერთხელ — მე რომ ოპოზიციაში ვიყო, ჩემს ხელისუფლებას სამიოდ თვე-ში დავამხობდიო, რისი იმედი ჰქონდა?

ვერ ხვდებით?

დიახ, დიახ! იმ ბრძენკაცთა შთამომავლებისა, რომლების ხელშიცაა დღევანდელი. მართლაც ბედკრული კაცობრიობის ბედი!

ამ ბოლო ხანებში, საქართველოში დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მიბაძვით, ჩვენშიც შემოვიღოთ ე.წ. „პატრიოტული აქტი“. ფაქტიურად ეს „აქტი“ ჯერ შევარდნაძემ და მერე სააკაშვილმა უკვე ფართოდ დანერგეს. „პატრიოტული აქტი“ ამერიკელებმა 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდგომ მოიფიქრეს და ფაქტიურად ნიშნავს ღია, დაკანონებულ ტოტალურ თვალთვალს, მიყურადებას, შემოწმებას, გასინჯვას, მოსმენას, დაბეზღებას, ადამიანების სულში ხელის ფათურს, თვით ოჯახში, ცოლ-ქმარს შორის მიწერ-მოწერის ჩხრეკვას და... სუნამოს ქიმიური ანალიზის შემოწმებასაც!

2010 წლის 18 მაისს, თურქეთის პრეზიდენტი სააკაშვილმა თბილისში კი არა, არამედ ბათუმში მიიღო!

სააკაშვილის ხელისუფლებას გეგმა-ვალდებულება აქვს „თურქეთთან ისტორიული ძმობა“ შეადარონ „რუსეთთან ისტორიულ მტრობას“, რაც სპეციალური კარნახის მიხედვით ხდება!

დღეს, ქართველებს, როგორც ხეში ლურსმანს, ისე უჭედავენ ტვინში — რუსეთი არის ერთადერთი და მარადიული მტერი ქართველთა, ხოლო თურქეთი — ისტორიული, სამარადისო მოყვარე!

თურმე, თვით ქურდობა, ეს კაცობრიობის ძველი სენი, მხოლოდ რუსეთშია, საბჭოთა კავშირის ბრალია და სხვა ქვეყნებში იგი არც არავის დასიზმრებია!

თვით მოვლენა — ქურდობა, ამერიკელებს ხომ ჯერ არც სმენიათ დღემდე!

„კანონიერი ქურდები“ სტალინის ბრალია!.. მაგრამ არაკანონიერი ქურდობაც ყოფილა და იგი მხოლოდ კანტიკუნტად შეიძლება მოხდეს ევროამერიკის ტერიტორიაზე.

საქართველოს გაჩანაგების ხარჯზე ევროამერიკის მრავალმა ქვეყანამ იხეირა, საკუთარ მოსახლეობას იაფი მუშახელი შესძინა! თითქმის მონად ამუშავებენ საქართველოდან იძულებით გაქცეულებს! ამას გარდა — უსასრულოდ ზიდავენ ხე-ტყეს, ჯართს, ანტიკვარიატს! ქართველი ქალები, იმის გამო, რომ ოჯახი გამოკვებონ, მოედვნენ მთელ ევროპას. ასე გაუჩნდა ევროამერიკელებს მუქთა მეძავი, მუქთა დიასახლისი, მუქთა მომვლელები, სასადილოს მუშაკები, მზარეულები, შავი მუშები, მტვირთავები, მრეცხავები, გადიები...

საქართველოში ათეულ-ათასობით შემოდის ევროამერიკაში წყალდიდობისას დაზიანებული ავტომანქანები, „სასაფლაოზე“ დასაბინავებელი ტექნიკა ე.წ. მეორადი ანუ მკვდართა ტანსაცმელი, ავეჯი, სარეცხი მანქანები, ტელევიზორები, ფეხსაცმელი, ვადაგასული პროდუქტები, უხარისხო სამედიცინო მედიკამენტები.

ხომ არის საინტერესო, როცა ევროამერიკელ პოლიტიკოსებს სჭირდებათ, ჭიანჭველის გარდაცვალებასაც კი მსოფლიო წარღვნად აქცევენ ხოლმე.

აბა ნახეთ, მთელი საუკუნეებია, რუსეთის ლანძღვა-გინება მიმდინარეობს მსოფლიო დონეზე. მხოლოდ რუსები ყოფილან მსოფლიოს დამაქცევარნი და თვითონ, წარმოშობიდან ანგელოზები ბრძანდებიან!

კიდევ კარგი, ხიროსიმა, ნაგასაკი, ავღანეთი, ერაყი და უამრავი მსხვილი თუ წვრილმანი უბედურება რუსებს არ უქნიათ, თორემ...

აი, მერე გენახათ გნიასი, ღრიალი და ღმუილი!

მერე გენახათ მსოფლიო სასამართლო...

სიტყვა „სასამართლომ“ უცბად ნიურნბერგის პროცესი ამოატივტივა!

რატომ?

იმიტომ, რომ...

ფაშისტური გერმანია ხომ ევროამერიკელებმა დაამარცხეს?

ჰოდა, ნიურნბერგის პროცესიც (რომელიც თითქოს იყო და არც იყო) მხოლოდ ევროამერიკელებს მოუწყვიათ!

კითხვაცაა დასასმელი:

ნეტავ, რუსეთი საერთოდ მონაწილეობდა თუ არა მეორე მსოფლიო ომში?

აი, სადამდე შეიძლება კაცობრიობის მიყვანა, როცა ბნელეთის მოციქულებს ადამიანთა ტოტალური გამოთაყვანება ხელეწიფებათ!

გუშინ არ იცოდნენ, რომ დემოკრატია არსებობდა!

დანაშაულად ჩავუთვალოთ თუ არა, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ესპანეთს, ჰოლანდიას და სხვა ქვეყნებს მათი წინაპრების მიერ სხვა ქვეყანათა ძარცვა-გლეჯა?

აქვთ თუ არა დანაშაული კაცობრიობის წინაშე?

ააა! დანაშაულის ვადის გასვლის გამო, დანაშაულის სიძველის გამო, ეს საქმე აღარ გამოვა, არა?

გავიხსენოთ ფრანგებისა და პოლონელების მიერ ოდესღაც გადაბუგული ევროპა და რუსეთი?

რა უნდოდათ მოსკოვში?

შვედებმა ხომ სისხლი გაუშრეს რუსებს?

დიდმა ბრიტანეთმა თითქმის მთელი მსოფლიო დაიპყრო და დაამონა!

უჰ! ბოდიში! მე ჩამოვრჩი! სადღაც შორეულ წარსულში ვაფათურებ ხელს!

ვითომ, ერთს ეპატიება დანაშაული და მეორეს — არა?

ააა! ღვთის რჩეული ერი ხომ არ ბრძანდება ვინმე?

ეს რანაირი სტანდარტებია?

უჰ! საქმე ხომ მორევაზეა და კინაღამ დამავიწყდა!

ავღანეთში რასაც დღეს სჩადის ევროამერიკის ჯარი, მონაგონია იმასთან, რაც სინამდვილეში ხდება!

სულ ახლახანს, პრესაში რაღაცა ხერხებით გამოაქვეყნეს საიდუმლო დოკუმენტები, რამაც ავღანეთში მყოფი გენერლები გაალიზიანა!

მაინც, რამდენი ჯარისკაცია დაღუპული ავღანეთში? ამ კითხვას ზუსტი პასუხი არ გააჩნია! რა იარაღს იყენებენ ავღანეთში? ზუსტი პასუხი არ ჩანს! როგორ ექცევიან მშვიდობიან მოსახლეობას? ზუსტად არავინ არაფერი იცის!

ევროამერიკელები წარმატებებს აღწევენ ამ ომში?

პასუხად — დუმილია!

ავღანეთში ომს ვინ იგებს, ვინ არის გამარჯვებული?

პასუხი არ ჩანს!

ავღანეთის ომის შესახებ ზემოთაც გესაუბრეთ, მაგრამ არ მასვენებს ერთი კითხვა:

-ავღანეთში, როცა საბჭოთა კავშირი ომობდა, ამერიკელები ნეტავ ვის ეხმარებოდნენ?

მიამიტური კითხვაა?

პასუხი ყველა თქვენთაგანმა იცის, ხომ?

თვით ევროამერიკელები მოითხოვენ რუსეთისგან — დაგვეხმარე დროზე, თორემ წელში გავწყდით, ავღანელებმა თუ გაიმარჯვეს, შუა აზიაში პრობლემები შეგექმნებაო!

ხომ ითხოვენ რუსეთისგან დახმარებას?

ითხოვენ, მაგრამ, ამავ დროს, პარალელურად, რუსეთის ფედერაციას ლაფს ასხამენ, აძაგებენ და ისევ ძველებურად — არადემოკრატიულ, ბოროტების იმპერიას უწოდებენ!

ჯამში — როცა რუსეთი აწარმოებს ომს, მუდამ დაპყრობითია, ხოლო ამერიკის მიერ გაჩაღებული ომები — დემოკრატიული ფასეულობებისთვის ბრძოლაა!

იმის გამო, მრუდე გზაზე მოსიარულე ევროამერიკამ, რუსეთს მსოფლიოს თვალში ბრალდებები წაუყენოს, ჩვენ ქართველები უნდა ჩავერიოთ და მამაპაპური მიწები განვკარგოთ?

აღარ სურთ რუსული ჩექმა, მაგრამ ძალიან უნდათ ევროამერიკული „ბათინკი“.

აღარ სურთ წითელი ყელსახვევი, სამაგიეროდ სურთ ჭიპსაკიდები, ძუძუს კერტის „საყურეები“! სამკაულები ცხვირზე, დუნდულებზე!

და საერთოდ, მამაკაცის მაგიერ, უკანალის მოთამაშე ჰომოსექსუალები, პედერასტები ენატრებათ!

მართლაც, სახელისუფლებო მასმედიას (ყოველგვარს) „ვიღაც უჩინარი“, მაგრამ ფსიქიურად ძალიან მძიმედ დაავადებული და შიზოიდი მართავს!

რუსეთის ფედერაციაში დიდი ხანძრებია. ნორმალური ადამიანისათვის, სტიქიური უბედურება, სხვისი გასაჭირი, ხომ არის გულთან მისატანი?

მაგრამ...

2010 წლის 1 აგვისტოს, ტელეკომპანია „იმედის“ საინფორმაციო პროგრამამ უჩვენა ცეცხლის მრავალი კერა და... დიქტორის ხმაში აშკარად იგრძნობოდა სიხარული! თანაც, განა პატარა სიხარული, არამედ დიდზე დიდი!

თვით ტექსტი ეშმაკის სკოლაში ნასწავლი ჟურნალისტის მიერ იყო დაწერილი... უჩვენებდნენ ხალხ-თან მოსაუბრე პრემიერ-მინისტრ პუტინს. ქართველი დიქტორი კი ნიშნის მოგებით და აღტაცებით ამბობდა:

„პუტინს რუსი მოსახლეობა დაუპირისპირდა. საშინელ ხანძრებს მას აბრალებენ! ბაიკერებთან დამეგობრებას არ ჰპატიობენ, რადგან სწორედ ამის გამო განაწყენდა ღმერთი და რუსეთი ცეცხლის ალში გახვია“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი







## თავსატეხი

შვეულად: აკილო, ბაჭია, ვიშია, ელიტა, ეჟენი, ვიგრი, ზუშია, იამბი, ისაკა, კიფერ, ნანტა, ოფისი, პათია, ტაბრი, ჩალმა, ცვარი, წურთა, ხველა.

ჰორიზონტალურად: აკელა, ანდრო, აქცია, ამბალი, ბელტი, დერბი, თომბლი, იურთა, ლინგა, მაცნე, ეგსტი, ნანტი, რეზნი, ქვაბი, ლიამბი, ვალბი, შიშია, წვენი, ვიოკა, ჰიბდი.

## სამიდან ერთი

შვეულად: 1. კალოდა, კედარი, კარიეტა. 2. სილაკე, სვეტერი, სულელი. 3. ნიკობა, ბულონი, ხარაზი. 4. ქუსლი, ხიბლი, ტოლმა. 5. ხარმა, რიგზა, კარტა. 6. მუშლი, პისტა, შარდი. 11. სტამბლი, რეკლამა, კრონოსი. 12. ტემმალი, პროტონი, პლანერი. 13. ზედაშე, კაზუსი, პასეტი. 14. სურამი, ტოტემცა, მონეტა. 15. ტარიდი, რიტორი, ფუფალა. 16. ნოქარი, მესერი, ნიყალა.

ჰორიზონტალურად: 3. მიზანეთი, ჩიხარემი, ჭალადიდი. 7. ვაზიკი, სოფელი, დონარი. 8. ფელეტონი, კანავარი, სოლოლაკი. 9. მერანი, ყადალი, ფოგილა. 10. ხარნიზი, ნარიტა, კოსმოსი. 13. ჭედილა, ფილადი, კამერა. 17. სეგრეტი, ხარქალი, პასტელი. 18. ზანუნა, ზენიტი, ზუმერი. 19. ტრიუმფეკრაზანა, კარეტრი. 20. სიტარა, სულეული, სალარი. 21. კრამერი, პლურერი, პლატონა.

## შიფრვორდი

| | |
|---|---|
| ა 5 | ს |
| ბ | ტ |
| გ | უ 6 |
| დ | ფ |
| ე-28 | ქ |
| ვ | ღ |
| ზ | ყ |
| თ | შ 18 |
| ი 7 | ჩ |
| კ | ც |
| ლ | ძ |
| მ | წ |
| ნ | ჭ |
| ო-21 | ხ |
| პ | ჯ-24 |
| ჟ | ჰ |
| რ 30 | |

# ქართული ჭიდაობის ორი რაინდი

მარტი საქართველოს მოჭიდავეთა ოჯახში განსაკუთრებულია. გაზაფხულის ლამაზ თვეში ორ კაშკაშა ვარსკვლავს **ლევან თედიაშვილს და გურამ საღარაძეს** (შესაბამისად, 15 და 21 მარტს) მიულოცავენ ახლობლები დაბადების დღეს. დი-



ახ, ორივე მათგანი იმსახურებს ცალკე საგაზეთო წერილს, მაგრამ გამახსენდა ლევან თედიაშვილის რამდენიმე წლის წინ ნათქვამი სიტყვები: ახალგაზრდობაში ჩემი კერპი ჭიდაობაში **გურამ საღარაძე** გახლდათ. მას ჭიდაობის განსაკუთრებული მანერა ჰქონდა. ჭიდაობდა ლაღად, შეიძლება ვთქვათ, ინტელიგენტურად. ვცდილობდი მისთვის მიმებაძა ჭიდაობისას“.

თავიანთ სპორტულ კარიერაში გურამ საღარაძეს და ლევან თედიაშვილს უამრავი ძლიერი, სახელოვანი ფალავნები ჰყავთ დამარცხებული. ორივემ კი მადლიანი ქართული ჭიდაობით დაიწყეს, იქ მოსინჯეს საკუთარი მკლავის ძალა. ზოგჯერ მარცხი უფრო სტიმულის მომცემია. მოჭიდავეთა ოჯახში გაზრდილმა 10 წლის ბიჭმა პირველად დედულეთში, ქართლის ერთ-ერთ ლამაზ სოფელში იჭიდავა და დამარცხდა. სწორედ ამ მარცხის შემდეგ დაიწყო ჭიდაობაში სერიოზული ვარჯიში. ტიტულები იცოცხლეთ, მრავალი აქვს – მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ვერცხლის ორგზის მფლობელი, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის პრიზიორი. რომ არა მაშინდელი უცნაური წესები ჭიდაობაში, ალბათ, გურამ საღარაძე ოქროს მედალსაც მიიღებდა, მაგრამ 700 გრამით მძიმე ხარ მეტოქეზეო და პირველობა თურქ ოგანს მიაკუთვნეს. გულზე მოეშვა, როდესაც ამომავალი მზის ქვეყანაში თბილისიდან დეპეშა მიიღო: მშვიდობით დაგვიბრუნდი, შენი ვერცხლი იმ ოქროს ათჯერ გადასწონის დეპეშას ხელს ეროსი მანჯგალაძე და დოდო აბაშიძე აწერდნენ.

ასეთი პიროვნებისგან მიიღო ესტაფეტა ლევან თედიაშვილმა. ჭიდაობაში გზა ლეგენდარულმა **არსენ მეკოკიშვილმა** დაულოცა, ხოლო მწვრთნელობა „ჭიდაობის პროფესორმა“ **ვახტანგ ბალავაძემ** ითავა.



აქვე სათქმელია, რომ ხალხს ლევან თედიაშვილი განსაკუთრებული ლამაზი ჭიდაობისთვის უყვარდა. საიდან არ ჩამოდიოდნენ თბილისის სპორტის სასახლეში გულშემატკივრები, რომ ენახათ ლევან თედიაშვილის ჭიდაობა.

1981 წლის 1 თებერვალს გადაჭედილ თბილისის სპორტის სასახლეში ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონებმა ივან იარიგინმა და ილია ბატემ მხრებზე შეისვეს ქართველი ფალავანი და ისე შემოატარეს საპატიო წრე... მანამდე კი ბევრი დასამახსოვრებელი ორთაბრძოლა ჩაატარა. ერთ რამედ ღირს 1974 წლის თეირანის მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც ლევანმა ერთ კვირაში თავისუფალშიც გაიმარჯვა და სამბოშიც. ირანელი მაყურებლები სკანდირებდნენ კლასიკურშიც იჭიდავეო.

და კიდევ ერთი ამბავიც. ამერიკაში ამხანაგური შეხვედრის დაწყებამდე მასპინძლებმა ცირკიდან დათვი მოიყვანეს და საბჭოთა ნაკრების მძიმეწონოსან სოსლან ანდიევს შესთავაზეს მასთან ეჭიდავა. ანდიევმა სასტიკი უარი განაცხადა. გუნდის პრესტიჟის დაცვა კაპიტანმა ლევან თედიაშვილმა ითავა. ორთაბრძოლას დათვის მომთვინიერებელი სჯიდა, მაგრამ ორთაბრძოლა ლევანმა მოიგო. მეორე დღეს ამერიკელმა მოჭიდავემ, რომელთანაც უნდა ჰქონოდა ორთაბრძოლა, ლევანთან ჭიდაობაზე უარი თქვა.

ცხოვრობს ჩვეულებრივი ცხოვრებით, არის იქ, სადაც ქვეყანას სჭირდება. სამშობლოს დასჭირდა და მისი უფროსი შვილი ვახტანგი საქართველოს მთლიანობისთვის ბრძოლას შეეწირა. არა, ამ დანაკლისის შევსება შეუძლებელია, მაგრამ ლევან თედიაშვილი ამ ტკივილს ვაჟკაცურად ითმენს.

დაუსრულებლად შეიძლება ჩვენს სახელოვან ფალავნებზე საუბარი, მაგრამ ახლა მხოლოდ დაბადების დღეს მივულოცავთ და ყოველივე კარგს ვუსურვებთ.

**იცოცხლეთ და იბედნიერეთ ბატონო გურამ და ბატონო ლევან!**

**გია ბურდული**
551 71 27 07

## „დემოკრატიული მოძრაობა“ დეპუტატებს გიორგი გაბაშვილსა და გია ბარამიძეს სასამართლოში უჩივის

„დემოკრატიული მოძრაობა“ უახლოეს დღეებში კიდევ ერთ სარჩელს შეიტანს დეპუტატების გიორგი გაბაშვილის და გია ბარამიძის წინააღმდეგ 2013 წლის 18 მარტს მათ მიერ გაკეთებულ ცილისმწამებურ განცხადებებთან დაკავშირებით – ამის შესახებ „დემოკრატიული მოძრაობის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.





განცხადების თანახმად, „დემოკრატიული მოძრაობა“ შეკითხვით მიმართავს ბატონ გია ბარამიძეს, რომელიც სავარაუდოდ, თავად უნდა იჯდეს ციხეში: რატომ არ დააპატიმრა მისმა ხელისუფლებამ 26 მაისის ორგანიზატორები, თუ ისინი ნამდვილად იყვნენ კრემლთან შეკრული?

თუმცა თავად ნაციონალურმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა იმის დამტკიცება, რასაც თავიდან აბრალებდნენ 2011 წლის მაისის მოვლენების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს და სწორედ ამიტომ, ამ მოვლენებთან დაკავშირებით, დაკავებული ყველა პირი, ვითომდა სხვადახვა დროს პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით იქნა გასამართლებული. სამწუხაროა, რომ წინა ხელისუფლების დანაშაულებებთან დაკავშირებული სარჩელების განხილვას მიაქვს იმდენი დრო, რომ საზოგადოების მხრიდან უმძიმეს დანაშაულებებში ეჭვმიტანილი „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები კიდევ ბედავენ ასეთი განცხადებების კეთებას“, - ნათქვამია განცხადებაში.

როგორც პარტიის პრესსამსახურის განცხადებაშია აღნიშნული, „დემოკრატიული მოძრაობა“ უახლოეს დღეებში მიმართავს საჩივრით შესაბამის ორგანოებს და ჩვენს მიერ წლების მანძილზე შეტანილ თხუთმეტზე მეტ სარჩელს კიდევ ერთი მიემატება და იმედს გამოვთქვამთ, რომ ქვეყანაში აუცილებლად დადგება დრო, როდესაც აღნიშნულ საქმეებს მიეცემათ მსვლელობა და ყველა პირი, რომელიც გეგმავდა და ახორციელებდა „დემოკრატიული მოძრაობისა“ და „სახალხო კრების“ ლიდერების დისკრედიტაციას, ცილისწამებას და პოლიტიკურ მკვლელობას, აუცილებლად წარსდგებიან მართლმსაჯულების წინაშე და პასუხს აგებენ ჩადენილი დანაშაულებებისათვის“, - ნათქვამია განცხადებაში.

## `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
***მთვარისა კევლიშვილი.***
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**- რა შემთხვევაში ხდება ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენება? შეიძლება თუ არა არჩეული თანამდებობის პირის გადაყენება დაკავებული თანამდებობიდან?**

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლის მიხედვით, ბრალდებულის თანამდებობიდან / სამუშაოდან/ გადაყენება შეიძლება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ თანამდებობაზე /სამუშაოზე/ დარჩენით იგი ხელს შეუშლის გამოძიებას, დანაშაულის შედეგად მიყენებული ძიანის ანაძღაურებას ან განაგრძობს დანაშაულებრივ საქმიანობას.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ აკეთებს დიფერენცირებას არჩევითი ან დანიშვნითი თანამდებობის პირის თანამდებობიდან გადაყენების საკითხთან დაკავშირებით. ეს ნიშნავს შემდეგს: პირი, რომელიც არჩეულია თანამდებობაზე / ან, თუნდაც, დანიშნულია/ შეიძლება გადაყენებულ იქნას დაკავებული თანამდებობიდან, თუ არსებობს ზემოთ ხსენებული 159-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების რომელიმე საფუძველი.



თქვენთვის საინტერესო საკითხს არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-162-ე მუხლები.

* * *

**- შეიძლება თუ არა ბრალდებულს შეუჩერდეს საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედება?**

- შეიძლება. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამგვარს ითვალისწინებს. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 163-ე მხლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედება შეიძლება შეჩერდეს, თუ პირი, რომელზეც გაცემულია საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ბრალდებულია / მსჯავრდებულია/ ამ კოდექსით დადგენილი წესით და არსებობს დასაბუტებული ვარაუდი, რომ აღნიშნული პასპორტის გამოყენებით იგი შეძლებს საქართველოდან გასვლას ან საზღვარგარეთ გადაადგილებას.

* * *

**- დანაშაულის შედეგად მომადგა დიდი ზარალი. რა სახით შემიძლია მოვითხოვო ბრალდებულისაგან ზიანის ანაზღაურება?**

- ბრალდებულის მიმართ დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ თქვენ გაქვთ უფლება, შეიტანოთ სარჩელი ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

* * *

**-ჩემს მიმართ დამდგარი განაჩენის გასაჩივრების ვადა გავუშვი. გამაჩნია საპატიო მიზეზი. შემიძლია,თუ არა მოვითხოვო გაცდენილი ვადის აღდგენა? და თუ შეიძლება, როგორ ხდება ეს სამართლებრივად?**

-შეგიძლიათ და თუ ვადია გაშვება მოხდა საპატიო მიზეზით, სასამართლომ შეიძლება აღადგინოს გასაჩივრების ვადა.

დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 89- ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლო უფლებამოსილია, მხარის შუამდგომლობით აღადგინოს საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადა, თუ ეს არ იწვევს ბრალდებულის უფლებებისა და გარანტიების არამართლზომიერ შეზღუდვას.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გაცდენილი ვადის აღდგენის შუამდგომლობა სასამართლოში წერილობით უნდა იქნეს შეტანილი საპატიო მიზეზის აღმოფხვრიდან ერთი კვირის განმავლობაში. სასამართლო ამ საკითხს იხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე , 10 დღეში.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით ვადის საპატიო მიზეზით გაცდენის მტკიცების ტვირთი ეკისრება ვადის გამცდენ პირს.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, სასამართლოს გადაწყვეტილება გაცდენილი ვადის აღდგენის შუამდგომლობის თაობაზე საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

* * *

**- რას ნიშნავს პრეიუდიცია?**

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მიხედვით, პრეიუდიცი ნიშნავს მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე მიღებას.

გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებებად მიიღება:

ა/საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები;

ბ/განაცენი ნასამართლობაზე;

გ/ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაცენით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებ.;

დ/ ნებისმიერი სხვა გარემოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან.

# ???????????????

„სიმბოლო“ – 1. საგანი, მოქმედება და სხვა, რომელიც რაიმე ცნების, იდეის პირობით ნიშანს წარმოადგენს. 2. რაიმე სიდიდის პირობითი აღნიშვნა, რაც მიღებულია ამა თუ იმ მეცნიერებაში – ვკითხულობთ „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“.

წლების წინ, (2002-2003 წწ) როგორც ჟურნალისტს, ურთიერთობა მქონდა ბატონ თემურ ხაჩიშვილთან. მის პოლიტიკურ პარტიას „დათვი“ ერქვა და პარტიის ემბლემაზეც ჩვეულებრივი დათვის, თუ შეიძლება ჰაბიტუსი ვუწოდოთ, იყო გამოსახული. ეს მაშინ სალაპარაკო გახდა, რადგან პირდაპირ უკავშირდებოდა რუსეთთან ურთიერთობას. მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ქვეყანა აირია და გასაგები მიზეზების გამო ჩვენი საქმიანი ურთიერთობა გაწყდა. ყოველ შემთხვევაში, კარგად მახსოვს, რომ „ედინაია როსიას“ ემბლემაზეც დათვის იყო გამოსახული, ჩვეულებრივი ფერისა და ფორმის დათვი, რომელსაც პირი დასავლეთისკენ ჰქონდა.

2005 წლის 26 ნოემბერს კრასნოარსკში პარტიის ახალი წესდების რედაქტირებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად გაიმართა „ედინაია როსიას“ VI ყრილობა. ბორის გრიზლოვმა ბრძანა, რომ რუსეთის მოდერნიზაციის კომპლექსური პროგრამა 2007 წელს იქნებოდა წარმოდგენილი. ამავე დღეს მიიღეს თუ დაემთხვა, ალბათ, უკვე დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ყრილობის შემდეგ „ედინაია როსიას“ სიმბოლო შეიცვალა, ჩვეულებრივი დათვი გაურკვეველი ფერის (ლურჯია თუ თეთრი?) აბსტარაქტული დათვი გახდა. ინტერნეტში, რუსულ საიტებზე მალევე გაჩნდა კითხვა „ვ ნიომ ნე ვიდიტე კოზლა?“

მხოლოდ თხას კიდევ რა უშავს, უცნობმა ავტორმა (რომელმაც გასაგები მიზეზების გამო დამალა საკუთარი ვინაობა) უარესი დაინახა. სახეზეა სიმბოლიზმი, გამოხატვის ხერხი, როგორც საგნების ან მოვლენების მიუღწეველი არსის გამოთქმის საშუალება. „„„ედინაია როსიას“ ახალი სიმბოლოს ავტორის ვინაობას (შესაბამისად, მის მსოფმხედველობას) ვერსად მივაკვლიე, ამდენად, დაბეჯითებით იმის თქმა, რომ მან იცოდა რა შესთავაზა პარტიას, ძნელია, მაგრამ ფაქტი ფაქტად დევს, „ედინაია როსიას“ სატანისტური შინაარსის, გნებავთ, ანტიქრისტეს არაერთი ელემენტის შემცველი სიმბოლო აქვს აღებული. იხილეთ მისი ქართული ვერსია.




2. ან იქნებ ეს სულაც არ არის დათვი? აბა კარგად დააკვირდით:



ნამდვილად, ეს თხაა და არა დათვი:



4. ფიქრობთ ეს ყურით მოთრეული არგუმენტებია?

კეთილი, მოდი წინ წავიწიოთ...

თხის გარდა ამ ლოგოტიპში განსაკუთრებულად გამოკვეთილია დათვის თათები:



თითქოსდა რაღაც წარწერას წაგავს, არა? რა არის ეს? წარწერა, სიტყვა, სახელი? მოდი გადავაბრუნოთ.



3. რატომ თხა? ხომ არ არის ეს მინიშნება რაიმე განსაკუთრებულ სიმბოლოზე? მოდი "გუგლას" ვკითხოთ:




მცირედი ძიება მიგვიყვანს მითიურ არსებამდე, რომელსაც ბაფომეტს უწოდებენ



აღნიშნულ არსებას ხელში უპყრია ლათინური სიტყვებისგან დაწერილი სიტყვა SOLVE (გაითქვიფე, დაიშალე) და COAGULA (შეადედე, შეინახე, შეჭმუხნე, ჩაიჯიბე).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის თხის თაყვანისმცემელთა სარწმუნოების სიმბოლო, საყოველთაოდ ცნობილი: "იქურდე, მოჰკალ, გაძარცვე, ითაღლითე".

5. მოდი, კიდევ უფრო სრულყოფილი გავხადოთ ეს სახე რამდენი ასოა სახელწოდებაში

Партия 6
Единая 6
Россия 6

მაშასადამე გამოდის, რომ ეს ყოფილა თაღლითების, ქურდების და სატანისტების პარტია. ქურდობა, თაღლითობა, სიცრუე, ჩაჯიბვა და მკვლელობაც კი - მათი ბუნებაა და მათი სარწმუნოება. ხვდებით? მიკვირს, როგორ მივეცით ამ ხალხს ხელისუფლება?

5a.

«ישוע»

“იეშუა”

ერთი ნაბიჯით უკან დავიხიოთ



ცოტა ჩამოვაჭრათ... და... ვუალა



ישוע

გამოდის, რომ "დათვის" "თათები" სულაც არ ყოფილა თათები, არამედ წარწერა, უფრო ზუსტად, - სახელი.
სახელი იესუ ივრითზე

მაგრამ

ეს სახელი გადმობრუნებულია



და რას შეიძლება ეს ნიშნავდეს?
რა იქნება, თუ უხეშად ვიტყვით და, გადმოვაბრუნებთ ქრისტეს?
რას მივიღებთ? მივიღებთ ამას:



ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ "ქრისტე" უკუღმა არის "ანტი-ქრისტე".
ასევე მრავალმა უწყის, რომ გადმობრუნებული ჯვარი წარმოადგენს სატანის სიმბოლოს.

როგორც ჩანს, ჩვენ ისევ თხის თავდაპირველ სიმბოლოს უნდა დავუბრუნდეთ.

ანუ სურათი სრულ სახეს იღებს.

6. ახლა კი ნება გვიბოძეთ, ბოლო პუნქტში Единая Россия-ს ლოგოტიპი წარმოგიდგინოთ ისე, როგორც ის გამოიყურება სინამდვილეში, შენიღბვის გარეშე.




## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – ოჯახი თქვენს აქტიურ მოქმედებას მოითხოვს. ყოველდღიური ვალდებულებების შესრულება დიდ ენერგიას წაგართმევთ.

**კურო** – შემოქმედებით ადამიანებთან ურთიერთობა დაგეხმარებათ საკუთარი მონაცემების გამომჟღავნებასა და გამოყენებაში. ეს კვირა კარგია ცოდნის ასამაღლებლად.

**ტყუპები** – აქტიური ცხოვრების წესი, გაიძულებთ არ დაკმაყოფილდეთ მიღწეულით და გააგრძელოთ წინსვლა.

**კირჩხიბი** – კარგი განწყობა და შემოქმედებითი თვითრეალიზაციის სურვილი მოგიტანთ წარმატებას პარტნიორულ ურთიერთობებში.

**ლომი** – გამდიდრებისა და ქონების მოხვეჭის სურვილი შეგიპყრობთ და სწორედ ამიტომ მზად იქნებით, ყველა ფინანსურ საქმეს თავად გაუძღვეთ.

**ქალწული** – ამ კვირაში თქვენს ყურადღებას ეკონომიკურ პრობლემებზე გადაიტანთ და შეეცდებით, გაზარდოთ თქვენი შემოსავალი.

**სასწორი** – ამ კვირაში შეძლებთ იპოვოთ საკუთარი ადგილი საზოგადოებაში. ფინანსური დახმარებისთვის თამამად შეგიძლიათ მიმართოთ თქვენს პარტნიორებს.

**მორიელი** – გაგიჩნდებათ გართობის სურვილი. საკუთარ ქცევას მიაქციეთ მაქსიმალური ყურადღება.

**მშვილდოსანი** – სამსახური დიდ დროს წაგართმევთ, ოჯახი და პრობლემები დამატებით ყურადღებას და მზრუნველობას მოითხოვს თქვენგან.

**თხის რქა** – იმედგაცრუებული იქნებით. ფრთხილად იმოქმედეთ დასახული მიზნის მისაღწევად. შესაძლოა, გარკვეული ფინანსური გარიგების წინაშე აღმოჩნდეთ.

**მერწყული** – ფულის შოვნას ამჯერად დიდი მონდომებისა და თავდადების ხარჯზე მოახერხებთ. ეკონომიკური სტაბილურობა თქვენი დაღლილობის კომპენსაციას მოახდენს.

**თევზები** – თავისუფლების სიყვარული, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა გიბიძგებთ სრულიად მოულოდნელი ქმედებებისკენ.

### სკანვორდის პასუხები:

1.შორტრეკი. 2. სტიმული. 3. საზრავი. 4. მუხრან. 5. უწყინარი. 6. კეკლუცი. 7. ყუა. 8. ფოლადი. 9. ტანტალი. 10. ორბელიანი. 11. დეუ. 12. კვადრატი. 13. ფოიერვერკი. 14. ცხიმი. 15. მანიო. 16. დიაკონი. 17. ვენდისპანსერი. 18. ხორცმეტი. 19. კრაველი. 20. ედემი. 21. ამსა. 22. კრინტი. 23. მორფინი. 24. ვერცხლი. 25. რობიკო. 26. დისპუტი. 27. მადანი. 28. ტურე. 29. როდეო. 30. სირი. 31. პალანკინი. 32. ლივლივი. 33. ზემფირა. 34. ნიდერლანდები. 35. ჯიბრი. 36. სოკერი. 37. აყლაყუდა. 38. ყანა. 39. სარი. 40. კეიპტაუნი. 41. კეისარი. 42. კირასარი. 43. ექსპერტი. 44. სმიტი. 45. ცეხი. 46. ალპები. 47. მონიკა. 48. ქორო. 49. მონასპა. 50. პაბი. 51. ტრენერი. 52. ტრიტონი. 53. ციმბირი. 54. ცირცელი. 55. კონკია. 56. ერიკ. 57. ლაცკანი. 58. კავალერი. 59. კოკარდა. 60. ნატი. 61. ანუკ. 62. იუტა. 63. ცელი. 64. ცაცია. 65. კანი. 66. კროუ. 67. ლიანგი. 68. პირანია.